The report analyzes those myths and rituals, which in some cases are a mixture of Iranian and Caucasian mythology, and most of all are conditioned by mythology stories, legends and epics about the mythological ancestors of the Ossetian people – Narts and Tsartsiat.

ნაირა ბეპიევი

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითი და რიტუალი ოსურ ფოლკლორში

ოსური მითოლოგიური სამყარო საკმაოდ მრავალფეროვანი და სპეციფიკურია. ოსურ მითოსურ არეალში მოიაზრება, ერთი მხრივ, სამყაროს დასაბამის, მისი შექმნისა და ფორმირების პროცესში ჩართულობა („ცარციათების თქმულებები“), მეორე მხრივ, კოსმიური არსებებისა და მათთან გათანაბრებული ცალკეული სალოცავებისა თუ ღვთაებების ის საკულტო და რიტუალური პროცესები, რომლებიც ზოგადთან ერთად მრავალი ინდივიდუალური მახასიათებლით არის ცნობილი (ნართების ეპოსი, ოსური მითები).

ოსური მითოლოგიაში ცალკეული ღვთაებებისადმი მიძღვნილ რიტუალებსა და წესჩვეულებებია წარმოდგენილი. განსაკუთრებით მრავალი რიტუალია დაკავშირებული ღვთისმშობლის (მად მაირამის), ვასთირჯის (წმინდა გიორგის), საფას (კერიის ღვთაება), ვაცილას (წმ. ელიას), ავსათისა (ცხოველთა მფარველის) და სხვა ღვთებების სახელზე. სხვადასხვა მითოლოგიური თქმულებით იცნობენ ოსები დონბედთირს, თუთირსა თუ სხვა ღვთაებებს. მათ სახელზე გარკვეული რიტუალებია შემორჩენილი, რომელიც ზოგადად, კავკასიურ მითოლოგიასთანაც ამჟღავნებს საერთოს. თუმცა მათში ინდივიდუალური და სპეციფიკური უფრო მეტია.

მოხსენებაში გაანალიზებულია ის მითები და რიტუალები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში ირანული და კავკასიური მითოლოგიის ნაზავია, უფრო მეტად კი განპირობებულია ოსი ხალხის მითოლოგიური წინაპრების – ნართებისა და ცარციათების შესახებ არსებული მითოლოგიური გადმოცემებით, თქმულებებით, ეპოსებით.

Levan Bregadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For the Importance of “The Collection of Materials...” the Collection of Georgian Proverbs

We call “The collection of materials...” as abbreviation to the Russian edition “The collection of materials for describing the places and folks of Caucasia” (“Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа”), which was published in the years 1881-1913 once or sometimes twice in a year in Tbilisi by the direction of Caucasian teaching department.

In it was published in different times (from 1882 until 1903) seven collections of proverbs collected in different regions of Georgia – in total up to 500 Georgian, Mingrelian and Svanish proverbs – in the original language, accompanied by the Russian translation and sometimes by Russian equivalents from the Russian Folklore.

Among other advantages, that possess these publications (ancientness, numerousness, the competence of the collector-publishers...), we must distinguish one of them: because the sense of proverbs is told in a very compressed manner, it is not easy to guess the meaning of some of them. It helps us in the comprehending of the meaning of the proverbs in the right manner, that the originals (which are given sometimes in the Georgian and sometimes in the Cyrillic script) are accompanied by the Russian translations.

Besides, the comments, that are given to some proverbs in the publications of “The collection of materials...” also help us in the point of view of the hermeneutic of the proverbs.

In the present work we discuss the publications of the Georgian proverbs mainly in this point of view. We focus our attention on the proverbs, that we don't find or find in a different form in other collections of proverbs published later.

ლევან ბრეგაძე

საქართველო, თბილისი,

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„მასალათა კრებულის...“ ქართული ანდაზების კოლექციათა მნიშვნელობისათვის

„მასალათა კრებულს...“ შემოკლებით ვუწოდებთ რუსულენოვან გამოცემას „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа“, რომელიც 1881-1913 წლებში წელიწადში ერთხელ, ზოგჯერ ორჯერაც, გამოიცემოდა თბილისში კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს მიერ.

მასში სხვადასხვა დროს (1882-დან 1903 წლამდე) საქართველოს სხვადასხვა მხარეში ჩაწერილი ანდაზების შვიდი კოლექცია გამოქვეყნდა – სულ 500-მდე ქართული, მეგრული და სვანური ანდაზა – ორიგინალის ენაზე, რასაც, რუსული თარგმანიც ახლავს და ზოგჯერ შესატყვისებიც რუსული ფოლკლორიდან.

სხვა ღირსებათა შორის, ამ პუბლიკაციებს რომ მოეპოვებათ (სიძველე, მრავალრიცხოვნობა, შემკრებ-პუბლიკატორთა კომპეტენტურობა...), განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ერთი: იმის გამო, რომ ანდაზებში მეტისმეტად შეკუმშული ფორმით არის გადმოცემული სათქმელი, ზოგიერთი ანდაზის აზრის მიხვედრა ადვილი არ არის. ანდაზათა აზრის სწორად გაგებაში ძალიან გვეხმარება ის გარემოება, რომ ორიგინალებს

(რომლებიც ზოგჯერ ქართული შრიფტით და ზოგჯერ კირილიცათი არის წარმოდგენილი) გვერდით რუსული თარგმანიც ახლავს.

გარდა ამისა, ანდაზების ჰერმენევტიკის (აზრის დადგენის) თვალსაზრისით, დახმარებას გვიწევს ის კომენტარებიც, ზოგიერთ ანდაზას რომ ახლავს „მასალათა კრებულის...“ პუბლიკაციებში.

წინამდებარე ნაშრომში უმთავრესად სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ ქართული ანდაზების პუბლიკაციებს. ყურადღებას უფრო მეტად იმ ანდაზებზე გავამახვილებთ, რომლებიც არ გვხვდება ან განსხვავებული სახით გვხვდება ანდაზათა შემდგომ გამოცემულ კრებულებში.

Rūta Brūzgienė

Lithuania, Vilnius

Mykolas Romeris University

The Poetical Rhetoric of Justinas Marcinkevičius as an Expression of Archetypal Musicality

Although at times seen as controversial, the works of the Lithuanian poet Justinas Marcinkevičius (1930-2011) are compared with Lithuanian literary classics. Some parallels both in terms of the social movement (Sąjūdis, the Lithuanian Independence Restoration Movement) and history and archetypal motifs of the homeland can be drawn with the prominent personality of Lithuanian poetry Maironis, the herald of the national liberation of the end of the 19th century. Historical dramas (“Mindaugas”, “Mažvydas”, “Katedra”), poems (“Donelaitis”, “Kraujas ir pelenai”, “Pažinimo medis”), ballads, collections

of poems (“Būk ir palaimink”, “Vienintelė žemė”, “Už gyvus ir mirusius”) helped to remind and preserve the image of independent Lithuania to the public.

Marcinkevičius’ early poetic work expressed an obvious folklorisation. Later the musicality of his poems took on forms of songs, hymns, anthems, and others. The inner musicality of the poems inspired composers’ works: over 200 songs were created for the poet’s lyrics. During the Sąjūdis movement, Marcinkevičius’ songs together with the works of Maironis and Brazdžionis were played all over Lithuania. This article will analyse the features of the rhetorical influence of Marcinkevičius’ poetry related to Lithuanian archetypal images and the deep musicality of the “singing nation of poets”. The work is based on V. Daujotytė, V. Kubilius, V. Sventickas, P. Friedrich, E. Tarasti, W. Wolf, V. Karbusický, and others works, and a comparative methodology is used.

Tamar Chachibaia

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

“New Legends of India” – A Mythological Inspiration in a Series of Modern Literary Fairy Tales

The name of Alexander the Great is associated with the invasion of India. From the contemporary chronicle of that epoch we know about the existence of the toponym of the Indian Caucasus. Prometheus in the lyrical drama by Percy Bysshe Shelley (“*Prometheus Unbound*”, 1820) [1] is perched on the cliffs of the Indian Caucasus.

Hence the idea that the story of the heroism of Titan Prometheus was connected with the cult of the Sun, which in Indian mythology is also a symbol of fire, was reflected in the series of modern fairy tales by Tamar Chachibaia “New Legends of India”.

Leading place in Indian culture is the cult of the Sun [2], which is reflected in traditional epics and customs. Also, the royal dynasties of India trace their origins to the deity of the Sun. There is much in common in Egyptian, Greek and Indian mythology regarding the cult of the Sun. The events in Tamar Chachibaia’s modern fairy tale “New Legends of India” take place around the royal dynasty of Sun. The foundation history of the kingdom is narrated with the participation of the white mouse avatar of the mother of the Sun and its descendants. It is not a revival and literary interpretation of existing legends and myths, on the contrary, the author sometimes radically changes the traditionally established narratives and often gives the impression that the stories told by her seem to have really existed in this way. In fact, she digs up completely new legends and myths that are nowhere to be found in Indian narratives. These are modern legends and myths with a hint of antiquity that will take the young reader on a journey through ancient times with the illusory feeling of a relevant era. The author shares with adults the traditions and customs that are still preserved today, and since it is difficult to gain deep access to historical nuances, she makes the reality aggravated by the burden of time lighter through the fantasy world.

თამარ ჩაჩიბაია

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ახალი ლეგენდები ინდოეთზე“ – მითოლოგიური შთაგონება თანამედროვე ლიტერატურული ზღაპრების სერიაში

ალექსანდრე მაკედონელის სახელს უკავშირდება ინდოეთის დალაშქვრა. იმ ეპოქის თანადროული მატიანედან ვგებულობთ ინდოეთის კავკასიის ტოპონიმის არსებობის შესახებაც. პერსი ბიში შელის ლირიკულ დრამაში „განთავისუფლებული პრომეთე“ (1820) ტიტანი გმირი სწორედ ინდოეთის კავკასიის კლდეებზეა მიჯაჭვული [1].

თანამედროვე ზღაპრების სერიის, „ახალი ლეგენდები ინდოეთზე“, შესაქმნელად, თამარ ჩაჩიბაიას დაებადა იდეა, რომ პრომეთეს გმირობის ისტორია დაკავშირებული ყოფილიყო მზის კულტთან, რომელიც ინდურ მითოლოგიაში არის ცეცხლის სიმბოლოც. ინდოეთის კულტურაში წამყვანი ადგილი უკავია მზის კულტს [2], რაც ასახულია ტრადიციულ ეპოსში და ადათებში. ასევე, მზის ღვთაებას უკავშირებენ ინდოეთის სამეფო დინასტიები საკუთარ წარმომავლობასაც. ბევრი საერთოა ეგვიპტურ, ბერძნულ და ინდურ მითოლოგიაში მზის კულტთან დაკავშირებით. სწორედ მზის სამეფო დინასტიის გარშემო ვითარდება მოვლენები თამარ ჩაჩიბაიას ზღაპარში „ახალი ლეგენდები ინდოეთზე“. სამეფოს დაარსებისა და შემდგომი მოვლენების განვითარების ისტორია არის მოთხრობილი მზის დედის ავატარის თეთრი თავგისა და მისი შთამომავლების მონაწილეობით. ეს არ არის არსებული ლეგენდების და მითების გაცოცხლება და ლიტერატურული

ინტერპრეტაცია. პირიქით, ავტორი ზოგჯერ რადიკალურად ცვლის ტრადიციულად დამკვიდრებულ გადმოცემებს და ხშირად ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას, რომ მის მიერ მოთხრობილ ისტორიებს მართლაც ასეთი სახით უნდა ეარსება. სინამდვილეში, კი იგი თხზავს სრულიად ახალ ლეგენდებს და მითებს, რომლებიც არსად გვხვდება ინდურ გადმოცემებში. ეს არის სიძველის ელფერის მქონე თანამედროვე ლეგენდები და მითები, რომელიც მკითხველს ამოგზაურებს უძველეს დროში შესაბამისი ეპოქის ილუზორული განცდით. ავტორი მოზარდებს აზიარებს იმ ტრადიციებსა და ადათ-წესებს, რომლებიც დღესაც შენარჩუნებულია. ახალგაზრდა მკითხველის ისტორიულ ნიუანსებში გასარკვევად, ავტორი ფანტასტიკური სამყაროს შექმნით ამსუბუქებს დროის ტვირთით დამძიმებულ რეალობას.

Eka Chikvaidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Khvtiso Mamisimedashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Folkloric Legends and Georgian Hagiography

Christian culture has been spread in Georgia since the 1st century, primarily through oral means (this can be proved by the folk legends of the early centuries saints – Barbara, Kvirike, Saint George, Basil the Great, Maximus the Confessor, or, on the contrary – the evil spirit – Samail, which differs from the literary versions, although we're still lead to the literary grounds with general signs). However, novels

preserved by oral transmission have been gaining ground in Georgian literature in a literary way since the fourth century. Accordingly, it is clear that literary hagiographical narration differs from folklore. At the same time, it is interesting and noteworthy how folklore and literary narration developed on the background of coming from a common source. However, as a preliminary conclusion, it can be said that the main basis and starting point for distinguishing between the causes and consequences of the two types of literary narration are their different penetration ways – orally and literary. Because one is the result of the free approach (A separate issue is which beliefs are synthesized by folklore layer), and the second – of the meticulous precision.

ეკა ჩიკვაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხეთისო მამისიმედიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორული გადმოცემები და ქართული

ჰაგიოგრაფია

ქრისტიანული კულტურა საქართველოში პირველი საუკუნეებიდანვე გავრცელდა, პირველ რიგში, ზეპირგადმომცემით (ამას ამტკიცებს ხალხური გადმოცემები, ერთი მხრივ, პირველი საუკუნეების წმინდანების – ბარბარეს, კვირიკეს, წმინდა გიორგის, ბასილი დიდის, მაქსიმე აღმსარებლის და, მეორე მხრივ, ბოროტი სულის – სამაილის – შესახებ არსებული „მოთხრობები“, რომლებიც ლიტერატურული ვერსიებისგან განსხვავდება, თუმცა ზოგადი ნიშნებით

კვლავ ლიტერატურულ საფუძვლებამდე დავდივართ). თუმცა, ზეპირგადმოცემით მოღწეული მოთხრობები უკვე მეოთხე საუკუნიდან ლიტერატურული გზით იმკვიდრებს ადგილს ქართულ ლიტერატურაში. შესაბამისად, ცხადია, ლიტერატურული აგიოგრაფიული თხრობა განსხვავდება ფოლკლორულისგან. ამავე დროს, საინტერესო და ყურადსაღებია, როგორ განვითარდა ფოლკლორული და ლიტერატურული თხრობა საერთო წყაროდან მომდინარეობის ფონზე. თუმცა, წინასწარი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ორი ტიპის ლიტერატურული თხრობის განსხვავების მიზეზებისა და შედეგების მთავარი საფუძველი და ამოსავალი სწორედ განსხვავებული გზით – ზეპირი და ლიტერატურული – შემოღწევას. რადგან ერთი თავისუფალი მიდგომის (ცალკე საკითხია, რის, რომელი წარმოდგენების სინთეზირებას ახდენს ფოლკლორული პლასტი), მეორე – ზედმიწევნითი სიზუსტის შედეგია.

Lasha Chkhartishvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Stage Transformation of Folklore in Georgian Theater of the Modernist Era (On example of Alexander Akhmeteli's play "Lamara")

Reformer of Georgian theater Alexander Akhmeteli was dreaming about creating "Georgian National Theater". He set this goal even before joining theater as a director. He was writing: "Nothing can save us from degradation, except national art and also national the-

ater, we have had own theater and I hope we will have it in future”. In terms of “our theater” director meant folk improvised mask theater – Berikaoba, which had Georgian temperament and rhythm. Establishment of this kind of theater would be impossible without national dramaturgy. “Lamara” by Gr. Robakidze turned out to be that kind of literature material, based on which Akhmeteli could stage one of his masterpieces. Play based on mythical story was turned into the heroical-romantic show by the director, which eventually become a monument of Georgian intangible culture.

Akhmeteli considered, that besides the language, national form should be manifested in rhythm and temperament, transmitting motion, speech or other nuances of inner world of human. National original and folk music, songs, dances, rituals were significantly used in the play “Lamara”. Play was followed by mixed reactions of society. Partial society was blaming director in obsession with folklore, striving for exoticism, nationalism and formalism. Eventually, in spite of great success in Moscow (Rustaveli theater was awarded with I degree diploma on Union Olympiad) play was removed from the repertoire, director was moved off from the theater, after he was arrested and finally executed.

ლაშა ჩხარტიშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორის სცენური ტრანსფორმაცია მოდერნიზმის ეპოქის ქართულ თეატრში

(სანდრო ახმეტელის სპექტაკლის „ლამარას“ მაგალითზე)

ქართული თეატრის რეფორმატორი ალექსანდრე ახმეტელი ოცნებობდა შეექმნა „ქართული ნაციონალური თეატრი“. ეს გეგმა ჯერ კიდევ თეატრში რეჟისორად მოსვლამდე დაისახა.

იგი წერდა: „ვერაფერი გვიხსნის გადაგვარებისგან, გარდა ეროვნული ხელოვნებისა და მასთანვე ეროვნული თეატრისა, ჩვენ გვქონდა ჩვენი თეატრი და იმედია გვექნება კიდევ.“ „ჩვენს თეატრში“ რეჟისორი ქართულ ხალხურ იმპროვიზაციულ ნიღბების თეატრს – ბერიკაობას გულიხსმობდა, ქართულ პოეტურ და მუსიკალურ ფოლკლორზე დაფუძნებულს, ქართული ტემპერამენტითა და რიტმით. ამ ტიპის თეატრის ჩამოყალიბება კი ეროვნული დრამატურგიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გრ. რობაქიძის „ლამარა“ აღმოჩნდა ის ლიტერატურული მასალა, რომელზედაც ახმეტელმა მისი ერთ-ერთი შედევრი დადგა. მითოსურ სიუჟეტზე დაფუძნებული პიესა, რეჟისორმა გმირულ-რომანტიკულ სანახაობად აქცია, რომელიც ქართული არამატერიალური კულტურის ძეგლად იქცა.

ახმეტელი თვლიდა, რომ ნაციონალური ფორმა ენის გარდა, უნდა გამოვლენილიყო რიტმისა და ტემპერამენტში, მოძრაობის, მეტყველების თუ ადამიანის შინაგანი სამყაროს სხვა ნიუანსების გადმოცემით. სპექტაკლში „ლამარა“ საგრძნობლად იყო გამოყენებული ეროვნული ორიგინალური და ხალხური მუსიკა, სიმღერა, ცეკვა, რიტუალები. სპექტაკლს საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. პარტიული საზოგადოება რეჟისორს ფოლკლორით გატაცებაში, ეგზოტიკურობისაკენ სწრაფვაში, ნაციონალიზმსა და ფორმალისტობაში სდებდა ბრალს. საბოლოოდ, მოსკოვში უდიდესი წარმატების მიუხედავად (საკავშირო ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრი I ხარისხის დიპლონით დაჯილდოვდა) სპექტაკლი რეპერტუარიდან მოხსნეს, რეჟისორი კი თეატრს ჩამოაშორეს, შემდეგ დაიჭირეს და ბოლოს დახვრიტეს.

Eka Chkheidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Mythologema of the Horse in Oral and Archaic Thought

The horse is known in Indo-European mythology as the animal of the sun god. One of Poseidon's title is "The Horse Tamer" – Domaios. He is also credited with his relationship with the goddess of land and fertility, Demetra, – in the form of a horse. In Indian Vedas, even the sun itself is referred to as a horse. There is also a hymn to the sun as a heavenly horse. Helios (Sun) travels daily from east to west in a chariot with four horses. The scientific literature states that one of the four horses in the solar chariot is an eos. In Greek mythology, Eos lives on the east side of the ocean. In the morning he rushes in a two-wheeled cart to inform us of the arrival of his brother, Helios.

The transformation of the horse face took place over millennia. He was the link between heaven and earth, the unconditional executor of the will of the patron, the forerunner of trial or misfortune, oracle; Werewolf was implied in horses etc.

The function of moving between the dimensions in magical thinking was assigned to the horse. Therefore, the horse can be understood by two hypostases – khtonuri and tsiuri. As a synthesis of these two beginnings, we can understand Rashi – Pegasus – a winged horse born from the body of a khtonian creature. On Rash, as a mediator between the scans, the warrior hero moves smoothly in all three dimensions. This represents all four elements at once earth, air, fire, and water.

The international motif of the celestial origin of the horse bred, the cult of the horse, significant parallels can be found in Georgian oral tradition and ethnographic materials.

In Pshav-Khevsureti and Tusheti there is still a belief in the existence of so-called “horses with parts”.

It is generally known that a horse is an attribute of the sun. Often horses have the sun on their foreheads. In Sologa’s poem, a horse with a “diamond on its forehead”.

The divine nature of the horse is also indicated by the fact that it is oracle. The future was predicted for the horse’s “hooves”. The three-legged horse motif is quite common in Megrelian and Svan legends.

The function of the horse as a connecting dimension is well preserved in magical tales as well.

ეკა ჩხეიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ცხენის მითოლოგემა ზეპირსიტყვიერებასა და არქაულ აზროვნებაში

ცხენი ინდო-ევროპულ მითოლოგიაში ცხნობილია, როგორც მზის ღმერთის ცხოველი. პოსეიდონის ერთ-ერთი წოდებაა „ცხენთა მომთვინიერებელი“ – დომაიოსი. მასვე მიეწერება ცხენის სახით მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთთან – დემეტრასთან – კავშირი. ინდურ ვედებში თვითონ მზეც კი მოხსენიებულია ცხენად. არსებობს მზის, როგორც ზეციური ცხენისადმი, მიმართული ჰიმნიც. ჰელიოსი (მზე) ყოველდღე მოგზაურობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სხივმფრქვეველი ეტლით, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მზის ეტლში შებმული ოთხი ცხენიდან ერთი ეოსია. ბერძნულ მითოლოგი-

აში ეოსი ოკეანის აღმოსავლეთ მხარეს ცხოვრობს. დილით მიეჩქარება ორცხენიანი ეტლით, რათა გვამცნოს თავისი ძმის, ჰელიოსის, მობრძანება.

ცხენის სახის ტრანსფორმაცია ათასწლეულების განმავლობაში ხდებოდა. ის იყო ცისა და მიწის მაკავშირებელი, პატრონის ნების უპირობო შემსრულებელი, განსაცდელისა თუ უბედურების წინასწარ შემტყობი, გულთმისანი; ცხენებზე ვრცელდებოდა მაქციობა და ა. შ.

სკნელებს შორის გადაადგილების ფუნქცია მაგიურ აზროვნებაში ცხენს ევალებოდა. ამიტომ ცხენიც ორი ჰიპოსტაზით გაიაზრება – ხთონურით და ციურით. ამ ორი საწყისის სინთეზად შეიძლება გავიაზროთ რაში – პეგასი – ხთონური არსების სხეულიდან დაბადებული ფრთოსანი ცხენი. რაშზე, როგორც სკნელთა შორის შუამავალზე, ამხედრებული გმირი დაუბრკოლებრივ მოძრაობს სამივე სკნელში. რაში ერთდროულად ოთხივე სტიქიას – მიწას, ჰაერს, ცეცხლსა და წყალს – განასახიერებს.

ცხენთა მოდგმის ციური წარმომავლობის საერთაშორისო მოტივს, ცხენის კულტს, საგულისხმო პარალელები ეძებნება ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ეთნოგრაფიულ მასალებში.

ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთში დღემდე შემორჩენილია რწმენა ე. წ. „ნაწილიანი ცხენების“ არსებობის შესახებ.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ცხენი მზის ატრიბუტია. ხშირად ცხენებს მზე შუბლზე აქვთ. სოლოდას ლექსში ცხენს „აღმასი უზის შუბლზედა“.

ცხენის ღვთიურ ბუნებაზე მიუთითებს ისიც, რომ იგი გულთმისანია. ცხენის „ღრაჭუნზე“ მომავალს წინასწარმეტყველებდნენ. სამფეხა ცხენის მოტივი საკმაოდაა გავრცელებული მეგრულ და სვანურ გადმოცემებში.

ცხენის, როგორც სკნელების დამაკავშირებელი ფუნქცია, კარგად არის შემონახული ჯადოსნურ ზღაპრებშიც.

Rusudan Cholokashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Duality of Mortal and Resurrected Deities and its Traces in the “Etheriani”

The ancient Georgian epic “Etheriani” tells the story of the tragedy that befell the ruler: after the ruler (Absalom) was overthrown by the queen Vizier (Murman), Absalom died. Because of this, the queen (Ether) committed suicide and Murman committed suicide. Then plants appeared on the graves of the dead (ia, rose and thorn). It is well known that such transfiguration is notable for mythological thinking, and in general, “Etherian” repeatedly shows traces of mythical imagination.

The paper focuses on the study of the heroes of the son of “Etheriani” in relation to the mortal and resurrected deities. Anthropologically, the ancient opposing deities (Osiris-Seti ...), who fought for the governance of the universe, were previously preceded by zoomorphic faces (eagle-snake). Birds and snakes were united in the form of a dragon. I.e. Originally, the universe was thought to be a single entity, and these opposing divine forces were metaphysical variants of one deity. Indeed, who has the power to defeat the sun deity, whether he is equal or right, i.e. To the sun god himself – the earthly sun. Thus, the eagle and the serpent are metamorphosed into one divine whole. This ancient understanding is also based on two human characters portrayed as human beings, representing the earthly and “those” worldly divisions of the resurrected deity of God in its metamorphosis. For the state alone, a throne and a palace are not enough. In order to renew the dormant world, the young governor

of the country must also have a queen. Similarly, the controversy between Absalom and Murman in the Ethereum and the death of the king caused by the loss of the ether must be explained. I.e. The opposing sons of “Eteriani” are also the faces obtained as a result of the artistic processing of metamorphic creatures representing the ancient deity of the sun.

რუსუდან ჩოლოყაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგომ ღვთაებათა ორსახოვნება და მისი კვალი „ეთერიანში“

უძველეს ქართულ ეპოს „ეთერიანში“ მოთხრობილია ხელმწიფის თავს გადამხდარი ტრაგედიის შესახებ: მას შემდეგ, რაც ხელმწიფეს (აბესალომს) ვეზირმა (მურმანმა) დედოფალი წარსტაცა, აბესალომი გარდაიცვალა. ამის გამო დედოფალმა (ეთერმა) თავი მოიკლა და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე მურმანმაც. შემდეგ კი დაღუპულთა საფლავებზე მცენარეები აღმოცენდა (ია, ვარდი და ეკალი). ცნობილია, რომ ამგვარი ფერისცვალება მითოსური აზროვნებისათვისათვის არის ნიშანდობლივი და საერთოდაც, „ეთერიანში“ არაერთგზის ჩანს მითოსურ წარმოსახვათა კვალი.

ნაშრომში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია „ეთერიანის“ ვაჟი გმირების შესწავლაზე მოკვდავ და მკვდრეთით აღმდგარ ღვთაებებთან მიმართებაში. ანთროპოლოგიური სახით წარმოდგენილ ნაოფიერების მომნიჭებელ მზის უძველეს ურთიერთ დაპირისპირებულ ღვთაებებს (ოსირის-სეთი...), რომლებიც სამყაროს გამგებლობისათვის იბრძვიან,

ადრე ზოომორფული სახისანი (არწივი-გველი) უსწრებდნენ. ფრინველი და გველი გველეშაპის სახეშიც იყვნენ ერთ ღვთაებად გაერთიანებულნი. ე.ი. თავდაპირველად სამყარო ერთ მთლიანობად გაიზარებოდა და ეს დაპირისპირებული ღვთაებრივი ძალები ერთი ღვთაების მეტამორფოზულ სახესხვაობებს წარმოადგენდა. მართლაც, ვის შესწევს ძალა მზის ღვთაების დამარცხებისა თუ არა მისსავე ტოლსა და სწორს, ე.ი. თავად მზის ღვთაებას – იმქვეყნიური მზეს. ამდენად, არწივი და გველი ერთი ღვთაებრივი მთლიანობის მეტამორფოზული სახესხვაობებია. ეს უძველესი გააზრება უდევს საფუძვლად ადამიანთა სახით წარმოდგენილ ორ მოქიშპე გმირსაც, რომლებიც მკვდრეთით აღმდგომი ღვთაების ამქვეყნიურ და „იმ“ ქვეყნიურ ორსახოვნებას მის მეტამორფოზულ სახესხვაობებს განასახიერებენ.

ხელმწიფობისთვის მხოლოდ ტახტი და სასახლე საკმარისი არ არის. მიძინებული სამყაროს გასახლებლად ქვეყნის მარად ჭაბუკ გამგებელს დედოფალიც უნდა ჰყავდეს. ამგვარივე გააზრებით უნდა აიხსნას „ეთერიანში“ აბესალომისა და მურმანის დაპირისპირებაც და ეთერის დაკარგვით გამოწვეული მეფის სიკვდილიც. ე.ი. „ეთერიანის“ ურთიერთ დაპირისპირებული ვაჟებიც მზის უძველესი ღვთაების განმასახიერებელ მეტამორფოზულ არსებათა მხატვრულად გადამუშავების შედეგად მიღებული სახეებია.

Ana Dolidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Dream Making as One of the Characteristics of Modernismas in Georgian Artistic Discourse

The study of the dream phenomenon in Georgian artistic discourse is very important. The function of which in Georgian texts demands special study, as it represents provoking element of narrative structure;

The goal of the research is to analyze dreamy visions in Georgian artistic texts with various perspectives; to explore the phenomenon of a dream by uniting psychological and literary aspects.; Typological classification of dreams and Its Variations in the Creation of Georgian realist and modernist writers.

The attitude of realism as a literary direction towards the phenomenon of dreams is characterized by some peculiarities ... In Georgian realism, the dream adhered to the basic principles of this direction. The dream, as well as literature in general, is one of the ways to influence the society.

The 80s writer Vazha Pshavela, who also shares realistic principles, resembles 60s dreamers. Vazha-Pshavela, in contrast, has a dreamlike vision that is not only related to sleep. He has a dream in his mind, which is one of the ways of accessing the irrational world through the mystical-allegorical perception and myth of the dreamer.

Vazha's next generation of Georgian writers who are fond of European culture began to master and develop the themes typical to modernism, and also to its theoretical principles.

An analysis of the works of Konstantine Gamsakhurdia, Demna Shengelaia and Grigol Robakidze shows that Georgian writers at the

beginning of the 20th century were following European literary processes, putting Georgian culture on the side of Europe. To illustrate modernist tendencies, they used the dream making as one of the important means of artistic imagery and through it came to realize an idealistic sense of the word.

ანა დოლიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიზმრისქმნალობა, როგორც მოდერნიზმის ერთ-ერთი მახასიათებელი ქართულ მხატვრულ დისკურსში

ქართულ მხატვრულ დისკურსში სიზმრისეული ჩვენებების ფუნქციურ მრავალფეროვნებას მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში უდიდესი დატვირთვა ენიჭება. ნაშრომის მიზანია სიზმარეული ჩვენებების სხვადასხვა ასპექტით განალიზება ქართულ მხატვრულ ტექსტებში; სიზმრის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია და მისი ნაირსახეობების დადგენა ქართველი რეალისტი და მოდერნისტი მწერლების შემოქმედებაში.

რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, დამოკიდებულება სიზმრის ფენომენის მიმართ გარკვეული თავისებურებით ხასიათდება... ქართულ რეალიზმში სიზმარი დაემორჩილა ამ მიმართულების ძირითად პრინციპებს – სიზმარი, ისევე როგორც ზოგადად ლიტერატურა, საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი საშუალებაა.

80-იანი წლების მწერალი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ასევე რეალისტურ პრინციპებს იზიარებს, სიზმრის ასახვის თვალსაზრისით ემიჯნება 60-იანელებს. ვაჟა-ფშაველასთან,

მათგან განსხვავებით, გვხვდება სიზმრისქმნადობა, რომელიც არ არის მხოლოდ ძილთან დაკავშირებული. ვაჟასთან ის არის სიზმარი ფიქრში (გონებაში), რაც ირაციონალური სამყაროს წვდომის ერთ-ერთი საშუალებაა სიზმრად ნანახის მისტიკურ-ალეგორიული აღქმითა და მითის გადააზრებით.

ვაჟას შემდგომი თაობა, ევროპულ კულტურას ნაზიარები ქართველი მწერლები იწყებენ მოდერნიზმისთვის ტიპური თემების ათვისებას და დამუშავებას, ეცნობიან მის თეორიულ პრინციპებსაც. კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელიასა და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებათა ანალიზით ჩანს, რომ ქართველი მწერლები მე-20 საუკუნის დასაწყისში ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს, რითაც ქართულ კულტურას ევროპულის გვერდით აყენებდნენ. მოდერნისტული ტენდენციების გამოსახატავად ისინი იყენებდნენ სიზმრისქმნადობას, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხერხს და მისი მეშვეობით ახერხებდნენ სათქმელის იდეალისტურ გააზრებას.

Roman Dzyk

Liliia Shutiak

Ukraine, Chernivtsi

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

Folklore in the journal “Problems of Russian Literature” (1966–1991)

The journal “Problems of Russian Literature” is one of the oldest Ukrainian scientific periodicals on the problems of poetics and history of world literature. Since 1993, it has been published

under the title “Problems of Literary Criticism”. Despite the fact that the main object for scientific studies in the journal is literature, the problems of folklore have always occupied an important place in it. In this article we will analyze only historical stage when the magazine was called “Problems of Russian Literature” (1966–1991). From time to time, there were columns devoted directly to folklore: “History of Soviet Folklore”, “History of Literary Studies and Folklore”, “History of Folklore”, “Folklore and Literature”, “Folklore”. In addition, the problems of folklore were covered in a large number of articles that were not included in these headings. Mostly folklore was analyzed in relation to the literature. Among the materials, there are both historical and theoretical studies. We reviewed all of these materials and tried to classify them.

Ketevan Elashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Poetic Synthesis of Words (Giorgi Leonidze “The Wishing Tree”)

The word originates from the native land like a plant, but only the creator inspires the inner spirit to the speech. That is why the word that comes out of the origin, without any pressure, finds its own flow in the artistic thinking. As a poem, it acquires a completely different ascent or descent, and in the narration, it tries to adjust the natural stream of the word to the severity of the unknown of life alone. The poetic aesthetics of “The Wishing Tree” can be found in this

unusual wording, which Gogla himself, as a child, was able to smell from the morning of spring... in blue-eyed violets, in tulips from the wheat fields, in full heads of plants, in swollen fields...

This is a very unusual artistic ritual of word formation – with a sharply expressed folkloric tinge, which somehow goes beyond the usual neologisms: the inner nature of these distinctive words expands the field of artistic ability in such a way that we bring this word into the “shadow of “The Wishing Tree”. This magic tree, by itself and at the same time, thanks to its poetic magic, opens the sky, digs the ground, removes the invisible boundary between this and that heritage, and turns Patardzeuli into a single world.

That is why the villagers of Gogla, who are on the scene of life, are led to a sense of non-existence today – the life read by sharing the feeling of the word. At this time, the forgotten word is like a fog – it acquires emotion, color, smell, intonation and, most importantly, the revived word sows grace, kindness. However, we must also keep in mind that the eruption of the hatred or jealousy is also manifested in words.

On the one hand, it is clear that these words only delight well in the literary field, and on the other hand, they become vague and unspoken.

ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

გოგლასეული სიტყვათქმანი (გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“)

მშობლიური მიწა-წყლიდან სიტყვაც მცენარის მსგავსად აღმოცენდება ხოლმე, მაგრამ შინაგან მეტყველებას მას მხოლოდ სული შემოქმედი შთაბერავს. ამოტომაცაა, რომ სათავიდან წამოსული სიტყვა, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, მხატვრულ აზროვნებაში თავად პოულობს საკუთარ დინებას. ლექსდალექს ის სრულიად სხვა აღმაფრენას თუ გაქანებას იძენს, ხოლო თხრობისას კი – ცდილობს მარტოოდენ ცხოვრების შეუცნობლობის სიმძიმეს მოარგოს სიტყვის სტიქიური ბუნება.

„ნატვრის ხის“ პოეტური ესთეტიკაც სწორედ ამ უჩვეულო სიტყვათქმანშია საძიებელი, რომელიც თავად გოგლამ, სრულიად ბავშვმა, „გაზაფხლის დილიდან გამონაჟურით შეისურნელა... ლურჯთვალა იებში, ყაყაჩოგარეულ ჯეჯილებში, გამოვსებულ თავთავებში, შეთქვირებულ ყანებში იპოვა...“

ეს კი სიტყვათქმნადობის მეტად უჩვეულო მხატვრული რიტუალია – მკვეთრად გამოხატული ფოკლორული ელფერით, რაც ჩვეულებრივი ნეოლოგიზმების ფარგლებს ერთგვარად სცილდება: ამ გამორჩეულ სიტყვათა შინაგანი ბუნება მხატვრული შესაძლებლობის ველს იმგვარად აფართოებს, რომ სწორედ ამ სიტყვათქმნას შევყავართ „ნატვრის ხის ჩრდილქვეშ“. ეს გრძნეული ხე კი, თავისთავად და იმავდროულად, პოეტური მაგიის წყალობით, ცას ხსნის, მიწას აპობს, ამ და იმ სამკვიდროს შორის უჩინარ ზღვარს შლის და ერთიან სამყაროდ აქცევს პატარძეულს.

ამიტომაც, ცხოვრების ავანსცენაზე გამოხმობილ გოგლას თანასოფლელებს დღეს არარსებულ შეგრძნებამდე მივყავართ – სიტყვის თანაგანცდით წაკითხული ცხოვრება რომ ჰქვია. ამ დროს თუნად მივიწყებული სიტყვა წისლივით კვლავ ღვივდება – ემოციას, ფერს, სურნელს, ინტონაციას იძენს და, რაც მთავარია, გაცოცხლებული სიტყვა მადლს, სიკეთეს თესავს. თუმცაღა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვითვე ხდება ბოლმისა თუ გესლის ამოფრქვევაც.

ერთი კი ცხადზე ცხადია, რომ ეს სიტყვათთქმანი მხოლოდ გოგლას მხატვრულ ველში დანერგილნი ხარობენ ლაღად, სხვაგან კი – ისევ სხივჩამქრალნი და უმეტყელიონი ხდებიან.

Maka Elbakidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Vladimir Propp and his „Morfology of the Folktale“

Russian literary scholar and founder of narratology, Vladimir Propp in 1928 published „The Morphology of the Folktale“, which applied the principle of Russian Formalism to the study the narrative structure of Slavic folktales. Propp focused exclusively on the abstract form of the text, paying particular attention to the events (or functions) and character types in the tale. By sorting out those events and characters which are crucial to the tale and those which are superfluous, Propp exposed the syntagm or that which is universal to the tale. He argued that there are 31 basic functions and 7 character types and that all folktales are created using an amalgam of these standard ingredients.

The impact of this work was quite modest to begin with; indeed, it was not until 1960 when Claude Lévi-Strauss wrote an approving, but nonetheless searching critique of the 1958 English translation did it become well known. Following that, however, its impact was nothing short of seismic: it reshaped the study of narrative almost completely. Roland Barthes translated Lévi-Strauss's insights into a useable form for literary criticism in his 1966 essay „Introduction to Structural Analysis of Narratives“. Probably the best known and most effective use of Propp's thought is in the study of Medieval Chivalry Romancé. First Algirdas Jullien Greimass, in 1966 developed an actant model, also called actantial narrative schema – the model which considers the action divided into six facets, called actants; then Donald Maddox used this scheme in connection with French chivalry romances.

მაკა ელბაქიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ვლადიმერ პროპი და მისი „ზღაპრის მორფოლოგია“

რუსმა ლიტერატურათმცოდნემ და ნარატოლოგიის ფუნდამენტელმა, ვლადიმერ პროპმა 1928 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი ფუნდამენტური ნაშრომი „ზღაპრის მორფოლოგია“, რომელშიც სლავური ხალხური ზღაპრების სტრუქტურის შესასწავლად რუსული ფორმალიზმის პრინციპები გამოიყენა. პროპმა ძირითადი ყურადღება გაამახვილა ტექსტის აბსტრაქტულ ფორმაზე, ასევე ზღაპრის პერსონაჟთა ტიპებსა და ფუნქციებზე. ტექსტში განვითარებული მოვლენებისა და პერსონაჟთა ანალიზისას ის მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს 31 საბაზისო ფუნქცია და სიმბოლოთა 7 ტიპი და რომ ყველა

ხალხური ზღაპარი ამ სტანდარტული „ინგრედიენტების“ საფუძველზეა აგებული.

თავდაპირველად ამ ნაშრომს დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. პროპის სახელი ევროპაში პოპულარული გახდა 1958 წლიდან, მისი ნაშრომის ინგლისურ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ. თავის კრიტიკულ სტატიაში (1960 წ) ცნობილმა ფრანგმა ანთროპოლოგმა და ეთნოლოგმა კლოდ ლევი სტროსმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვლადიმერ პროპის 20-იან წლებში დაწერილ ნაშრომში პრობლემათა ისეთი ფორმულირება და ანალიზი ჩანდა, როგორც მხოლოდ 50-იანი წლების სტრუქტურული ანალიზისთვის შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი. როლან ბარტმა 1966 წელს გამოქვეყნებულ ესეში „შესავალი ნარატივის სტრუქტურულ ანალიზში“ რუსი ფოლკლორისტის თეორია მოიხსენია, როგორც ახალი სიტყვა ნარატოლოგიაში.

პროპის ნააზრევის მისადაგება ეფექტური აღმოჩნდა არა მარტო ზეპირსიტყვიერების ნიმუშების, არამედ ლიტერატურული ძეგლების კვლევისას. თავდაპირველად პარიზის სემიოტიკური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, წარმოშობით ლიტველმა მეცნიერმა ალგიდრას ჟულიენ გრემასმა შეიმუშავა აქტანტთა ნარატიული სქემა, რომელშიც პერსონაჟთა 6 ფუნქციური კატეგორია გამოჰყო და გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ მოდელის მიხედვით დაიწყო ლიტვური მითოლოგიის შესწავლა და რეკონსტრუქცია. მოგვიანებით ამერიკელმა მედიევისტმა დონალდ მადოქსმა ეს სქემა ფრანგულ რაინდულ რომანს მიუსადაგა.

Maria Filina

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Polish “Caucasian Poets” – Collectors of Georgian Folklore

The emergence of multi-dimensional Georgian-Polish literary relationships refers to the first half of the XIX century. The Tsarist authorities were intended to punish “political criminals”, the result was just the opposite – there was exiled spiritual union with the Georgian elite. The exiled Poles expanded the ideas of their compatriots about the Caucasus, in the 1830-1840s the Caucasus ceased to be just an edge of exotic romantic inspiration, and entered to the interests of reading Pole.

Almost all the leading Polish writers were interested in the folklore of Caucasus and wrote its samples – legends, traditions and poetic examples of Georgian folklore.

Tadeusz Lada-Zablotsky in letters to Yu.I. Krashevsky and in a letter to the editor Podberesky (1843) writes about his interest in Georgian folklore, in censorship: “Hugo Korsak, a young man, writes a story called “Kikoli” on basis of Georgian folklore traditions. “

Some samples were recorded by the Poles earlier than Georgian and North Caucasian scientists, and even to this day they have not been able to identify them. Most of the samples of folklore are given in the most detailed book by Mateush Gralewski “The Caucasus” (Lvov 1877). Gralevsky retells tales and legends, and also cites poetic samples in his translation.

In various forms, samples of Georgian folk art are presented in works of Michal Andjeikovich and Ksaveri Petrashkevich.

The work of Polish writers on Caucasian folklore was episodic in nature, but they aroused the interest to it among European writers and scholars of the next generations.

მარია ფილინა

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პოლონელი „კავკასიელი პოეტები“ – ქართული ფოლკლორის შემკრებნი

მრავალგანზომილებიანი ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობების აღმოცენება მე –19 საუკუნის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ქართველ და პოლონელ ხალხთა შემოქმედებითი ინტერესების გადაკვეთის ისტორია დრამატულია. ლიტერატორების ურთიერთ ინტერესთა აღმოცენებისა და განვითარების ყველაზე ნათელი პერიოდი 1830-იან წლებში ახალგაზრდა განათლებული პოლონელების გადასახლებას უკავშირდება. ცარისტული ხელისუფლება „პოლიტიკურ დამნაშავეთა“ დასჯას ისახავდა მიზნად, შედეგად კი სრულიად საწინააღმდეგო მიიღეს – თავი იჩინა სულიერმა კავშირმა გადასახლებულებსა და ქართველი ინტელიგენციის ელიტას შორის. ერთობ რთულ ვითარებაში იქნებოდა კავშირების მთელი სისტემა – ურთიერთ თარგმანები, პოლონელი ისტორიკოსებისა და ეთნოგრაფების მიერ კავკასიის შესწავლა, კერძოდ, საქართველოსი, გაცხარებული კავკასიის ომის დროს. ორი ათეული წლის განმავლობაში თბილისში ფუნქციონირებდა პოლონური რომანტიზმის ერთგვარი „ფილიალი“ – პოლონელ „კავკასიელ“ პოეტთა ჯგუფი.

გადასახლებულმა პოლონელებმა გააფართოვეს თავიანთი თანამემამულეების წარმოდგენები კავკასიის შესახებ,

1830-1840-იან წლებში კავკასია უკვე აღარ არის მხოლოდ რომანტიკული შთაგონების ეგზოტიკური მხარე, არამედ ხდება მკითხველ პოლონელთა ინტერესის საგანი.

თითქმის ყველა წამყვანი პოლონელი ლიტერატორი ინტერესდებოდა კავკასიის ფოლკლორით, იწერდნენ მის ნიმუშებს – ლეგენდებს, თქმულებებს და ქართული ფოლკლორის პოეტურ ნიმუშებს.

ი. ი. კრაშევსკისთან და რედაქტორ რ. პოდბერესკისთან გაგზავნილ წერილებში ტადეშ ლადა-ზაბლოცკი (1843) წერს ქართული ფოლკლორისადმი ინტერესის შესახებ, კერძოდ: „ჰუგო კორსაკი, ახალგაზრდა კაცი, წერს მოთხრობას სათაურით „კიკოლი“, რომელსაც საფუძვლად უდევს ქართული თქმულებები“.

ზოგიერთი ნიმუში პოლონელებმა ქართველ და ჩრდილოეთ კავკასიელ მეცნიერებზე ადრე ჩაიწერეს, დღემდე ვერ მოხერხდა მათი იდენტიფიცირება. ფოლკლორის ყველაზე მეტი ნიმუში მოცემულია მათეუმ გრალოვსკის დაწვრილებით წიგნში „კავკასია. მოგონებები თორმეტწლიანი ტყვეობის შესახებ“ (ლვოვი, 1877). გრალევესკი გადმოსცემს ლეგენდებსა და თქმულებებს, აგრეთვე მოჰყავს მის მიერვე ნათარგმნი პოეტური ნიმუშები.

ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშები სხვადასხვა ფორმით გვხვდება მიხალ ანჯეიკოვიჩთან და ქსავერ პეტრაშკევიჩთან.

კავკასიის ფოლკლორზე პოლონელ ლიტერატორთა მუშაობა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, თუმცა სწორედ მათ გაუღვიძეს მისდამი ინტერესი მომავალი თაობების ევროპელ მწერლებსა და მეცნიერებს.

Tamaz Gabisonia

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Christian Traces in Svan Hymnal Songs

In Svaneti, similar to other mountainous regions of Georgia, certain amount of songs are on Christian theme; however pagan elements are also observed. Together with Mokhevian-Mtiuletian analogues the merge of pagan and Christian substrates are especially evident in hymn-like songs. The paper deals with the peculiar features of this stratum, that indicate to its Christian origin. These are:

a. The principle for binding the phrases – dramaturgical method, which is also characteristic of Christian chants;

b. Parallel vocal movements and synchronic type of polyphony – similar to Georgian church chants;

c. Obvious or possible Christian origin of glossolalias and songs (“Jgrag”, “Lile”, “Tskhau Krisdeshi”, “Lagusheda”, “lazhghvash”, “Dideba Taringzelars”, “lamzriash”);

d. Function, structure and text atrophy of the song “Zari” in relation to West Georgian examples of analogues title and genre.;

e. Rhythmic-melodic relation of the folklorized chant “Kriste Aghdga” (Christ is Risen) to Georgian sacred chants with similar title.

The paper supposes that co-existence of degradation and development tendencies can be betoken. More precisely, majority of these songs can be presented as simplified variants of the examples with chant structure and function; on the other hand the stage of transmission from two-part to three-part singing cannot be unconditionally understood as a phenomenon surviving in archaic form to this day.

თამაზ გაბისონია

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქრისტიანული კვალი სვანურ ჰიმნურ სიმღერებში

როგორც საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებში, სვანეთშიც ხალხურ სიმღერათა გარკვეული ნაწილი ქრისტიანული თემატიკისაა, თუმცა მათშიც აშკარად შეინიშნება გაწარმართების ელემენტები. მოხევურ-მთიულურ ანალოგებთან ერთად, სვანეთში წარმართული და ქრისტიანული სუბსტრატების შერწყმა განსაკუთრებით თვალნათლივია ჰიმნური ხასიათის სიმღერებში. მოხსენებაში განხილულია ამ პლასტის ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელიც მის ქრისტიანულ წარმომავლობაზე მიგვითითებს; ესენია:

ა) ფრაზების აკინძვის პრინციპი – დრამატურგიული მეთოდი, რომელიც ასევე ქრისტიანული საგალობლებისათვისაა დამახასიათებელი;

ბ) პარალელური ხმათასვლა და მრავალხმიანობის სინქრონული ტიპი – ქართული საეკლესიო საგალობლების მსგავსად;

გ) გლოსოლალიათა თუ სამღერისთა აშკარა ან შესაძლო ქრისტიანული წარმომავლობა (ჯგრაგ, ლილე, კვირია, ცხაუ ქრისდემი, ლაგუშედა, ლაჟღვაშ, დიდება თარიგზელარს, ლამზორიაშ);

დ) სიმღერა „ზარის“ ფუნქცია, აგებულება და ტექსტის ატროფირების საკითხი ანალოგიური დასახელებისა და ჟანრის დასავლურქართულ ნიმუშებთან მიმართებაში;

ე) გახალხურებულ საგალობელთა „ქრისტე აღდგა“ და „წმინდაო ღმერთო“ რიტმულ-მელოდიური მიმართება ანალოგიური დასახელების ქართულ საეკლესიო საგალობლებთან.

მოხსენებაში წარმოდგენილია ვარაუდი, რომ შესაძლებელია, სვანურ ჰიმნურ სიმღერებში ვიგულისხმოთ დეგრადაციის და განვითარების ტენდენციათა თანაარსებობა. კერძოდ, ამგვარ სიმღერათა უმეტესობა, შესაძლოა, საგალობლის წყობისა და ფუნქციის ნიმუშების გამარტივებულ ვარიანტებად წარმოვადგინოთ; ამასთან, მეორე მხრივ, სვანურ სიმღერაში ორხმიანობიდან სამხმიანებაზე გადასვლის ეტაპი უპირობოდ არ უნდა აღვიქვათ დღემდე არქაული სახით მოღწეულ ფენომენად.

Julieta Gabodze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Alexandre Orbeliani, as Researcher and Collector
of Georgian Folk
(According to the new academic four volume materials of
compositions)**

Numerous compositions of one of the leader of 1832 plot – Alexandre Orbeliani (1802-1869), Georgian famous political and social figure, romantic writer, publicist, dramaturg and memory writer, pro-saist-documentalistic of XXI century counts up several tenth artistic texts and more documental-historical and memorial prose samples. His documental prose will be unimaginable without historical-memorial and folk writings and publicist letters in order to restore the cultural-educational and social-political picture of XIX century.

Unfortunately, there are not any full publications of writer's compositions till today, therefore, full study of his creation is impossible.

In 2020, Rustaveli National scientific fund has financed the project “**at the source of Georgian Europeism – Publication of Academic four-volume of Al. Orbeliani**” for Georgian Literature Institute, named after Shota Rustaveli.

Full volume of compositions gives the opportunities to introduce Al. Orbeliani to the reader as Georgian Folk Researcher. His interest during researching the Georgian Folk is many-sided. His creation can keep Georgian orally transmitted texts, herewith; he is a collector-researcher of Georgian Musical folk. According to Mikheil Chikovani Estimation, “Alexandre Orbeliani is the beginner of Georgian Folk creation, namely, the study of musical part.” His letter “Singing, chanting and crooning of Iverieli” may be concluded as the first serious trying of Georgian songs classification. The long letter “My mistake” is dedicated to the musical instruments and player-singers.

Besides it, Al. Orbeliani tells us about other folk traditions with great interest. For example, he discusses the “Art of Georgian Table” in the letter “Tolumbashoba”. He speaks about the agricultural folk traditions in the letter “Cheering up with vine”.

Al Orbeliani was interested in **Historical monuments and its architect**. By this, his letters “Old bordering of Tbilisi”, “Telavi” and etc. were very important, where we can see the previous location of these cities, stories and description of castle.

In the conference speech, we will talk about unfamiliar or less familiar folk writings of Al. Orbeliani.

ჯულიეტა გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ალექსანდრე ორბელიანი ქართული ფოლკლორის შემკვრები და მკვლევარი (თხზულებათა ახალი აკადემიური ოთხტომეულის მასალების მიხედვით)

XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, რომანტიკოსი პოეტის, დრამატურგის, პუბლიცისტისა და მემუარისტის, პროზაიკოს-დოკუმენტალისტისა და 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურის **ალექსანდრე ორბელიანის (1802-1869)** ჩვენამდე შემორჩენილი მრავალფეროვანი შემოქმედება რამდენიმე ათეულ მხატვრულ ტექსტსა და უფრო მეტ კრიტიკულ, დოკუმენტურ-საისტორიო და მემუარული პროზის ნიმუშს ითვლის. მისი დოკუმენტური პროზის, ისტორიულ-მემუარული და ფოლკლორული ჩანაწერებისა და პუბლიცისტური წერილების გარეშე წარმოუდგენელი იქნება XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანამანათლებლო სურათის აღდგენა.

სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს მწერლის თხზულებების სრული გამოცემა, რის გამოც შეუძლებელია მისი შემოქმედების სრულყოფილი შესწავლა.

2020 წელს რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსდა **შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროექტი „ქართული ევროპეიზმის სათავეებთან – ალ. ორბელიანის თხზულებათა აკადემიური ოთხტომეულის გამოცემა.“**

თხზულებათა სრული გამოცემა საშუალებას მისცემს მკითხველს გაიცნოს ალ. ორბელიანი, როგორც ქართული ფოლკლორის მკვლევარი. მრავალმხრივია მისი ინტერესი ქართული ფოლკლორის კვლევისას. მისი შემოქმედება მრავლად ინახავს ქართული ზეპირსიტყვიერების ტექსტებს, ამასთან, იგი **ქართული მუსიკალური ფოლკლორის მკვლევარ-შემგროვებელიცაა**. მიხეილ ჩიქოვანის შეფასებით „აღექსანდრე ორბელიანი ქართული ხალხური შემოქმედების, კერძოდ, მისი მუსიკალური ნაწილის შესწავლის წამომწყებია.“ მისი წერილი „ივერიელთა გალობა, სიმღერა და ღიღინი“ შეიძლება ჩაითვალოს ქართული სიმღერების კლასიფიკაციის პირველი სერიოზულ მცდელობად. **საკრავებსა და დამკვრელ-მომღერლებს ეძღვნება** ვრცელი წერილი „ჩემი ცთომილება“.

გარდა ამისა, ალ. ორბელიანი დიდი ინტერესით მოგვითხრობს სხვა ხალხური ტრადიციების შესახებაც, მაგალითად, **ქართული სუფრის ხელოვნებას** განიხილავს წერილში „ტოლუბაშობა“.

სამეურნეო ხალხური ტრადიციების შესახებ საუბრობს წერილში– „მოლხენა ვაზთან“.

ალ. ორბელიანი დაინტერესებული ყოფილა **ისტორიული ძეგლების ისტორიითა და არქიტექტურით**. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა მისი წერილები: „თფილისის ძველი მოზღუდვილობა“, „თელავი“ და სხვ. რომლებშიც გადმოცემულია თქმულებები, ამ ქალაქების მაშინდელი მდებარეობა და ციხეგალავანთა აღწერილობა.

საკონფერენციო მოხსენებაში ვისაუბრებთ ალ. ორბელიანის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფოლკლორული ჩანაწერების შესახებ.

Nugesha Gagnidze

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Individual and Collective Memory in the Works of Givi Margvelashvili and Herta Müller

Giwi Margvelashvili (1927-2020), a German-born Georgian writer, and Herta Müller (1957), a Romanian-born German novelist, lived in different cultural spaces under totalitarian regimes. This is the era when authoritarian dictatorships (Bolshevik-Socialist, National-Socialist, Fascist), so symptomatic of late modernity, embraced various countries and almost all areas of human life and spiritual endeavor. Needless to say, this finds expression in literature. Margvelashvili and Müller demonstrate the ways in which totalitarianism shapes individual human life and consciousness. Individual and collective memory are key concepts in their writing. They are used to represent broad socio-political backgrounds/contexts and/or intimately personal stories/events, eventually forming a complex unity. Their texts are focused on similarities as well as distinctive features between Socialist and National-Socialist totalitarian regimes, issues of religion and belief in totalitarian systems, consequences of Socialist and National-Socialist Dictatorships.

The works of Giwi Margvelashvili and Herta Müller are also interesting in terms of their genre peculiarities. In the present paper I have tried to demonstrate the ways in which personal and epochal tragedies, painfully stored in individual as well as collective memory, are embodied in postmodern and anti-Bildungsroman novels. The paper focuses on the life in concentration and labor camps and the tragedy of generations under totalitarian regimes as depicted in the

texts of Margwelashwili and Müller. The study takes into account the literary-aesthetic views of Margwelashwili and Müller, shaping the constellation of imagery, structure and narrative style of their fiction.

ნუგეზა გაგნიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება გივი მარგველაშვილისა და ჰერტა მიულერის ნაწარმოებების მიხედვით

გერმანიაში დაბადებული ქართველი მწერალი გივი მარგველაშვილი (1927-2020) და რუმინეთში დაბადებული გერმანული წარმომავლობის ჰერტა მიულერი (1957) ტოტალიტარული რეჟიმების ეპოქაში სხვადასხვა კულტურულ სივრცეში ცხოვრობდნენ. ეს ის ეპოქაა, როცა ავტორიტარულ-მა დიქტატურამ (ბოლშევიკურ-სოციალისტური, ნაციონალ-სოციალისტური, ფაშისტური), როგორც ამ დროის ერთგვარმა სახასიათო მოვლენამ, მოიცვა კონკრეტული ქვეყნები და ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფერო. შესაბამისად, აისახა იგი ლიტერატურაშიც. ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული გერმანულენოვანი ავტორების მარგველაშვილისა და მიულერის ნაწარმოებებში არაორდინალურად და შთამბეჭდავად აისახა ნანახი და განცდილი. ისინი ნათლად უჩვენებენ, თუ რა გავლენა და შედეგები აქვს ინდივიდზე ტოტალიტარიზს. მარგველაშვილისა და მიულერის ტექსტებში ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერება არსებითია. მათ საფუძველზე წარმოდგენილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ პირად-ინტომური ამბები საერთო ჯამში ერთ კომპლექსურ სურათს გვიხატავს. მასში განსაკუთრებულ

მნიშვნელობას იძენს სოციალისტური და ნაციონალ-სოციალისტური ტოტალიტარული რეჟიმების მსგავსი და განმასხვავებელ თავისებურებები; რელიგიისა და რწმენის საკითხები ტოტალიტარულ სისტემებში; სოციალისტური და ნაციონალ-სოციალისტური დიქტატურის შედეგები.

გივი მარგველაშვილისა და ჰერტა მიულერის შემოქმედება ჩვენთვის ჟანდრობრივი თვალსაზრისითაცაა საყურადღებო. გვინდა ვუჩვენოთ, როგორ აისახება პოსტმოდერნისტულ და ანტიალზრდის რომანებში ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეხსიერებაში მტკივნეულად შემონახული პიროვნული თუ ეპოქალური ტრაგედიები. გვინდა წარმოვაჩინოთ საკონცენტრაციო და შრომითი ბანაკების ცხოვრება ტოტალიტარული რეჟიმების ეპოქაში და თაობათა ტრაგედია დიქტატურის პერიოდში. ცხადია, კვლევისას ვითვალისწინებთ მარგველაშვილისა და მიულერის ლიტერატურულ-ესთეტიკურ პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავს მხატვრულ სახეთა სპეციფიკასა და კონსტელაციას, ნაწარმოებთა სტრუქტურას, თხრობის მანერასა და მხატვრულ სტილს მათსავე მხატვრულ პრაქტიკაში.

Nino Gagoshashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Christian Women in Greek-Latin Pagan Sources (II-III Centuries)

Numerous mythological notions have appeared in relation to Christian faith, their life and worship, in the Greek-Roman pagan gods' world. Christ's follower women have not been left without attention either.

II-III Greek-Latin authors, such as Plinius Secundus, whose writings are kept in Minicius Felix's work *Octavius*, Lucian of Samosata and others – describe multiple mythological facts on Christians in general, in which it is possible to allusively detect situation and place of Christian women in the pagan environment (pagan women were not left out of attention either).

Greek and Latin authors describe the Christian traditions seen in pagan society during early Christian epoch, the creative-aesthetic meaning of which reflect the true meaning of reality completely diversely. At that time it was widely believed that Christians worshipped “the head of a jackal”, believing it to be a saint, they sacrificed children during cult services and divided their body parts between each other after, as symbols of unity; ate human blood and flesh; worshipped leader and priest and approach them as the creator of the universe and the parent; accept a wooden cross, the cause of death, as a saint; after cult services women, children and men gather and fall under fire of passion while being not sober and etc.

Naturally, the aforementioned applied to Christian women also. By the general or personal examples of Christian women's lives, described in literary works, the pagan community derogates the essence of Christianity; describes it as “a good fairytale for elder women and foolish virgins”; attempts to present the negative influence of Christianity on humankind, especially women, who give up to servicing all the cults easily; are weak and “easily believing”; easily give up on traditional gods and values and etc.

By mythological perceptions, created in relation to Christian religion, accompanied by gender pretensions, the pagan society questions the morality and authority of the newborn Christian religion.

ნინო გაგომაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ქრისტიანი ქალები ბერძნულ-ლათინურ წარმართულ წყაროებში (II-III საუკუნეები)

ადრექრისტიანული პერიოდის ბერძნულ-რომაული წარმართული ღმერთების სამყაროში ქრისტიანთა მრწამსთან, მათ ცხოვრებასა თუ ღვთისმსახურებასთან დაკავშირებით არაერთი მითოლოგიური წარმოდგენა შეიქმნა. ყურადღების მიღმა არ დარჩენილა ქრისტეს მიმდევარი ქალებიც.

II-III საუკუნეების ბერძნულ-ლათინურენოვან ავტორებთან, როგორებიცაა პლინიუს სეკუნდოსი, ფრონტონი, რომლის სიტყვა დაცულია მინიციუს ფელიქსის ნაშრომში „ოქტავიუსი“, ლუკიან სამოსატელი და სხვანი, – აღწერილია არაერთი მითოლოგიური ფაქტი ზოგადად ქრისტიანების შესახებ, რომლებშიც ალუზიურად შეგვიძლია ამოვიკითხოთ ქრისტიან ქალთა (უყურადღებოდ არც წარმართ ქალებს ტოვებდნენ) მდგომარეობა და ადგილი წარმართულ გარემოში.

ბერძენი და ლათინი ავტორები აღწერენ ადრექრისტიანულ ეპოქაში წარმართული საზოგადოების მიერ დანახულ ქრისტიანულ ტრადიციებს, რომელთა მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა სრულიად გადასხვაფერებულად წარმოაჩენს რეალობის ნამდვილ არსს. იმ პერიოდში გავრცელებული აზრით, ქრისტიანები თავყვანს სცემენ „ვირის თავს“ და წმინდად თვლიან მას, საკულტო მსახურებებზე მსხვერპლად სწირავენ ბავშვებს, შემდეგ კი ინაწილებენ მათი სხეულის ნაწილებს, როგორც ერთობის სიმბოლოს, იღებენ შეწირული ადა-

მიანის სისხლსა და ხორცს, თაყვანს სცემენ თავიანთ წინამძღოლსა თუ ქურუმს და ისე ევედრებიან, როგორც სამყაროს შემქმნელსა და მშობელს, წმინდად აცხადებენ სიკვდილის მომასწავებელ ხის ჯვარს, საკულტო მსახურებების შემდეგ ერთად იკრიბებიან ქალები, ბავშვები და კაცები, შეზარხოშებულნი კი ვნების ცეცხლში ეხვევიან და სხვ.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ქრისტიან ქალებზეც ვრცელდებოდა. ნაშრომებში აღწერილი ქრისტიან ქალების ცხოვრების ამსახველი საზოგადო თუ კერძო მაგალითებით წარმართული საზოგადოება აკნინებს ქრისტიანობის არსს, უწოდებს მას „კარგ ზღაპარს მოხუცი ქალებისა და ბრიყვი ქალწულებისთვის“, ცდილობს წარმოაჩინოს ქრისტიანობის ცუდი ზეგავლენა ადამიანებზე, განსაკუთრებით კი ქალებზე, რომლებიც ადვილად ემსახურებიან ყველა კულტს, სუსტნი და „მალემრწმენნი“ არიან, მარტივად თმობენ მშობლიურ დმერთებსა და ტრადიციულ ფასეულობებს და ა.შ.

ქრისტიანულ რელიგიის გარშემო შექმნილი მითოლოგიური წარმოდგენებით, რასაც თან ახლავს გენდერული პრეტენზიები, წარმართული საზოგადოება კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ახლად ფეხადგმული ქრისტიანული რელიგიის ავტორიტეტს.

Nana Gelashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Intercultural Communications on the Light of Japan-Chinese Historical Relations

In the treasures of world civilizations China occupies a prominent place. Its civilization is one of the oldest, at the same time highly original and rich. Therefore, China has been a kind of benchmark for neighboring countries in the distant past. As for China's relations with the western world in this regard the "Great Silk Road" traced in the 2nd century BC, was of great importance. This road brought West and the Asian region together through the transcontinental trade route. It is noteworthy that the caravans moving on this road not only had trade goods, but also exchanged cultures, spread religious ideas and spiritual values, various technologies, folklore and other traditions.

This time attention is focused on the separate segments of intercultural communication between China and Japan. As some of the people of the world appeared relatively early on history stage, some of them – later, there were the processes of clashing the cultural influence as well as interactions of cultures in the form of dialogue of the civilizations. Based on such communications, for the most cases a qualitatively new, albeit harmonious mix of traditional and foreign cultures was formed. Clear example of such synthesis is the Chinese influence over Japan, where Korea played the role of connecting bridge.

The process of Chinese influence started in the 3rd century BC and lasted till the end of 8th century AD. It is noteworthy that the elements taken from foreign civilization were creatively transformed in Japan, acquiring new qualities and harmoniously blending with local

traditions. Therefore, even though Japan captured many achievements of Chinese civilization, it has always maintained its nationality and identity. Eventually, Japan successfully coped with the assimilation of foreign culture and at a certain historical stage it was gradually freed from the influence and continued to develop in an independent way with a great success.

ნანა გელაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურათაშორისი კომუნიკაციები იაპონა-ჩინეთის ისტორიული ურთიერთობების შუქზე

მსოფლიოს ცივილიზაციათა საგანმურში გამორჩეული ადგილი უჭირავს ჩინეთს. მისი ცივილიზაცია ერთ-ერთი უძველესია, იმავდროულად უაღრესად თვითმყოფადი და მდიდარი. სწორედ ამით იყო განპირობებული, რომ ჩინეთი თავისი მრავალმხრივი მიღწევებით უკვე შორეულ წარსულში ერთგვარ ეტალონს წარმოადგენდა მეზობელი ქვეყნებისათვის. რაც შეეხება დასავლურ სამყაროსთან ჩინეთის ურთიერთობებს, ამ კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ძვ. წ. მე-2 საუკუნეში გაკვალულ „აბრეშუმის დიდ გზას“, რომელმაც ერთმანეთს შეახვედრა დასავლეთი და აზიის რეგიონი პირველი ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალის მეშვეობით. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ გზაზე მოძრავ ქარავნებს არა მხოლოდ სავაჭრო საქონელი დაჰქონდათ, არამედ მათი მეშვეობით მიმდინარეობდა კულტურათა გაცვლა, რელიგიური იდეების და სულიერი ფასეულობების გავრცელება, სხვადასხვა ტექნოლოგიების, ფოლკლორის, ტრადიციების გაცნობა.

ამჯერად ყურადღება ფოკუსირებულია კულტურათა-შორისი კომუნიკაციების ცალკეულ სეგმენტებზე ჩინეთსა და იაპონიას შორის. რამდენადაც მსოფლიოს ხალხთაგან ზოგი შედარებით ადრე გამოჩნდა ისტორიის ასპარეზზე, ზოგი – უფრო გვიან, იმთავითვე გამოიკვეთა კულტურათა ზეგავლენის, შეჯახების, ასევე ურთიერთგავლენის პროცესები ცივილიზაციათა დიალოგის ფორმით. ამგვარი კომუნიკაციების საფუძველზე უმეტეს წილად თვისობრივად ახალი, თუმცა ტრადიციულისა და უცხოურის ჰარმონიულად ნაზავი კულტურის ფორმირება ხდებოდა. სწორედ ამგვარი სინთეზის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს იაპონიაზე ჩინეთის ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებული კულტურის გარკვეული სფეროები, რაშიც დამაკავშირებელი ხიდის როლს კორეა ასრულებდა.

ჩინური ზეგავლენის პროცესი დაიწყო ძვ. წ. მე-3 საუკუნეში და ახ. წ. მე-8 საუკუნის მიწურულამდე გაგრძელდა. ხაზგასასმელია, რომ უცხო ცივილიზაციიდან გადმოღებული ელემენტები იაპონიაში შემოქმედებითად ტრანსფორმირდებოდა, ახალ თვისებებს იძენდა და ჰარმონიულად ერწყმოდა ადგილობრივ ტრადიციებს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ იაპონიამ ჩინური ცივილიზაციის ბევრი მონაპოვარი გადაიღო, ის მუდამ ინარჩუნებდა ეროვნულობასა და თვითმყოფადობას. საბოლოო ჯამში, იაპონიამ წარმატებით გაართვა თავი უცხოური კულტურის ელემენტებთან ასიმილაციას, ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე კი გარეშე ზეგავლენისგან თანდათან განთავისუფლდა და დამოუკიდებელი გეზით, თანაც დიდი აღმასვლით განაგრძო განვითარება.

Nino Gambashidze

Vakhtang Nozadze

Georgia, Tbilisi

*V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire and Georgian Association
of Analytical Psychology*

Georgian Majical Fairy Tail and the Psychology of Initiation

The study is based on the interdisciplinary approach of the issue and is based on the myth of the Argonauteas, mythological beliefs, Georgian folklore and ethnographic materials and some functions of a Georgian fairy tale according to the classification of V. Prop. We believe that the hero of the magical fairy-tail through fulfilling certain tasks undergoes the process of initiation. The study of the mythological, ethnological, religious, psychological aspects of this rite of passage showed that this kind of fairy tails from the psychological perspective reflects a process of initiation of both man and woman. On the other hand the last step of the mentioned process is hierogamy, “coniungtio” which takes place with the help of a transcendental function.

Fairy tale and myth are symbolic emanation of initiation and mystical marriage, “coniungtio”. Therefore, a myth and a fairy tale can provoke a transcendental function. A child who listens to a fairy tale or myth through identification with a hero is subjected to an imaginary, symbolic initiation, which significantly helps the development of the child and prepares him for future initiation.

The work is based on the scientific literature on folklore, mythology, history of religious studies, ethnology, psychology and classic studies.

ნინო ღამბაშიძე

ვახტანგ ნოზაძე

საქართველო, თბილისი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო

კონსერვატორია და საქართველოს ანალიტიკური ფსიქოლოგიის

ასოციაცია

ქართული ჯადოსნური ზღაპარი და ინიციაციის ფსიქოლოგიური მხარეები

სტატია საკითხისადმი ინტერდისციპლინარულ მიდგომას წარმოადგენს. მასში არგონავტების მითზე, შესაბამის მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენებზე, გარკვეულ ფოლკლორულ და ქართულ ეთნოგრაფიულ მასალაზე დაყრდნობით განხილულია ქართული ჯადოსნური ზღაპრის რამდენიმე პროპისეული ფუნქცია (გმირი ტოვებს სახლს, გმირს ძნელ დავალებას აძლევენ, დავალება სრულდება, გმირი ქორწინდება და მეფდება). მიგვაჩნია, რომ ჯადოსნური ზღაპრის გმირი ამ ფუნქციების შესრულების შედეგად გადის ინიციაციას. სტატიაში განხილულია გადასვლის ამ რიტუალის მითოლოგიური, ეთნოლოგიური, რელიგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, რამაც მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ამგვარი ფუნქციების მატარებელი ზღაპრები, ფსიქოლოგიური თვალთახედვით, ერთი მხრივ განასახიერებენ ინიციაციის პროცესს, როგორც მამაკაცისთვის, ასევე ქალისთვის, მეორე მხრივ კი, ხსენებული პროცესი ჰიეროგამიით, კონიუნგციით სრულდება, რაც ტრანსცენდენტური ფუნქციის მეშვეობით ხორციელდება. ზღაპარი და მითი ინიციაციისა და მისტიური ქორწინების, „კონიუნგციოს“ არქეტიპის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენს. ამდენად მითმა და ზღაპარმა შესაძლოა გამო-

იწვიოს ტრანსცენდენტური ფუნქციის პროვოცირება. ბავშვი, რომელიც ისმენს ზღაპარს ან მითს, გმირთან იდენტიფიკაციის გზით ინიციაციის პროცესს წარმოსახვაში, სიმბოლურად გადის, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ბავშვის განვითარებას და ამზადებს მომავალი ინიციაციისთვის.

ნაშრომი ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურას ფოლკლორისტიკაში, მითოლოგიაში, რელიგიის ისტორიაში, ეთნოლოგიაში, ფსიქოლოგიაში და კლასიკურ ფილოლოგიაში.

Tamta Ghonghadze

Georgia, Tbilisi

TSU, PhD Student

Customs, Beliefs and Legends of the Highlanders of East Georgia in Vazha-Pshavela's Short Stories

Prose constitutes a special part of Vazha-Pshavela's work, one part of which reflects the customs, beliefs and rituals of the highlanders of East Georgia. It also includes ancient retellings, stories and legends which were widely spread among people at that time. Sometimes, the author adds subtitles to those short stories, such as: 'From Pshavians' Life', 'The Legend', 'From Rural Life', 'Berua's Story', 'Bezhan's Story', 'Beso's Story', 'The Image of Pshavians' Life', 'The Ethnographic Story', etc. Such determination of literary works in the subtitles serves for the purpose of highlighting the author's goal to reflect, with the power of literary words, the Pshavians' and Khevsuri-ans' traditions, the legends and rituals widely spread among them, etc. Sometimes, the author reverts to the same folklore motif several times in different stories, and uses it for a different literary function and pur-

pose. Good examples of that are an etiological story on how were owls created, a story on a tiger and a hunter becoming friends, and others.

In ethnographic and folkloric terms, one of the most important work in Vazha-Pshavela's short stories is 'Pshavian and His Earthly World', which the author wrote later in his life, in 1913, and which was published in 'Old Georgia', the collection of the Georgian Historical and Ethnographic Society. The work is quite extensive and, in terms of its genre and theme, even goes beyond the scope of a short story. Some episodes in the work are of descriptive nature and narrate about the customs of burial, wedding, tsatsloba (premarital friendship relationships between young women and men), an off-day devoted to God and other customs followed in Pshav. At the end of the short story, Vazha-Pshavela adds 46 verses and 167 proverbs which were told in one of the weddings.

The comparative analysis of the legends, traditions, rituals and ethnographic material reflected in Vazha-Pshavela's short stories with the works of folklorists and ethnographers is very interesting. The research of the above issues is important both for studying Vazha-Pshavela's literary work and the life of highlanders of East Georgia.

თამთა ღონღაძე

საქართველო, თბილისი

თსუ, დოქტორანტი

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წეს-ჩვეულებები, რწმენა-წარმოდგენები და თქმულებები ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განსაკუთრებული ნაწილია მისი პროზა, რომლის ერთი ნაწილი ასახავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წეს-ჩვეულებებს, რწმენა-

წარმოდგენებს, რიტუალებს. ასევე, მათში ვხვდებით იმჟამად ხალხში გავრცელებულ უძველეს გადმოცემებს, თქმულებებს, ლეგენდებს. მწერალი ამ ტიპის მოთხრობებს ზოგჯერ ქვესათაურსაც ურთავს: „ფშავლების ცხოვრებიდამ“, „ლეგენდა“, „სოფლის ცხოვრებიდამ“, „ბერუას ნაამბობი“, „ბეჟანის ნაამბობი“, „ბესოს ნაამბობი“, „სურათი ფშავლების ცხოვრებისა“, „ეთნოგრაფიული მოთხრობა“ და სხვ. ქვესათაურში თხზულება ამავე დეტერმინაცია ემსახურება მწერლის მიზნის მკაფიოდ გამოკვეთას, რომ იგი მხატვრული სიტყვის ძალით ასახავს ფშაველთა, ხევსურთა ტრადიციებს, მათში გავრცელებულ თქმულებებს, რიტუალებს და ა.შ. ზოგჯერ ერთსა და იმავე ფოლკლორულ მოტივს მწერალი რამოდენიმეჯერ უბრუნდება სხვადასხვა მოთხრობაში და განსხვავებული მხატვრული ფუნქციით, მიზნით იყენებს მას. ასეთია, მაგალითათ, ეტიოლოგიური თქმულება როგორ გაჩნდნენ ბუები, თქმულება ვეფხვისა და მონადირის დამეგობრების შესახებ და სხვ.

ეთნოგრაფიული და ფოლკლორული თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულებაა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც მწერალს მისი ცხოვრების გვიანდელ პერიოდში, 1913 წელს დაუწერია და გამოქვეყნებულია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“. ნაშრომი საკმაოდ ვრცელია და ჟანრულ-თემატური თვალსაზრისით სცდება მოთხრობის ფარგლებს. რიგი ეპიზოდები აღწერთი ხასიათისაა და მოგვითხრობს ფშავში დაკრძალვის, ქორწილის, წაწლობის, ღვთისთვის შეწირული უქმე დღის და სხვა წეს-ჩვეულებების შესახებ. ვაჟა-ფშაველა ამ თხზულებას ბოლოში ურთავს ერთ-ერთ ქორწილში ხალხის მიერ ნათქვამ 46 ლექსს და 167 ანდაზებს.

საინტერესოა ვაჟა-ფშაველას მოთხრობებში ასახული თქმულებების, ტრადიციების, რიტუალების, ეთნოგრაფიული მასალის შედარებითი ანალიზი ფოლკლორისტა და ეთნოგრაფთა შრომებთან. აღნიშნული საკითხების კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების, ასევე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ცხოვრების შესწავლისათვის.

Elene Gogiashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Types of the Folktales about Fate in Georgian Oral Narrative Tradition

In Oriental and Occidental oral narrative traditions, as well as in Georgian folklore, the theme of predestined fate appears in almost every narrative genres. The paper interprets Georgian versions of international folktales about fate. The fulfillment or escape of the prophecy are the primary criteria for tale's classification. These types of the folktale show the ways of migration and assimilation of the fate motifs in folklore and literary traditions.

There are only a few types of the folktale, structured on the foretold fate. In the catalogue of the types of international folktales, these types develop two cycles: 1) Prophecy fulfilled (ATU930 *The Prophecy*, ATU930A *The Predestined Wife*, ATU931 *Oedious*); 2) Fate escaped (ATU506* *Prophecy Escaped*, ATU516 *Faithful John*).

Next to Georgian folklore materials, the paper deals with the oldest literary sources of the narratives about prophecy and fate: The

Ancient Egyptian tale of the Doomed Prince (13th century BC), Chinese tales (9th-10th centuries), West European legends (9th century) and Arabic tales (16th century).

The paper gives an account of the theme of fate in Georgian folk narratives: Interpretations of Oriental and European motifs in Georgian folktales; similar and different features of the plots in Christian and Muslim environments.

In Georgian folkloric genres, in realistic tales and in magic tales, the theme of fate is differently adapted. In realistic tales the prophecy is fulfilled, while in magic tales there is possible to escape. A comparison of the different genres of folktales, such as realistic and magic tales, in this case fully reveals the phenomenology of the motifs of fate in terms of its cultural and historical background.

ელენე გოგიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბედისწერასთან დაკავშირებული სიუჟეტური ტიპები ქართულ ზეპირ თხრობით ტრადიციაში

აღმოსავლურ და ევროპულ თხრობით ტრადიციაში, მათ შორის ქართულ ფოლკლორში, ბედისწერის თემა თითქმის ყველა თხრობით ჟანრში გვხვდება. მოხსენება ეხება საერთაშორისო სიუჟეტების ქართულ ვერსიებს, რომელთა ტიპობრივი კლასიფიკაციისთვის პირველადი კრიტერიუმი არის ბედისწერის შესრულება/თავიდან არიდება. ზღაპრის ეს ტიპები მკაფიოდ ასახავს წინასწარმეტყველებისა და ბედისწერის მოტივთა გავრცელებასა და დამკვიდრებას ფოლკლორულ და ლიტერატურულ ტრადიციებში.

ზღაპრები, რომლებშიც ბედისწერა სიუჟეტის განვითარებაში მთავარ როლს თამაშობს, მხოლოდ რამდენიმე „ტიპს“ წარმოადგენს საერთაშორისო სიუჟეტურ კატალოგში. ეს საზღაპრო ტიპები სხვადასხვა თხრობით ციკლს ქმნიან: 1) წინასწარმეტყველების შესრულების ციკლი (ATU930 წინასწარმეტყველება, ATU930A ნაწინასწარმეტყველები ცოლი, ATU 931 ოიდიპოსი); 2) არიდებული ბედისწერის ციკლი (ATU 506* არიდებული წინასწარმეტყველება, AATU 516 ერთგული იოჰანესი).

ქართული ფოლკლორული მასალების გვერდით ნაშრომში განხილულია წინასწარმეტყველებისა და ბედისწერის თხრობითი სიუჟეტების უძველესი ლიტერატურული წყაროები: ძველევგვიპტური ზღაპარი (ძვ.წ. XIII ს.), ჩინური მოთხრობები (IX-X სს.). დასავლეთ ევროპული ლეგენდები (XI ს.) და არაბული ზღაპრები (XVI ს.).

სტატიაში დასმულია საკითხი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში წინასწარმეტყველებისა და ბედისწერის თემის რეცეფციის შესახებ: რა ფორმით ვხვდებით ქართულ ზღაპრებში აღმოსავლურ და ევროპულ სიუჟეტებს? რითი განსხვავდება ერთმანეთისგან ქრისტიანულ და მუსლიმურ გარემოში დამუშავებული სიუჟეტები?

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში წინასწარმეტყველებისა და ბედისწერის თემა ზღაპრის ჟანრების მიხედვით განსხვავებულად არის ადაპტირებული. თუ ნოველისტურ ზღაპრებში ბედისწერა გარდაუვალია, ჯადოსნურში შესაძლებელია მისი შეცვლა. ზღაპრის ტიპების შედარება უკეთ წარმოაჩენს ბედისწერის მოტივთა ფენომენოლოგიას კულტურულ-ისტორიული საფუძვლის გათვალისწინებით.

Nino Gogiashvili

Georgia, Tbilisi

Iakob Gogebashvili Telavi State University

Gender Patterns in Georgian Verbal Folklore

One of the specific features characterizing folklore is collectivity, which means that whole generations are involved in its creation and development and it is not a result of one person's individual thinking. Folklore reflects viewpoints of society and a spirit of a collective. "Collective unconscious" is the folklore creating and organizing force. Folk art expresses the best social and cultural patterns of masses, customs and traditions footed in a society and behavior rules recognized as a norm.

Gender or social sex, is most effectively reflected in folklore (folk dances, songs and poems). Presented report discusses the gender stereotypes given in Georgian oral folklore. Research material is taken from the folklore almanac – Pshav Poetry, which, is divided into typological parts according to thematic of poems. Gender clichés are mainly observed in the moral and economic type of writings. Patterns recognized and accepted in woman and man, wife and husband, daughter-in-law and mother-in-law, good man and good man's wife, woman with brothers and without brothers, good woman and bad woman relations are directly expressed in folklore poems' titles – for example – *A brave man wants; An evil husband; A woman without brother; A good man always dies in a battle; A man must be like a saw; Being a wife of a good man; A bad woman as a guest; The two daughter-in-laws; Let us praise the housewife* – and many more which are discussed in detail in the report.

The mentioned gender stereotypes are formed in the depths of the collective and by the effort of the society, however, its impact is

circular and later those stereotypes dictate public behavioral norms to an individual. All other types of behavior are non-canonical, deviate from the norm of traditional and socio-cultural rules, and are defined as behavioral anomalies. Gender clichés reflected in folklore affect generations and quite often, even in our era, appear as active regulating force of social life.

Subjection of a woman and a man to social behavior norms, defined by gender, reflected in verbal folklore are expressed by categorical imperative – *must be*, but at times it is replaced by more loyal – *it would be better*.

წინო გოგიაშვილი

საქართველო, თბილისი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გენდერული პატერნები ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში

ფოლკლორის ერთ-ერთი დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია კოლექტიურობა, რაც ნიშნავს, რომ მის შექმნასა და ჩამოყალიბებაში თაობები იღებენ მონაწილეობას და, შესაბამისად, ის არ არის ერთი კაცის ინდივიდუალური ნააზრევი. ფოლკლორი კოლექტივის, საზოგადოების შეხედულებებსა და სულისკვეთებას გამოხატავს. „კოლექტიური არაცნობიერი“ ფოლკლორის შემქმნელი და მარგანიზებული ძალაა. ხალხურ შემოქმედებაში ყველაზე კარგადაა გამოხატული მასის სოციო-კულტურული შაბლონები, საზოგადოებაში ფესვგადგმული წეს-ჩვეულებები და ნორმად აღიარებული ქცევის წესები.

გენდერი, იგივე სოციალური სქესი, თვალშისაცემად ეფექტურადაა ასახული ფოლკლორში (ხალხურ ცეკვებში,

სიმღერებსა და ლექსებში). მოცემულ მოხსენებაში, განვიხილავთ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებით გადმოცემულ გენდერულ სტერეოტიპებს. საკვლევი მასალა აღებულია ფოლკლორული კრებულიდან – „ფშაური პოეზია“, რომელიც, ლექსების თემატიკის მიხედვით, ტიპოლოგიურ ნაწილებად დაყოფილი. გენდერული კლიშეები, ძირითადად, საზნებო და სამეურნეო ტიპის ნაწერებში შეინიშნება. ქალისა და მამაკაცის, ცოლისა და ქმრის, რძლისა და დედამთილის, კაი ყმისა და კაი ყმის ცოლის, ძმებიანი და უძმებო ქალის, კარგი დიაცისა და ცუდი დიაცის, კოლექტივში აღიარებული და ნორმირებული პატერნები, პირდაპირ ხალხური ლექსების სათაურებშივე გამოიხატება. მაგ; „ვაჟკაცს უნდა“, „ავი ქმარი“, „უძმო ქალი“, „კარგი ყმა ლაშქარს მოკვდება“, „კაცი უნდა ხერხი იყოს“, „კარგისა ყმისა ცოლობა“, „სტუმართად ცუდი დიაცი“, „ორი რძალი“, „შავაქოთ დიასახლისი“ და სხვა მრავალი, რომლებსაც მოხსენებაში დაწვრილებით განვიხილავთ.

მოცემული გენდერული სტერეოტიპები, კოლექტივის წიაღში და კოლექტივის ძალისხმევით ყალიბდება, თუმცა, მისი ზემოქმედება რკალურია და, შემდგომ, ეს სტერეოტიპები კარნახობს ინდივიდს საზოგადოებაში მოქცევის ნორმებს. ყველა დანარჩენი ქცევა არაკანონიკურია, ამოვარდნილია ტრადიციული და სოციო-კულტურული წესის ნორმიდან, და ქცევის ანომალიად განისაზღვრება. ფოლკლორში ასახული გენდერული შაბლონები თაობებს მოჰყვება და, ხშირად, ჩვენს ეპოქაშიც კი, სოციალური ურთიერთობების აქტიურ მარეგულირებელ ძალად გვევლინება.

ზეპირსიტყვიერებაში ასახული, დიაცისა და ვაჟკაცის, გენდერით განსაზღვრული სოციალური ქცევის ნორმებისადმი დაქვემდებარების მოწოდება კატეგორიული იმპერატივით – უნდა – გამოიხატება, ხანდახან კი მას ცვლის ლოიალური – სჯობს.

Ia Grigalashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Folk Image of a Great Martyr George
(According to the “Wonders of a Great Martyr George”
by Tbel Abuseridze)

In the work “Wonders of a Great Martyr George” Tbel Abuseridze tells us the stories about building of the churches by Bolok-Basili in Shuartkli, near Opiza, that was fulfilled with the wonderful succour of St George. By the order of the Saint, a builder should lonely build the churches after the name of St George and it would have been absolutely unimaginable without the succour of a great martyr George.

Tbel Abuseridze is a hagiographer of the 13th century, who tells the readers about the wonders of St George with the canonic rules of hagiography, but as the main sources of the work are Georgian folk legends along with the translated literature, the folk image of St George is shown with his diversity unlike other Georgian hagiographic models.

Two episodes caught our attention: 1. St George addresses to the builder Bolok-Basili with baby’s voice and calls “Bachilo”. In the literary critic denoted passage is considered as a parental attitude of Christ to the believers. To my mind by using this literary method of Tbel Abuseridze may be compared with the artistic mastership of the painters of the Renaissance epoch.

2. Once St George has appeared in the image of the snake and talked to Basili. This image has an indelible impression on readers because it’s quite unexpected folk image with regard to the St. George. St George is mainly shown as a military warrior against a dragon in ec-

clesiastical literature and painting. It's well-known that snake/dragon is the old and difficult mythological image. According to the Caucasian mythology, dragon lives on the top of the high mountains. According to the work, snake tells Bolok-Basili that it returns from the mountain. Mountain in the mythology is the symbol of the connection of the sky with the earth. The question appears: May we consider this legend as a real story? In modern life such event is confirmed. In Greece on the island of Kephaly, at the holiday of the Dormition of the Virgin, snakes enter the church with the pilgrims. The legend kept in people tells us about why does it happen. According to the legend the nuns are fainted to the snakes. From Georgian legends, we can recall folk stories about appearing of the dragon round St George's church in Atots and on the mount Khvamli about the connection of St George's image with the snake.

In conclusion, we can note that Tbel Abuseridze as an author defends canonic of the hagiography, on one hand and on the other hand, he reveals complete freedom as an undisguised writer of the wonders of St George. Hereby, folk image of St George is unforgettable for the readers of the work "The Wonders of a Great Martyr George" by Tbel Abuseridze.

ია გრიგალაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წმინდა გიორგის ფოლკლორული სახე (ტბელ აბუსერიძის თხზულების – „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ – მიხედვით)

ტბელ აბუსერიძე თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“ მოგვითხრობს მშენებელ ბოლოკ-ბასილის მიერ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიების აგების ისტორიას შუარტყელში, ოპიზას მახლობლად, რაც წმინდანის სასწაულებრივი მეოხებით განხორციელებულა. წმინდა გიორგის ბრძანებით, მშენებელს მარტომყოფს უნდა აეშენებინა დიდმოწამის სახელობის ეკლესიები, რაც სრულებით წარმოუდგენელი იქნებოდა მთავარმოწამე გიორგის შეწვევის გარეშე.

ტბელ აბუსერიძე მე-13 საუკუნეში მოღვაწე ჰაგიოგრაფია, რომელიც ჰაგიოგრაფიის კანონიკის დაცვით მოუთხრობს მკითხველს წმინდა გიორგის სასწაულებს, მაგრამ, რადგანაც მისი თხზულების ძირითადი წყაროები, ნათარგმნ ლიტერატურასთან ერთად, ხალხური თქმულებებია, სხვა ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშებისაგან განსხვავებით, მის თხზულებაში წმინდა გიორგის ფოლკლორული სახე მთელი თავისი მრავალფეროვნებითაა წარმოჩენილი.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ორმა ეპიზოდმა: 1. წმინდა გიორგი მშენებელ ბოლოკ-ბასილის ჩვილის ხმით „ბაჩილოდ“ უხმობს. სალიტერატურო კრიტიკაში აღნიშნული პასაჟი ქრისტეს მამაშვილურ დამოკიდებულებაზე მითითებად აღიქმება

მორწმუნეთა მიმართ. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მხატვრული ხერხის გამოყენებით ტბელ აბუსერიძის მწერლური ოსტატობა რენესანსის ეპოქის ფერმწერთა ხელოვნებას შეიძლება შევადაროთ.

2. ერთხელ წმინდა გიორგი ბასილის ეჩვენება გველის სახით, რაც ასევე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე, რადგან სრულებით მოულოდნელი ფოლკლორული სახეა წმინდანთან მიმართებით. წმინდა გიორგი, ძირითადად სასულიერო ლიტერატურასა და საეკლესიო ფერწერაში, გველემშაპთან მეზრძოლ მეომარ მხედრადაა წარმოჩენილი. ცნობილია, რომ გველი/გველემშაპი ძველი და რთული მითოლოგიური სახეა. კავკასიური მითოლოგიის მიხედვით, გველემშაპის სამყოფელი მაღალი მთის მწვერვალია. თხზულების მიხედვით, გველის სახემიღებელი წმინდანი ბოლოკ-ბასილის უცხადებს, რომ ის მაღლა მთიდან მოდის. მთა კი მითოლოგიაში მიწისა და ცის შემაკავშირებელი სიმბოლოა. იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ეს გადმოცემა რეალურ ამბად მივიჩნიოთ? თანამედროვე ყოფაშიც დასტურდება ამგვარი მოვლენა. საბერძნეთში, კუნძულ კეფალონიაზე, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, ტაძარში გველები მომლოცველებთან ერთად შედიან. თუ რატომ ხდება ასე, ამის შესახებ ხალხში დაცული თქმულება მოგვითხრობს გველებად ქცეული მონაზვნების შესახებ. ქართული ხალხური გადმოცემებიდან წმინდა გიორგის კავშირზე გველის სახესთან შეგვიძლია გავიხსენოთ თქმულებები ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაზე და ასევე, ლეჩხუმში ხვამლის მთაზე, გველემშაპის გამოჩენის შესახებ.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ტბელ აბუსერიძე, როგორც ავტორი, ერთი მხრივ, იცავს ჰაგიოგრაფიის კანონიკას და მეორე მხრივ, სრულ თავისუფლებას ამჟღავნებს, როგორც

წმინდა გიორგის სასწაულების პირუთვნელად აღმწერი მწერალი. სწორედ ამიტომ არის დაუვიწყარი მკითხველებისათვის წმინდა გიორგის ფოლკლორული სახე ტბელ აბუსერიძის თხზულებაში „სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისნი“.

Konrad Gunesch

United Arab Emirates, Dubai

American University in the Emirates

**Silk as a Symbol of Cross-Cultural Communication:
Roles and Values in Trade, Politics, Culture and Folklore between
the Peoples of Rome, Europe, Persia and China, from the 1st to
the 14th Century**

Silk has been a symbol of cross-cultural communication on the Silk Road across time, people and places. This research compares silk's roles and values between the 1st and 14th centuries, along three dimensions: clothing, trade, and tribute, from the Romans over the Muslims and Chinese to the Vikings and Mongols. As for clothing, in the 1st century, Seneca objected to both men and women wearing it, and Pliny the Elder to its costs. During the 7th century, foreign travelers criticized Chinese hygienic habits, but reported them to wear the finest silks in all seasons. As for tribute, 13th century Mongol raids seized booty also as precious garments, among them silks in very specific quantities. As for trade, during the Han dynasty between 200 BCE and 200 CE, the Chinese focused on silk as a reliable currency while still a luxury product. Also as of the 1st century, Sogdian traveling traders from Central Asia dominated the long-distance Silk Road between

Western China, Central Asia, Indian Sasanid Persia and the Mediterranean, and connected towns, oases and regions by specializing in silk. During the 7th century Muslim conquests, and supporting the Chinese Tang dynasty, Uighur tribes came to dominate Islam's eastern frontier, replacing the Sogdians in the silk trade. After the Muslim conquests, Scandinavians and Rus Vikings traded household and war tools, but also luxury items, most profitably fine silks from Syria, Byzantium and China. Finally, in the 14th century, Timur used tribute money to buy Chinese silks, thus benefitting the Chinese economy.

Maia Jaliashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Folklore as an Intertext: Giorgi Leonidze's „Kivchag's Date“

In Giorgi Leonidze's poetry there are many intertextual parallels with the samples of Georgian folklore. In this way, the poet deepened and beautified what was being said, and added the philosophical-religious or aesthetic value to the fictional text. From this point of view, the poem "Kivchag's Date" stands out, which appears as a multi-layered fictional text. In it the folklore motifs are palimpsested, in particular, the folk poem "I met Kivchaghi". The poet used the folk pattern as an intertext and created an original, energetic poem of the famous ballad, the expressiveness and inner charge of which is conveyed to the reader. Giorgi Leonidze recreated and played the folklore story in his own way. He changed the context and expanded the specific local of the space and time. In the context of Leonidze's poem, it has become not temporary, but eternity, in which love, as a

mystery, is constantly repeated. The lyrical protagonist of the verse is the executor of this secret ritual. He is the generalized face of selfless love. The diverse artistic world of the poem focuses on the wrestling of heart and mind. Notable is the variability of the storytelling perspective. Everything is described in the folk poem from the point of view of a Georgian man. The verse shows a drama seen through the eyes of a Kivchag. His flow of thoughts is sublime and wonderful. She fights not only the husband of the desired woman, who is perceived as an obstacle, but also with death.

მაია ჯალიაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფოლკლორი, როგორც ინტერტექსტი: გიორგი ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“

გიორგი ლეონიძის მრავალფეროვან შემოქმედებაში არაერთი საგულისხმო ინტერტექსტუალური გადაძახილია ქართული ფოლკლორის ნიმუშებთან. ამ გზით პოეტი აღრმავებდა და ალამაზებდა სათქმელს, მხატვრულ ტექსტს კი ფილოსოფიურ-რელიგიურსა თუ ესთეტიკურ ღირებულებას მატებდა. ამ თვალსაზრისით გამორჩეულია ლექსი „ყივჩაღის პაემანი“, რომელიც წარმოჩნდება, როგორც მრავალშრიანი მხატვრული ტექსტი. მასში პალიმფსესტურად დალექილია ფოლკლორული მოტივები, კერძოდ, ხალხური ლექსი „შემომეყარა ყივჩაღი“. პოეტმა ხალხური ნიმუში გამოიყენა, როგორც ინტერტექსტი და ცნობილი ბალადის ორიგინალური, ენერგიით სავსე ლექსი შექმნა, რომლის ექსპრესიულობა და შინაგანი მუხტი გადაეცემა მკითხველს. გიორგი ლეონიძემ

ფოლკლორული ამბავი თავისებურად გადაამუშავა და ოსტატურად გადაათამაშა. მან შეცვალა კონტექსტი და დროის კონკრეტული ლოკალი გააფართოვა. გიორგი ლეონიძის ლექსის კონტექსტად არა წარმავლობა, არამედ მარადიულობა იქცა, რომელშიც სიყვარული, როგორც მისტერია, განუწყვეტლივ მეორდება. ლექსის მეტაფიზიკურ დრო-სივრცეში ყივჩაღი ამ საიდუმლო რიტუალის აღმასრულებელია. იგი განზოგადებული და სიმბოლური სახეა თავგანწირული სიყვარულისა. ლექსის მრავალფეროვანი მხატვრული სამყარო ფოკუსირებულია გულისა და გონების ირაციონალურ ჭიდილზე. საგულისხმოა ამბის გადმოცემის რაკურსის ცვალებადობა. ხალხურ ლექსში ყოველივე აღწერილია ქართველი ვაჟკაცის გადასახედიდან. ის მოძალადე უცხოს უპირისპირდება და ცდილობს ოჯახის ღირსება დაიცვას. მისი ცხოვრების ჩვეულ მდინარეებში შემოიჭრება მეტოქე, რომელსაც უმკლავდება, ამარცხებს და კლავს. ლეონიძემ ხედვის კუთხე მთლიანად შეცვალა. მისი ლექსის ლირიკული გმირი თვითონ ყივჩაღია, ლაღი, თავისუფალი, თავზეხელაღებული და თავზედი, დონჟუანური მისწრაფებებით სავსე, ხელშეუხებელს რომ თამამად უახლოვდება და მორალურ-ზნეობრივ კანონებსაც დაუფიქრებლად არღვევს. ლექსში მისი თვალთ დაწახული დრამა წარმოჩნდება. მისი ფიქრის ნაკადები ამალღებული, ექსპრესიული და მშვენიერია. იგი ებრძვის არა მხოლოდ სასურველი ქალის ქმარს, რომელიც ხვდება, როგორც წინაღობა, არამედ სიკვდილსა და წარმავლობას. გიორგი ლეონიძის ლექსის ლირიკული გმირი გადალახავს ადამიანური შესაძლებლობების საზღვარს, ის მარადისობას ეზიარება სიყვარულის გზით. ამიტომაც იგი მითოლოგიური ფენიქსივით გამუდმებით აღდგება საკუთარი ფერფლიდან და განახლდება, რათა სიყვარულის უზენაეს რიტუალში არა მხოლოდ მონაწილეობა მიიღოს, არამედ მთავარი როლი შეასრულოს.

Mzia Jamagidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Colonialism and Myth of Lazy Man in Georgian Folklore and Literature

There are several pieces of Georgian Folklore and Literature telling about lazy characters but among them, „Natsarkekia” tale is especially popular. One of the indications of its popularity is that there are many literary prototypes as well as several versions of plays based on the tale and the theatre performance has also been popular and engaging up to the present.

The character type of Natsarkekia has especially been popular since 1980s when the Georgian publicist writer Guram Asatiani tried to define Georgian national character and identity in his famous essay „To the Origins”. This paved the way for a broad discussion and argument over the topic among the literary circles. Georgian critics linked Natsarkekia to the national identity and identified it with the Georgian national character traits. Simultaneously they considered craftiness and artfulness rather than laziness to be his basic character trait. The emphasis on craftiness is an indication that laziness as an attribute of the character brings some embarrassment to the Georgian society.

According to the Postcolonial theory a colonizer always tries shape inferior self- reflexive stereotypes in the consciousness of colonized nations. The present paper analyzes the stereotype of „lazy Georgian man” and its possible links to the Russian colonial policy. It is argued that the latter has involved certain purposeful policies to create biased knowledge about the Georgian national consciousness since the beginning of the 19th century. It is studied how the Geor-

gians understood the policy of the colonial power , how they built the resistance ideology and how the stereotype of the „lazy Georgian man” is represented in Georgian literature.

მზია ჯამაგიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

კოლონიალიზმი და ზარმაცი კაცის მითი ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში

ქართულ ფოლკლორში არაერთი ზარმაცი გმირი პერსონაჟი არსებობს, თუმცა ქართულ სოციოკულტურულ სივრცეში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „ნაცარქექია“. ქართულ სინამდვილეში ზღაპრის პოპულარობაზე მიანიშნებს ის გარემოებაც, რომ ქართულ მწერლობაში არსებობენ მისი ლიტერატურული პროტოტიპები, არსებობს მისი სცენური წარმოდგენის რამდენიმე ვარიანტიც და სპექტაკლიც დღემდე პოპულარული, საინტერესო და აქტუალურია ქართველი საზოგადოებისათვის.

ნაცარქექიას ტიპაჟმა განსაკუთრებული ინტერესი და აქტუალობა შეიძინა გასული საუკუნის 80-იან წლებიდან, როდესაც გურამ ასათიანმა თავის პუბლიცისტურ წერილებში „სათავეებთან“ სცადა ქართული ხასიათისა და იდენტობის განსაზღვრა, რამაც ფართო დისკუსიას და მსჯელობას დაუდო სათავე ქართულ სალიტერატურო წრეებში. კერძოდ, კრიტიკოსებმა ნაცარქექია ქართულ ნაციონალურ იდენტობასთან დააკავშირეს და მისი თვისებები როგორც ქართული ხასიათის თვისებები ისე წარმოადგინეს, ამავდროულად მის ხასიათში არსებითად არა სიზარმაცე, არამედ მოხერხებულობა მიიჩნიეს. თავისთავად ის ფაქტი, რომ სიზარმაცე მოხერხე-

ბულობით ჩანაცვლდა და ამგვარად დაუკავშირდა ნაციონალურ იდენტობას მიანიშნებს იმას, რომ პერსონაჟის სიზარმაცე, როგორც ხასიათის თვისება გარკვეული უხერხულობის შემცველი იყო ქართველი საზოგადოებისათვის.

პოსტკოლონიალიზმის თეორიაში შესწავლილია, რომ კოლონიზატორი ძალა კოლონიზებულის ცნობიერებაში მუდმივად ცდილობს გარკვეული არასრულფასოვანების თვითრეფლექსიური სტერეოტიპების ფორმირებას. მოხსენებაში შევეცდებით, გავაანალიზოთ ხომ არ მიეკუთვნება „ზარმაცი ქართველი კაცის“ სტერეოტიპი რუსულ კოლონიზატორულ პოლიტიკას, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყიდან ცდილობდა ქართველთა ნაციონალურ ცნობიერებაში მისთვის ხელსაყრელი ცოდნის ფორმირებას, რამდენად გაცნობიერებული ჰქონდათ კოლონიზატორი ძალის ეს პოლიტიკა ქართველებს, როგორ აგებდნენ რეზისტენტულ იდეოლოგიას და როგორ არის ეს პროცესი და კონკრეტულად „ზარმაცი ქართველი კაცის“ სტერეოტიპი დამუშავებული ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში.

Elene Javelidze

Georgia, Tbilisi

Sokumi State University

Syntheses of Avant-garde, Folk and Divan Literature in Nazim Hikmet's Poetry

Poetry of Nazim Hikmet (1902-1963) is a completely outstanding and unusual phenomenon for Turkish literature. Hikmet is one of the most prolific and widely discussed Turkish writer of 20th century.

His poetry has been translated into more than 60 languages. Nazim Hikmet was a poet, who was the first to introduce Turkish poetry leftist ideology, and created a new political poetry different genre from the overall trends in Turkish literature. We can confidently say that Nazim Hikmet was the one who made revolutionary changes in Turkish poetry. Poet's artistic life was revolutionary in strictly aesthetic terms, he introduced and amalgamated many new concepts and techniques, this influence became decisive on modern Turkish poetry. Among these innovations was Marxist ideological focus, free verse, organic form, poems written in the form of "ladders" and "broken" lines. His poetry created new mixture of lyrical, dramatic and rhetorical elements.

Nazim Hikmet searched for the useful and live parts in folk literature and applied them to his own poetry. His poetry contains syntheses of modern, classical and folk sources. We hear the voices of Jelal ed-din Rumi, Yunus Emre and Fuzulî in his poems. Thus "Like Kerem", is the poem which is a turning point in his poetry and avant-garde and revolutionary in Turkish poetry. We see that in the 'Epic of Sheikh Bedrettin' and the other poems after that he benefited from folk poetry. In the 'Epic Sheikh Bedrettin', published in 1936, was the beginning of a new phase in the literary development of Nazim Hikmet, during which he researched modern, folk and classical sources in order to lay the foundation of a new linguistic and formal synthesis for poetry. Free verse, syllabic meter and metrical prosody were used side by side. The poet regularly switched from poetry to prose throughout the epic. In his early poetry, we can read the literary elements of classic poetry tradition, then the influence of Futurism and Constructivism. It is clear that the Nazim Hikmet's Poetry is exceptional artistic phenomenon with its specific features and laws.

ელენე ჯაველიძე

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავანგარდის, ფოლკლორისა და დივანის ლიტერატურის სინთეზი ნაზიმ ჰიქმეთის პოეზიაში

ნაზიმ ჰიქმეთის (1902-1963) პოეზია თურქული ლიტერატურის გამორჩეული და უჩვეულო ფენომენია. ჰიქმეთი მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი და ფართოდ შესწავლილი თურქი მწერალია. მისი პოეზია ნათარგმნია 60-ზე მეტ ენაზე. ნაზიმ ჰიქმეთი იყო პოეტი, რომელმაც თურქულ პოეზიაში მემარცხენე იდეოლოგია შემოიტანა, თურქული ლიტერატურის საერთო ტენდენციებისგან განსხვავებული ჟანრობრივად ახალი პოლიტიკური პოეზია შექმნა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნაზიმ ჰიქმეთმა თურქულ პოეზიაში დიდი რევოლუციური ცვლილებები განახორციელა. პოეტის შემოქმედება რევოლუციური იყო უშუალოდ ესთეტიკის პარამეტრებიდან გამომდინარე, მან თურქული მწერლობა გაამდიდრა მრავალი ახალი კონცეფციით და ტექნიკით, ეს გავლენა თვალსაჩინოა თანამედროვე თურქულ მწერლობაზე. ამ სიახლეებს შორის იყო მარქსისტული იდეოლოგიის აქცენტირება, ვერლიბერი, ლექსის ორგანული ფორმა, „კიბეებით“ და „დატეხილი“ ხაზებით დაწერილი ლექსები. მან პოეზიაში შეძლო ლირიკული, დრამატული და რიტორიკული ელემენტების ახალი ნაზავის შერწყმა.

ნაზიმ ჰიქმეთმა შეისწავლა ფოლკლორი, იგი ეძებდა სასარგებლო და ცოცხალ ელემენტებს, იყენებდა მათ. მისი პოეზია შეიცავს როგორც მოდერნისტულ, კლასიკურ, ასევე ფოლკლორის სინთეზურ ფორმებს. ჯელალ ედ-დინ რუმის,

იუნუს ემრესა და ფუზულის ხმები გვესმის მის ლექსებში. ლექსი „ქერემივით“, გარდამტეხი ხდება მის პოეზიაში, ის ავანგარდული და რევოლუციურია თურქული პოეზიისათვის. ჩვენ ვხედავთ, რომ „შეიხ ბედრედინის ეპოსში“ და შემდგომ სხვა ლექსებში იგი სარგებლობს ფოლკლორით. „შეიხ ბედრედინის ეპოსით“, რომელიც 1936 წელს გამოქვეყნდა, იწყება ნაზიმ ჰიქმეთის სამწერლობო მოღვაწეობის ახალი ეტაპი, მან მიაკვლია მოდერნისტული, ფოლკლორული და კლასიკური წყაროების შერწყმას, რათა საფუძველი ჩაეყარა პოეზიის ახალი ენობრივი და ფორმისმიერი სინთეზისათვის. იგი მორიგეობით იყენებდა თავისუფალი ლექსის ტექნიკას, სილაბურ მეტრსა და მეტრულ პროსოდias. პოეტი ეპოსში პოეტური და პროზაული ნაწილების მონაცვლეობას ეწევა, რაც სრულიად ახალი იყო თურქული მწერლობისთვის. მის ადრეულ პოეზიაში იკითხება კლასიკური ლიტერატურის პოეტური ტრადიციის ელემენტები, შემდგომ ფუტურიზმისა და კონსტრუქტივიზმის გავლენა. ნათელია, რომ ნაზიმ ჰიქმეთის პოეზია განსაკუთრებული მხატვრული ფენომენია სპეციფიკური ნიშან-თვისებებით და კანონებით.

Grigol Jokhadze

Georgia, Tbilisi

Ilia State University

**„The Georgian Myth” of Russian Poetry
(Lermontov. Mandelstam. Mayakovsky)**

The paper discusses the passage from Mandelstam’s essay “A Word about Georgian Art” according to which, at the heart of the Georgian Mythology, created by Lermontov, is Tamar. Tamar of Man-

delstam's discourse is the protagonist of Lermontov's ballade "Tamar". As the recent research of folkloristic and traveller's notes has shown, Lermontov's Tamar is a generalized character which has no connection with national shrine of Georgians, the Queen Tamar. What is more interesting, there is no saying why Lermontov gave the name Tamar to such a depraved and treacherous character as Lermontov's protagonist is.

The fact is that, it influenced negatively and at least ambiguously on development of Russian literature in 20s of 20 c. which is proved by Mandelstam's under mentioned essay (published in 1922) and Mayakovsky's poem "Demon and Tamar" (published in 1924). Tamar's image in both pieces is either parody or false.

გრიგოლ ჯობაძე

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსული პოეზიის „ქართული მითი“ (ლერმონტოვი. მანდელშტამი. მაიაკოვსკი)

მოხსენება მანდელშტამის ნარკვევის „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“ იმ პასაჟის გაანალიზების ცდაა, რომლის თანახმადაც, ლერმონტოვის მიერ შექმნილი „ქართული მითოლოგიის ცენტრში თამარი დგას“. მანდელშტამისეული დისკურსის თამარი ლერმონტოვის ლექს „თამარის“ თამარია. ფოლკლორულ ჩანაწერთა თუ მოგზაურთა შენიშვნების გაანალიზების შედეგად, წარმოჩნდა, რომ ლერმონტოვისეული თამარი ერთგვარი კრებსითი სახეა, ოღონდ გაუგებარია, რატომ დაუკავშირა ის ავტორმა ქართველთა ეროვნულ სიწმინდეს. ფაქტია, რომ ამან დამთრგუნველად და არაერთმნიშვნელოვნად

იმოქმედა მე-20 საუკუნის 20-იანი წლების რუსული ლიტერატურის განვითარებაზე, რის დასტურიც აამანდელ შტამის 1922 წელს გამოქვეყნებული ზემოთ მითითებული ნარკვევი და მაიაკოვსკის 1924 წელს გამოქვეყნებული ლექსი „თამარი და დემონი“. თამარის სახე ორივეგან პაროდირებულია.

Maka Jokhadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Svanetian Folk Motives in the Contemporary Georgian Poetry (Davit Tserediani, Esmā Oniani)

Life is a poem tortured by living, and we can perceive it extremely well through folk poetry. folklore is an eternal source of inspiration for any art field. Folklore depicts our historical-ethnographical, social-political, moral-psychological, ethical or aesthetical living and enables us to cognize the spirit of the epoch as well. Themes, forms, rhythm, motives appear, change, develop or even disappear forever according to time and space. Svanetian poetry is an important part of Georgian folklore. Obviously, due to its canonic, form, structure, acoustics, warm colours and solid tones, a Svanetian poem as well as Svanetian iconography does not correspond to Georgian folklore principles.

While listening to a Svanetian poem or song, we hear laryngeal sounds booming heavily like an echo reflected from the archaic world. As for Svanetian epic, there is such a large and wide arena and dramatic ambiance of Shakespearean passions that a poet can curve not only the main characters, but also unknown personages like sculptural

figures. we selected the theme of love and betrayal for our work, we chose the theme that is as old as the world but eternal at the same time. By applying the comparative method, we tried to reveal how a folk poem has become the source of motivation and inspiration for contemporary poets to help them create beautiful literary works. It is not accidental either that we selected the works by Davit Tserediani and Esmā Oniani. We decided on them because they have completely understood Svanetian folklore and identified with it.

მაკა ჯობაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სვანური ფოლკლორული მოტივები თანამედროვე

ქართულ პოეზიაში

(დავით წერედიანი, ესმა ონიანი)

სიცოცხლე ცხოვრებიდან გამოტანჯული ლექსია. ყველაზე ბუნებრივად ეს ხალხური პოეზიის შედეგებში ჩანს. ფოლკლორული სამყარო ჩვენი ისტორიულ-ეთნოგრაფიული, სოციალურ-პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, ეთიკური თუ ესთეტიკური ყოფის ანარეკლიცაა, რომლის მღვიმეებშიც ეპოქის სულისკვეთებაც იკითხება. თემები, ფორმები, რიტმი, მოტივები დრო-სივრცის შესაბამისად იბადებიან (ჩნდებიან), იცვლებიან, ვითარდებიან, ზოგჯერ სამუდამოდ ქრებიან კიდევ. მხოლოდ მარადიული, ჭეშმარიტი ღირებულებები არ ემორჩილებიან დროის დინებას. ისინი მყარად, მუდმივად არსებობენ როგორც პლანეტები, როგორც მნათობები, როგორც შესაქმის დროინდელი ცა და ხმელეთი, ზღვები და ოკეანეები.

ქართულ ხალხურ პოეზიაში სვანურ პოეზიას გამორჩეული ადგილი უჭირავს. სვანური ლექსი, ისევე როგორც

სვანური ხატწერა, თავისი კანონიკით, ფორმით, სტრუქტურით, თავისი აკუსტიკური ჟღერადობით, მშვიდი ფერადოვნებითა და დინჯი ტონალობით აშკარად ამოვარდნილია ქართული ფოლკლორიდან.

სვანური ლექსის ან სიმღერის მოსმენისა და ე. წ. „ხალხურ“ კილოკავზე მეტად (რომლითაც საქართველოს ნებისმიერი კუთხის ლექსი ან სიმღერა იცნობა) არქაული, უძველეს სამყაროდან არეკლილი ექოსავით ჩაგვესმის მძიმედ მოგუგუნე ხორხისმიერი ბგერები. ხმოვანებით შევიწროებული, მოგუდული თანხმოვნები მოკრძალებით განზე გამდგარან. ძახილის ნიშნებად ზეადმართული კომპების ქვეშ შეყუჟული სახლებივით მყუდროდ სუნთქავენ. სვანურ ლექსში ნაკლები ლირიკაა, ნაკლები სიმსუბუქე და უდარდელობა. თვით შაირებშიც კი ბოლომდე არ იხსნებიან, ბოლომდე არ ლაღობენ, ღირსების შემლახავ წამოცდენებს თუ ერიდებიან.

რაც შეეხება სვანურ ეპოსს, აქ სამოქმედო ასპარეზი იმდენად ვრცელი და მხარგამლილია, შექსპირისეული ვნებების ისეთი დრამატურგიული ატმოსფერო იქსოვება, რომ ამ ფონზე სკულპტურული ფიგურებივით არა მხოლოდ მთავარი გმირები, არამედ აქამდე უჩინარი პერსონაჟებიც იძერწებიან. ნაშრომში მიზეზთა გამო საგანგებოდ შევარჩიეთ სამყაროსავით ძველი და მარად ახალი სუყვარულისა და ღალატის თემა. შედარებითი მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ გვეჩვენებინა, თუ ხალხური ლექსი თანამედროვე პოეტებისათვის როგორ იქცა სტიმულად და შთაგონების წყაროდ, რომ მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები შექმნილიყო. შემთხვევითი არც ისაა, რომ ჩვენი კვლევის ობიექტად დავით წერედიანისა და ესმა ონიანის ლექსები ავარჩიეთ, რომელთაც სრულყოფილად ჰქონდათ შესწავლილი და გათავისებული სვანური ფოლკლორი.

Almira Kalieva

Kazakhstan, Almaty

*Institute of Literature and Art named after M.O. Auezov of the
Ministry of Education and Science of the Republic of Kazakhstan*

The Myth and Symbol in the Modern Kazakh Literature

Formation of the national identity of the Kazakh people is mainly based on works imprinted in oral folklore. The subject of history is widely spread in the modern kazakh literature. History is a continuously interesting subject.

New literary trends are reflected in Kazakh national prose in the books of the writer, publicist, screenwriter Didar Amantay. The ecology of consciousness, the modern life of the city, the philosophical issues of life are the current topics of his prose and essay writing. As a representative of postmodernism and poststructuralism, D. Amantay combines elements of different styles and trends of the past in his work, often with an ironic effect, develops a philosophical direction and a critical analysis of culture and society. A characteristic feature of his style of narration is that the writer freely moves from the comparison of images and motives in the national literatures of the world to the analysis of the Kazakh one, addressing his works of art to an exquisite, intellectual reader. The narrator reinforces mythologism, psychological overtones, and tragedy against the background of an ordinary household plot. The loneliness of the individual in nomadic culture is determined by nature, living conditions, infinity and boundless vastness of the steppe, in which the problem of «man and space» is relevant in the twenty-first century. The problem of «man and nature» is solved by the author in terms of the increased responsibility of the inhabitants of the planet Earth for the world.

Lia Karichashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Folk Wisdom in „The Knight in the Panther’s Skin“

Folklore is regarded as one of the sources of Shota Rustaveli’s worldview. Many researchers associate the poem’s fable with the fairy tale. There are studied the folklore-mythos motifs and image-symbols. In addition, the folk wisdom was reflected in the Knight in the Panther’s Skin as emanation of the national consciousness and being and, at the same time, general cultural paradigms that occur in the lore and written literature of various nations.

In Rustaveli’s narrative the folk wisdom is frequently accompanied formula “it is said” that emphasizes old age of the idea, its oral widespread nature and anonymity (collectiveness) (“It is said: A bribe settles matters even in hell.” 764; “It is said: Chidden slowness is better than praised haste.” 1344). At the same time, Many Rustaveli’s aphorisms are very close to the folk proverbs with their ideas though they are formulated with Rustaveli’s eloquence.

Antithetic aphorisms occurring in the same episode of the poem and containing, at one glance, mutually excluding statements, are of interest with their contents. Aphorism – “Inquire of a hundred, do what pleaseth thine heart, in spite of what any may advise thee” – has its corresponding folk proverb (though, it could originating from that aphorism): “ask hundred people and do what is your will” (necessity of the advisor is emphasized also by the proverb: “If a man has no one to advice, he should ask the wall”), implying that the other’s opinion is significant but a person should make decisions as his/her heart dictates.

In the stance “do that thou desirest not, follow not the will of desires” Rustaveli offers quite different behavior model. Careful exam-

ination of the context shows that contradicting content of the stances is conditioned by the contrasting psychosomatic conditions of the characters Tariel and Avtandil. While in the normal situation for the individual with common sense the statement “Inquire of a hundred, do what pleaseth thine heart...” would be useful, for the “stranger” ready to surrender and has no desire to fight, solution is the action against one’s will. Thus, both statements are reasonable in proper time and circumstances.

Rustaveli’s aphorisms, maxims and folk proverbs provided by him, mostly, not only underline the problem but also offer the solutions as well.

ლია კარიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ხალხური სიბრძნე „ვეფხისტყაოსანში“

ფოლკლორი შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ წყაროდ მიიჩნევა. არაერთი მკვლევარი პოემის ფაბულას ზღაპარს უკავშირებს. შესწავლილია ფოლკლორულ-მითოსური მოტივები და სახე-სიმბოლოები. გარდა ამისა, ხალხური სიბრძნე აირეკლა „ვეფხისტყაოსანში“, როგორც ეროვნული ცნობიერებისა და ყოფიერების ემანაცია და, ამავე დროს, ზოგადკულტურული პარადიგმები, რომლებიც სხვადასხვა ხალხის ზეპირსიტყვიერებასა თუ წერილობით ლიტერატურაში გვხვდება.

რუსთველურ ნარატივში ხალხურ სიბრძნეს ხშირად ახლავს ვერბალური ფორმულა „თქმულა“, რაც აზრის სიძველეს, ზეპირ გავრცელებასა და ანონიმურობასა (კოლექტიურობას) უსვამს ხაზს („თქმულა: ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა და-

იურვებს“; 764; „თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“; 1344). ამავე დროს, რუსთაველის მრავალი აფორიზმი იდეურად ძალზე ახლოსაა ხალხურ ანდაზებთან, თუმცა გადმოცემულია რუსთველური სახისმეტყველებით.

საყურადღებოა შინაარსობრივად ანტითეზური აფორიზმები, რომლებიც პოემის ერთსა და იმავე ეპიზოდში გვხვდება და, ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავ შეგონებებს შეიცავს. აფორიზმს – „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“ – შესატყვისი ხალხურ ანდაზებშიც ემებნება (თუმცა, შესაძლოა, სწორედ აღნიშნული აფორიზმის გამოძახილი იყოს): „ასსა ჰკითხე და ნება შენი ათავეო“ (მრჩევლის აუცილებლობას უსვამს ხაზს აგრეთვე ანდაზა: „კაცს თუ მრჩეველი არა ჰყავს, კედელს დაეკითხოსო“), რაც ნიშნავს, რომ სხვათა აზრი მნიშვნელოვანია, თუმცა ადამიანმა გადაწყვეტილება საკუთარი გულის კარნახით უნდა მიიღოს.

საწინააღმდეგო ქცევის მოდელს გვთავაზობს რუსთაველი ტაეპში: „რაც არა გწადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. კონტექსტზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ტაეპთა წინააღმდეგობრივი შინაარსი განპირობებულია იმ კონტრასტული ფსიქოსომატური მდგომარეობებით, რომლებშიც პერსონაჟები, ტარიელი და ავთანდილი, იმყოფებიან. თუ ჩვეულებრივ ვითარებაში ჯანსაღი ცნობიერების ადამიანისთვის სარგებლიანია შეგონება: „ჰკითხე ასსა, ჰქმენ გულისა...“, „უცნობოსთვის“, რომელიც მზად არის დანებდეს სიკვდილს და ბრძოლის სურვილი აღარ აქვს, სწორედ საკუთარი ნების საწინააღმდეგო მოქმედებაა გამოსავალი. ამდენად, ორივე შეგონება მართებულია თავ-თავის დროსა და გარემოებებში.

რუსთაველის აფორიზმები, მაქსიმები და მის მიერ დამოწმებული ხალხური ანდაზები, ძირითადად, პრობლემას არა მხოლოდ აღნიშნავს, არამედ მისი გადაჭრის გზასაც გვთავაზობს.

Lela Khachidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Folk Narratives on Lenten Feasts

Despite the canonicity, Lenten feasts are associated with folk narratives and traditions. On the one hand, folk narratives have an influence on Lenten structure and calendar; on the other hand, Lenten feasts themselves are reflected in Georgian folklore and traditions.

According to the narrative, the name of Heraclius Caesar is closely associated with the establishment of one of the most important periods of Lent – the “Pancake Week”. The origin of “Pancake” is connected precisely with the folk narrative.

Of special interest is the ritual called Misroba which is still preserved in western Georgia..This feast is celebrated before the start of Great Lent. In our opinion, this circumstance should be explained by the fact that the old beliefs try to “adjust” to the new Christian Lent.

The preparatory period for Great Lent, the first Monday and Holy Week dominate in folk narratives and rituals. The first Monday of Great Lent is called Black Monday in different parts of Georgia that in Svaneti was accompanied by an appropriate ritual.

The Holy Week is the earliest and most distinctive period of Lent which is associated with the most important events of the Savior’s earthly life. It is interesting to note that according to the oldest specimen of the Georgian folk epic – “*Amirani*”, the punishment of the protagonist with eternal chains occurs on Great Thursday of HolyWeek,.

The hardest day of the Great Lent is Hole Friday. According to folk tradition, a person should forget about daily worries on this day.

In this context, the death of the famous hero of the Georgian folk epic *Arsena Marabdeli* on Great or Red Friday undoubtedly deserves attention.

ლელა ხაჩიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორული გადმოცემები დიდმარხვის დღესასწაულების შესახებ

კანონიკურობის მიუხედავად, დიდმარხვის დღესასწაულები უკავშირდება ფოლკლორულ გადმოცემებს და ტრადიციებს. ერთი მხრივ, ფოლკლორული გადმოცემები გავლენას ახდენს დიდმარხვის სტრუქტურასა და კალენდარზე; მეორე მხრივ, თვით დიდმარხვის დღესასწაულები ასახულია ქართულ ფოლკლორსა და ტრადიციებში.

გადმოცემის მიხედვით, ჰერაკლე კეისრის სახელს უკავშირდება დიდმარხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდის – „ყველიერის შვიდეულის“ დაწესება. ჰერაკლე კეისარი დათანხმდა იერუსალიმელი ებრაელების დასჯას იმ პირობით, რომ მთხოვნელები დანაშაულს თავის თავზე აიღებდნენ და დიდმარხვის წინ ყოველწლიურად დამატებით ერთ კვირას იმარხულებდნენ. სწორედ აღნიშნულ გადმოცემას უკავშირდება „ყველიერის შვიდეულის“ წარმოშობა.

საინტერესოა დასავლეთ საქართველოში დღემდე შემორჩენილი წეს-ჩვეულება, რომელსაც მისრობა (მირსობა) ეწოდება. მკვლევართა აზრით, ესაა ზოროასტრულ ღვთაება მითრასთან დაკავშირებული ძველი რიტუალის ასახვა. ეს დღესასწაული საქართველოს ყველა ამ კუთხეში დიდმარხვის

დაწყებამდე აღინიშნება. ეს გარემოება, ვფიქრობთ, იმით უნდა აიხსნას, რომ ძველი რწმენა-წარმოდგენები ცდილობს ახალ – დიდმარხვის ქრისტიანულ წესთან „მორგებას“.

ფოლკლორულ გადმოცემებსა და რიტუალებში დომინირებს დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდი (კერძოდ, ყველიერის შვიდეული, დიდმარხვის პირველი ორშაბათი) და ვნების ანუ დიდი შვიდეული.

დიდმარხვის პირველ ორშაბათს „მავ ორშაბათს“ უწოდებენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში, რასაც სვანეთში თან ახლდა სათანადო რიტუალი. ეს გადმოცემა დაედო საფუძვლად გრ. რობაქიძის ნოველას – „წმინდა ხარის მოკვლა“.

დიდმარხვის ყველაზე ძველი და გამორჩეული პერიოდი ვნების ანუ დიდი შვიდეული, რომელსაც უკავშირდება მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ეპიზოდები. საინტერესოა, რომ ქართული ხალხური ეპოსის უძველესი ნიმუშის – „ამორანიანის“ მიხედვით, მთავარი გმირის მარადიული მიჯაჭვა ვნების კვირას, დიდ ხუთშაბათს ხდება.

დიდმარხვის ყველაზე მძიმე დღე ვნების ანუ დიდი პარასკევია. ამ დღეს განწესებულია ყოველგვარი ცოდვისგან განწირდება, უზმოდ ყოფნა ან უმნიშვნელო საზრდოს მიღება. ხალხური ტრადიციის მიხედვით, ამ დღეს ადამიანმა ყოველდღიური საზრუნავიც უნდა დაივიწყოს. ამ კონტექსტში უდაოდ იმსახურებს ყურადღებას ქართული ხალხური ეპოსის ცნობილი გმირის – არსენა მარაბდელის სიკვდილი ვნების ანუ წითელ პარასკევს.

Mary Khukhunaishvil-Tsiklauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Some Aspects of Literary Treatment of the Mythological Images of Amirani and Ambri

In the versions of the Epos of Amirani there are scattered mythological fragments of various stages of pagan thinking.

In the XII century the folk story about Amirani became the object of literary treatment by Mose Khoneli, the author of the chivalrous prose romance “Amirandarejaniani” consisting of twelve theme stories unifying axis of which is Amirani’s adventure.

Folk story on Amirani can be divided in three cycles: the birth of Amirani by the goddess of hunt Dali, his exploits and the punishment by the God. Scientists (Chikovani, Virsaladze) link the origin and development of the epos with the epoch of disintegration of matriarchy, the epoch of ploughing agriculture, it also reflected the characteristics of the hunting society. At that period the astral religion was occupying the pagan pantheon, Amirani and his brothers – Badri and Usupi are the survivals of this religion. Ambri, the main rival of Amirani, is bearer of the agricultural – season – weather mythology. According to the Kakhetian version he was killed by the Wind Man. In the Georgian folk poetry the Wind Man was the mediator of the Moon in dispute with the Sun for the first place in the heathen pantheon.

The topic of the research is the investigation of the process of literary transformation of the folklore images of Amirani and Ambri in the chivalrous prose romance “Amirandarejaniani”.

მერი ხუხუნიანი-წიკლაური

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ამირანის და ამბრის მითოსური სახეების ლიტერატურული დამუშავების შესწავლისათვის

ამირანის ეპოსის ვერსიებში გაბნეულია წარმართული აზროვნების სხვადასხვა ეტაპის მითოლოგიური წარმოდგენები. ამირანის თავგადასავლის ეპოსად ჩამოყალიბების პერიოდს მკვლევრები (მ. ჩიქოვანი, ე. ვირსალაძე) მატრიარქატის დაშლის, გუთნური მიწათმოქმედების განვითარებისა და ასტრალური რელიგიის დამკვიდრების პერიოდს უკავშირებენ. ეპოსმა, ასევე, შემოინახა სამონადირეო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტრადიციები. ამირანი და მისი ძმები – ბადრი და უსუპი ასტრალური ნიშნების, კერძოდ, ცისკრის ვარსკვლავის, მზისა და მთვარის ატრიბუტების მატარებლები არიან. ასტრალურ რელიგიას თან ახლდა აგრარული, სეზონურ-კალენდარული მითოსური წარმოდგენების ჩამოყალიბება, რაც მიწათმოქმედების განვითარებასთან იყო დაკავშირებული და ამირან-ამბრის მოტივში აისახა. ეპოსის ვარიანტებში ამბრი ამირანის მეტოქეა. კახური ვერსიით: „ქარის კაცს მეეკლა ამბრი. მკლავი მიწაზე მითრევადა. გუთან თითებიტა ხნავდა.“ ქართული მითოსური წარმოდგენებით, ქარის კაცი ასტრალური ღვთაებების – მზისა და მთვარის მოკავშირეა, რასაც ქართული ხალხური ლექსიც ადასტურებს: „ნათელმა მთვარემ ბრძანა: ბევრით მე ვჯობივარ მზესა; / დაჯდა, დაწერა წიგნები, – ზენა ქარი მიაართმევსა. / მზეს რომ კაცი მიუვიდა, მზე ძალიან გაჯავრდესა.“ ქარი აქაც წარმოდგენილია როგორც კაცი, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია მზისა და მთვარის ღვთაებათა შო-

რის შუამავლობა, მაცნობაა. ქარის მითიური სახე ქართულ სინამდვილეში ნაკლებად არის შესწავლილი და წინამდებარე გამოკვლევაში ვცადეთ, ამ საკითხსაც შევხებოდით. სამეგრელოში ქარების ღმერთი „ქაქამინჯეს“ სახელით იყო ცნობილი, ქარების ქალღვთაებას „ჩიჩას“ უწოდებდნენ, რომელიც თმაგაწეწილი ქალის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. გაზაფხულზე მათდამი მიძღვნილ „ბორიაშ ხვამას“ ასრულებდნენ.

მოგვიანებით ამირანის თემა XII საუკუნის ქართული საერო მწერლობის ლიტერატურული დამუშავების საგანი გახდა მოსე ხონელის საგმირო-სარაინდო რომანში „ამირან-დარეჯანიანი“. ნაწარმოები თორმეტი დამოუკიდებელი ამბისგან შედგება, რომელთა გამაერთიანებელი ღერძი ამირანის თავგადასავლებაა. მეხუთე კარი ამბრი არაბის ამბავს ეძღვნება. ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს ამირანისა და ამბრის მითოსური სახეების ლიტერატურული დამუშავების პროცესის შესწავლას.

Maia Kiknadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Folk Searches in Alexander Akhmeteli's Art

Sandro Akhmeteli used to attribute special importance to the formation of national theatre during Soviet system. National theater may exist in his theatrical searches only by applying Georgian traditions and folk points. Thus were created his performances: Anzori, Lamara, Tetnuldi and other.

Grigol Robakidze wrote “Lamara” under suggestion of Vazha-Pshavela’s “GvelisMchameli” and Kote Marjanishvili’s advice. Akhme-

teli staged the play in 1930. Performance was famous for the forms of folk art (music, dance, scenography, saying quatrains). During guest performances in Moscow, based on this performance, Akhmeteli was accused of “exoticism”.

Akhmeteli was trying to show tradition of “theatrical folklore” in his art, considering renewal of not only “Berikaoba” and “Keenoba”, but also mastering folk songs, quatrains, ancient dramatic forms and theatrical masks. For example, let’s recall “grandfathers’ scene” in Shalva Dadiani’s play “Tetnuldi” (1931) staged by Akhmeteli to the rhythm of Svan folk song. Use of Georgian folklore facilitated him in the formation of national theater and search of new stage forms.

Akhmeteli used to think a lot about formation of “Masks Theater”. In this regard, his searches are noteworthy in the renewal and mastering folk theatrical shows that should be represented in some performances (e.g. “Kvachi Kvachantiradze”, “Berikaoba”). Unfortunately, due to some its reasons, both performances were left unfinished.

On the instruction of Akhmeteli, Shalva Dadiani wrote (1927) play based on Mikheil Javakhishvili’s novel “Kvachi Kvachantiradze”. “Intermedia-Arlekiniada” was especially written for this play that comes from the Middle Ages’ European folk shows. Its characters were originated from folk bosom alike commedia dell’arte (e.g.: Kosatkuila, Tsangala, Gogona, Natsarkekia, Devi, who was personifying evil soul).

In 1930 Akhmeteli again launched work on “Masks Theater”. This time under his instruction was written a play “Berikaoba” (authors: Kantaria, Aphkhaidze, Kobakhidze). Performance had to be completely staged in accordance with the national folklore, where director had to use masks of characters (e.g.: Berikebi, Doklapia, Muzmuzela and others).

In accordance with the traditional Berikaoba the director had to consider specificity of show, interrelation of space and spectator (division of stage, spectator's engagement that had to take place as an experiment).

In his theoretical letters or performances, Sandro Akhmeteli demonstrated the greatest importance of mastering folk tradition, necessary during formation of national theater.

მაია კიკნაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორული ძიებები ალექსანდრე ახმეტელის შემოქმედებაში

საბჭოთა სისტემის პირობებში, ეროვნული თეატრის შექმნას სანდრო ახმეტელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მის თეატრალურ ძიებებში ეროვნული თეატრის არსებობა, მხოლოდ ქართული ტრადიციებისა და ხალხური ელემენტების გამოყენებით იყო შესაძლებელი. ასე შეიქმნა მისი სპექტალები: ანზორი ლამარა, თეთნულდი და სხვა.

„ლამარა“ გრიგოლ რობაქიძემ, ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელის“ შთაგონებითა და კოტე მარჯანიშვილის რჩევით დაწერა. ახმეტელმა პიესა 1930 წელს დადგა. სპექტაკლი გამოირჩეოდა ხალხური შემოქმედების (მუსიკა, ცეკვა, სცენოგრაფია, გაშაირება) ფორმებით. მოსკოვში გასტროლების დროს, ამ სპექტაკლით, ახმეტელს ბრალი დასდეს „ეგზოტიზმში“.

ახმეტელი, თავის შემოქმედებაში ცდილობდა წარმოეჩინა „თეატრალური ფოლკლორის“ ტრადიცია, რაც გულისხმობდა არა მარტო „ბერიკაობისა“ და „ყეენობის“ აღდგენა-

რესტავრაციას, არამედ სარიტუალო სანახაობების, ხალხური სიმღერების, შაირობის, უძველესი დრამატული ფორმების, თეატრალური ნიღბების ათვისებასაც. მაგალითად გავიხსენოთ „ბაპების სცენა“ შალვა დადიანის პიესაში „თეთნულდი“ (1931 წ.), რომელიც ახმეტელმა სვანური ხალხური მუსიკის რიტმზე ააგო. ქართული ფოლკლორის გამოყენება მას ნაციონალური თეატრის შექმნასა და ახალი სცენიური ფორმების მოძებნაში ეხმარებოდა.

„ნიღბების თეატრის“ შექმნაზე ბევრ ფიქრობდა ახმეტელი. ამ თვასაზრისით, საყურადღებოა მისი ძიებები ხალხური თეატრალური სანახაობების აღდგენასა და ათვისებაში, რომელიც რამდენიმე სპექტაკლში უნდა ასახულიყო (მაგ. „კვაჭი კვაჭანტირაძე“, „ბერიკაობა“) სამწუხაროდ, ორივე სპექტაკლი დაუმთავრებელი დარჩა, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

ახმეტელის დავალებით, შალვა დადიანმა დაწერა (1927) პიესა, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ საფუძველზე. ამ პიესისთვის, სპეციალურად დაიწერა „ინტერმედია-არლეკინიადა“, რომლებიც შუა საუკუნების ევროპული ხალხური სანახაობებიდან მოდის. მისი პერსონაჟები კომედია დელ'არტეს მსგავსად, ხალხური წიაღიდან იყვნენ აღმოცენებულნი (მაგ. ქოსატყუილა, ცანგალა, გოგონა, ნაცარქექია, დევი, რომელიც ბოროტ სულს განასახიერებდა).

1930 წელს, ახმეტელი კვლავ მიუბრუნდა „ნიღბების თეატრზე“ მუშაობას. მისი დავალებით, დაიწერა პიესა „ბერიკაობა“ (ავტორები: ქანთარია, აფხაიძე, კობახიძე). სპექტაკლი მთლიანად ხალხურ ფოლკლორზე უნდა ყოფილიყო აგებული, რომელშიც რეჟისორს უნდა გამოეყენებინა პერსონაჟთა სახე-ნიღბები (მაგ. ბერიკები, დოყლაპია, მუზმუხელა და სხვა)

ტრადიციული ბერიკაობიდან გამომდინარე, რეჟისორს უნდა გაეთვალისწინებინა სანახაობის სპეციფიკა, სივრცისა და მაყურებლის ურთიერთმიმართება (სცენის დაყოფა, მაყურებლის ჩართულობა, რასაც ექსპერიმენტის სახე უნდა ჰქონოდა).

სანდრო ახმეტელმა თავის თეორიულ წერილებსა თუ სპექტაკლებში, დაგვანახა თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის ფოლკლორული ტრადიციის ათვისების აუცილებლობას ეროვნული თეატრის შექმნის პროცესში.

Zeinab Kikvidze

Georgia, Kutaisi

Akaki Tsereteli State University

The Folklore and Literary Phenomenon of Eternal Recurrence

The motif of eternal recurrence originates from ancient folklore and biblical narratives. The entirety of the Universe has been conditioned by the unity of beginning and end. The famous statement “What has been will be again” manifests the eternal uniformity of the universum.

Primary objects and primary beings permanently come back from the past, being repeated in the present and the future, and, according to Mircea Eliade, provide for the the eternal return of the myth. Primary substance is repeated in actual and imaginary worlds. A certain “unconscious structure” (Claude Levi-Strauss) emerges which may occur in symbolic variations of tradition, way of social life, human volition, and custom across time and space.

In the Bible and folklore, the eternal recurrence has been associated with the symbol of road encoding profane and sacred arche-

types. In order to accomplish their ideas, heroes make their way, in most cases enjoying the right to choose (the symbol of a crossroads), by means, of which they express their will – to merge with the beginning by way of overcoming a difficult, insurmountable rubicon, and thus reach a new level of cognition (Abraham in the Bible; a young man in search of immortality in the Georgian folk tale “The earth will take its own”).

Since antique literature (*Odysseus*), both in renaissance (*The Knight in the Panther's Skin*), in modernism (*Thus Spoke Zarathustra* by F. Nietzsche; *The Smile of Dionysus* by K. Gamsakhurdia), and contemporary literature (*The Best Robe* by G. Dochanashvili; *The Lodger* by J. Karchkhadze), a road has been conceptualized as a chronotopic locus whereby the hero would reincarnate within the primary substance, would merge with the “taurarsi” (G. Robakidze term), in order to make the past and the future merge in his cognition by means of the eternal recurrence.

By means of the a Georgian family narrative, Nino Haratischvili's novel *Eighth Life (for Brilka)* portrays a model of the eternal recurrence showing, alongside with the story the heroes' themselves, the saga of Georgia in the socialist period. The lives of generations have been intertwined reflecting the repetition of the previous into the next. The search for an essence of life reveals the motif of road in this case too, with the function of a crossroads taking shape again and again – which one is to be chosen by the hero: the one which will enable him return without any trouble or the one which will be associated with death. The phenomenon of the eternal recurrence, chosen by the author, hints to the reader how the eighth chapter of the novel may end, the chapter which has only a subtitle and ends in a blank page.

ზეინაზ კიკვიძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარადიული დაბრუნების ფოლკლორულ-ლიტერატურული ფენომენი

მარადიული დაბრუნების მოტივი უძველესი ფოლკლორული და ბიბლიური ნარატივებიდან იღებს სათავეს. სამყაროს მთლიანობა განსაზღვრულია საწყისისა და სასრულის ერთიანობით. ცნობილი გამოთქმა „რაი ყოფილი, იგივე ყოფადი“ ავლენს უნივერსუმის მუდმივ ერთგვაროვნებას.

პირველსაგნები და პირველარსებები მუდმივად გადმოდინან წარსულიდან, მეორედებიან აწმყოსა და მომავალში, და მირჩა ელიადეს აზრით, ქმნიან მითის მარადიულ კვლავდაბრუნებას. პირველარსის განმეორება ხდება რეალურ და წარმოსახვით სამყაროში. იქმნება ერთგვარი „არაცნობიერი სტრუქტურა“ (კლოდ ლევი სტროსი), რომელიც, შესაძლოა, გამოვლინდეს სხვადასხვა დროსა და სივრცეში ტრადიციის, სოციალური ცხოვრების წესის, ადამიანის ნებელობისა თუ ჩვეულების სიმბოლური ვარიაციებით.

მარადიული დაბრუნება ბიბლიასა და ფოლკლორში უკავშირდება გზის სიმბოლოს, რომელშიც კოდირებულია პროფანული და საკრალური არქეტიპობრიობა. გმირები საკუთარი იდეის მისაღწევად ადგებიან გზას, უმეტეს შემთხვევაში არჩევანის უფლებით (გზაჯვარედინის სიმბოლიკა), რითაც გამოხატავენ საკუთარ ნებელობას, რთული, დაუძლეველი რუბიკონის გადალახვით შეერწყან საწყისს და ამგვარად მიაღწიონ შემეცნების ახალ დონეს (აბრაამი ბიბლიაში; უკვდავების მამიებელი ჭაბუკი ქართულ ზღაპარში „მიწა თავისას მოითხოვს“).

ანტიკური ლიტერატურიდან მოყოლებული („ოდისეა“), რენესანსში („ვეფხისტყაოსანი“), მოდერნიზმსა („ესე იტყოდა ზარატუსტრა“, „დიონისოს ღიმილი“) თუ თანამედროვე მწერლობაში („სამოსელი პირველი“, „მდგმური“) გზა მოიაზრება იმ ქრონოტოპულ ადგილად, სადაც უნდა მოხდეს პირველარსში გმირის ინკარნაცია, შერწყმა თაურარსთან (რობაქიძის ტერმინით), რათა მის შემეცნებაში მარადიული დაბრუნების საშუალებით შეერთდეს წარსული და მომავალი.

ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“ ქართველი ოჯახის ნარატივით გვიჩვენებს მარადიული დაბრუნების მოდელს, რომელშიც საკუთრივ პერსონაჟთა ისტორიის გარდა, მთელი საქართველოს სოციალისტური პერიოდის საგაა ნაჩვენები. თაობათა მიერ განვლილი ცხოვრება ერთმანეთში იხლართება და პირველის მომდევნოში განმეორებადობას ასახავს. სიცოცხლის არსის ძიება ამ შემთხვევაშიც ავლენს გზის მოტივს, რომელშიც კვლავ და კვლავ იკვეთება გზაჯვარედინის ფუნქცია – რომელი აირჩიოს გმირმა, ის რომელიც უპრობლემოდ დააბრუნებს, თუ ის, რომელიც სიკვდილთან იქნება თანაზიარი. მწერლის მიერ არჩეული მარადიული დაბრუნების ფენომენი მკითხველს მიანიშნებს, როგორ შეიძლება გაგრძელდეს რომანის მერვე თავი, რომელსაც მხოლოდ ქვესათაური აქვს და ცარიელი ფურცლით მთავრდება.

Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

On Genesis of Name Amiran

Academician Ivane Javakhishvili has made assumption about the name of famous character of Georgian folklore – Amiran that possibly it contained sound H and the name was pronounced as “Amihran” and this, in turn, is the same as “Mihran” (“Mitra”).

This report contains the opinion, according to which, genesis of the above name was indeed associated with the Iranian world and that it sounded as “Ahur i Mihran” (“Spirit of Suns”; “God of Suns”) or as “Mihr i Mihran” (“Sun of Suns”). If this is so, it would be easy to explain the origin of the form “Amiran” – it is not excluded that in people there was spread the form “Imihran” and further it transformed into “Amihran” (Amiran).

We suppose, that to “Amiran” were associated the names of heathen characters: “Persian kings Khuara and Khuan Khuara”; in our opinion, it is also necessary to study the private name of Pahlavi-Georgian genesis: “Khvaramze” in the context associated with Amiran.

The report does not share the view that the mentioned character, Amiran has been once identified with Mitra. Supposedly, these are two absolutely different characters. It is well known that the scientists frequently consider Amiran in relation with Prometheus, Mher, Abrskil and other characters.

According to the report, the main common thing related to these characters is that they have brought something good to the humans at early stage or attempt to become equal to the God. In our opinion, it is not impossible that this character is of Georgian or Kartve-

lian genesis; if name Amiran originates from “Ahur i Miran”, it is not excluded that the name of this character was similar to such names as “Sultamze” (Sun of the Spirits), “Sulkalmakhi” (exact meaning is not determined; Georgian word “Sul” /სულ, სული/ means Spirit).

გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სახელ „ამირანის“ გენეზისისათვის

ივანე ჯავახიშვილს ქართული ფოლკლორის ცნობილის პერსონაჟის – ამირანის სახელის შესახებ გამოთქმული აქვს ვარაუდი, რომ მასში, შესაძლოა, ბგერა „ჰაეც“ ფიგურირებდა და სახელი გამოითქმოდა როგორც „ამიჰრან“, რაც, თავის მხრივ, „მიჰრანს“, იგივე „მიტრას“, უდრის.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად, ხსენებული სახელის გენეზისი, შესაძლოა, ირანულ სამყაროსთან მართლაც იყოს დაკავშირებული და რომ იგი ჟღერდა როგორც „აჰურ ი მიჰრან“ („მზეთა სული“, „მზეთა ღმერთი“), ან როგორც მიჰრ ი მიჰრან („მზეთა მზე“). თუ ასეა, მაშინ ძნელი ასახსნელი აღარ იქნება, როგორ ჩამოყალიბდა ფორმა „ამირანი“, – არ არის გამორიცხული, რომ ხალხში გავრცელებული იყო ფორმა „იმიჰრან“, რაც შემდეგ ტრანსფორმირდა როგორც „ამიჰრან“ (ამირან).

ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა, ამირანთან იყოს დაკავშირებული „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებ წარმართულ პერსონაჟთა სახელები: „მეფენი სპარსთანი ხუარა და ხუარან ხუარა“; ვფიქრობთ, საჭიროა, აგრეთვე, რომ ამირანთან დაკავშირებულ კონტექსტში იქნას შესწავლილი ფალაურ-ქართული გენეზისის საკუთარი სახელი: „ხვარამზე“ („ხვარამძე“).

მოხსენებაში არ არის გაზიარებული თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ხსენებული პერსონაჟი, ამირანი, შესაძლოა, ოდესმე მიტრასთან იყო გაიგივებული. ეს ორი სრულიად სხვადასხვა გმირი ჩანს.

როგორც ცნობილია, მეცნიერები ამირანის სახეს ხშირ შემთხვევაში პრომეთესთან, მკურთან, აბრსკილთან და სხვა პერსონაჟებთან მიმართებაში განიხილავენ ხოლმე. მოხსენებაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, უმთავრესი, რაც ამ პერსონაჟებს აერთიანებს, ეს არის ამა თუ იმ გმირის მიერ ადამიანებისათვის ნაადრევი სიკეთის მოტანა, ან – ღმერთთან თავის გატოლების მცდელობა. ჩვენ არ მიგვაჩნია შეუძლებლად, რომ ქართული ან ქართველური გენეზისისა გამოდგეს ხსენებული პერსონაჟი; თუ სახელი ამირანი „აჰურ ი მიჰრან“-იდან მომდინარეობს („მზეთა სული“, „მზეთა ღმერთი“), არ არის გამორიცხული, აღმოჩნდეს, რომ ამ პერსონაჟის სახელი ისეთი სახელების მსგავსი იყო, როგორებიცაა: „სულთამზე“, „სულკალმახი“.

Nona Kupreishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Problem of National and Cultural Identity in Giorgi Leonidze's Social and Political Journalism

One of the most important periods of Giorgi Leonidze's creative life relate to the membership of "Tsisperkantslebi's" literary award. Naturally, he shared not only their aesthetic, but national and cultural ideas. Fortunately, in Georgian philology is already universally shared

opinion stating that “Georgian modernism was original invariant of European modernism and this firstly was revealed not only in the introduction of new artistic and aesthetic innovations arisen on local ground, but in striving for universalization of national communities and national problematic (K. Bregadze).

Titsian Tabidze, who published program letter “With Tsisperi Kantsebi” (With Blue Horns) of Georgian symbolistic school in the first and second editions (1916) of magazine “Tsisferi Kantsebi”, alongside search of Georgian ground of symbolism considered the issue of modernism as a new opportunity of “self-determined nation’s singing”. Of course, aforesaid self-determination related not only to the overestimation of cultural and aesthetic tradition, but to entire consideration of Georgian social and art crisis.

Giorgi Leonidze’s first op-ed articles were published from that very period, when there was almost carried out task (B. Tsipuria) on creation of new Georgian national identity corresponding to modern history epoch. Articles depicted with great expression (“Darkened Armazi”, “Aragvians”, Georgian Messianism”, “Vakhtang VI”. “Mtskheta” and others) are inspired under social and political journalism of G. Kikodze, M. Javakhishvili, K. Gamsakhurdia and V. Kotetishvili. They reflected delight on inspiring hope related to country’s future at the time of great political fluctuations and great disappointment caused as a result of well-known facts.

ნონა კუპრეიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნაციონალურ-კულტურული იდენტობის პრობლემა გიორგი ლეონიძის პუბლიცისტიკაში

გიორგი ლეონიძის შემოქმედებითი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაკვეთი „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენის წევრობას უკავშირდება. ბუნებრივია, იგი იზიარებდა არა მარტო მათ ესთეტიკურ, არამედ ნაციონალურ-კულტურულ იდეებს. ქართულ ლიტმცოდნეობაში, საბედნიეროდ, უკვე საყოველთაოდ გაზიარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ქართული მოდერნიზმი წარმოადგენდა ევროპული მოდერნიზმის ორიგინალურ ინვარიანტს და ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდებოდა არა მარტო ადგილობრივ ნიადაგზე ახალი მხატვრულ-ესთეტიკური ინოვაციების დანერგვაში, არამედ „ნაციონალური თემებისა და ნაციონალური პრობლემატიკის გაუნვერსაღურებისადმი სწრაფვაში“ (კ. ბრეგვაძე).

ტიციან ტაბიძე, რომელმაც ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველსა და მეორე ნომრებში (1916 წ.) გამოაქვეყნა ქართული სიმბოლისტური სკოლის პროგრამული წერილი „ცისფერი ყანწებით“, სიმბოლიზმის ქართული ნიადაგის მიუხედავად, მოდერნიზმის საკითხს „თავაწეული ერის ამღერების“ ახალ შესაძლებლობად მიიჩნევდა. ეს თავაწეულობა კი, ცხადია, არა მარტო კულტურულ-ესთეტიკური ტრადიციის გადაფასებას, არამედ ქართული საზოგადოებრივი და ხელოვნების კრიზისის ერთ მთლიანობაში გააზრებას უკავშირდებოდა.

გიორგი ლეონიძის პირველი პუბლიცისტური წერილებიც იმ დროიდან იბეჭდება, როდესაც „უკვე თითქმის განხორციელებულია მოდერნული ისტორიული ეპოქის შესაბამისი ახალი ქართული ნაციონალური იდენტობის შექმნის ამოცანა“ (ბ. წიფურია). დიდი ექსპრესიით აღბეჭდილი ეს წერილები („ჩაბნელებული არმაზი“, „არაგველნი“, „ქართული მესიანიზმი“, „ვახტანგ მეექვსე“, „მცხეთა“ და სხვ.) გ. ქიქოძის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ვ. კოტეტიშვილის პუბლიცისტიკითაა შთაგონებული. ისინი ასახავენ დიდი პოლიტიკური რყევების დროს ქვეყნის მომავალთან დაკავშირებული იმედების ჩასახვის სიხარულსა და ცნობილი მოვლენებით გამოწვეულ დიდ იმედგაცრუებას.

Nestan Kutivadze

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Shio Aragvispireli as the Author of a Literary Fairy Tale

From the 1870s onwards folklore activities, translation and publication of recorded folklore materials as well as foreign literary tales (Goethe, Andersen, Brothers Grimm ...) became quite intense in Georgia. Along with that from the end of the 19th century, the Georgian literary fairy tale begins to develop with Akaki Tsereteli and Vazha-Pshavela being at the forefront. Numerous prominent authors of the boundary of the two centuries, including Shio Aragvispireli, are involved in the creation of the texts (different variations) of this genre.

It is known that Aragvispireli was interested in recording the samples of Georgian folklore paying great attention to ethnographic

and religious rituals. This experience is transformed in many of his works and acquires a different artistic connotation. It is only natural that there should be such a genre in the work of a popular novelist as a literary fairy tale. In Aragvispireli's creative work the first texts of this nature can be found at the beginning of the century. Generally, the writer often defines the genre of the text in its subtitle. The latter is not violated in case of a fairy tale either.

Shio Aragvispireli, long before creating his famous "Georgian fable" – "A Fractured Heart" (1920), published the works and emphasized the genre in their subtitles, thus dictating the context of their conceptualisation to the reader. The list of the works is as follows: "Magic Fortress" (fantastic etude), "... And, Behold, the Magi Came to the East" (a fairy tale) and "My Adventure" (a fairy-tale play). The works by Aragvispireli where the writer defines their genre as a legend or a folk-tale are noteworthy as well. It is certain that in the literary text focusing on the folk genres containing "a fantastic story" has its pre-determined artistic function. In this regard, it is important to highlight the peculiarities of the use of folklore material and the creation of a literary tale, and the boundary between them.

Aragvispireli's literary tale is heterogeneous in its stylistic-structural terms. As for the content, the author's works are full of artistically described social realities, philosophical-psychological or mythological-folklore layers characteristic of his entire creative work.

ნესტან კუტივაძე

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შიო არაგვისპირელი როგორც ლიტერატურული ზღაპრის ავტორი

საქართველოში 1870-იანი წლებიდან განსაკუთრებით გააქტიურებული ფოლკლორისტული საქმიანობის, ჩაწერილი ფოლკლორული მასალისა თუ უცხოური ლიტერატურული ზღაპრების (გოეთე, ანდერსენი, ძმები გრიმები...) თარგმნისა და გამოქვეყნების კვალდაკვალ XIX საუკუნის დასასრულს განვითარებას იწყებს ქართული ლიტერატურული ზღაპარი, რომლის სათავეებთან აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა დგანან. ამ ჟანრის ტექსტების (სხვადასხვა ვარიაციით) შექმნაში ორი საუკუნის მიჯნის არაერთი თვალსაჩინო ავტორი მონაწილეობს, მათ შორის, შიო არაგვისპირელიც.

ცნობილია, რომ არაგვისპირელი დაინტერესებული იყო ქართული ფოლკლორის ნიმუშების ჩაწერით, დიდ ყურადღებას უთმობდა ეთნოგრაფიულსა და რელიგიურ რიტუალებს. ეს გამოცდილება ტრანსფორმირდება მის მრავალ თხზულებაში და განსხვავებულ მხატვრულ დატვირთვას იძენს. სავსებით ბუნებრივია პოპულარული ნოველისტის შემოქმედებაში ისეთი ჟანრის არსებობა, როგორც ლიტერატურული ზღაპარია. ამ ხასიათის პირველი ტექსტები არაგვისპირელთან საუკუნის დასაწყისში გვხვდება. ზოგადად, მწერალი ხშირად ქვესათაურის ფორმით განსაზღვრავს ტექსტის ჟანრს. ეს უკანასკნელი არც ზღაპრის შემთხვევაში ირღვევა.

შიო არაგვისპირელმა საკმაოდ ადრე, ვიდრე თავის ცნობილ „ქართულ არაკს“ – „გაბზარულ გულს“ (1920) შექმნიდა,

გამოაქვეყნა ნაწარმოებები, რომელთა ქვესათაურებში ხაზი გაუსვა ჟანრს, რითაც მათი გააზრების კონტექსტი უკარნახა მკითხველს. ეს ნაწარმოებები იყო: „გრძნეული ციხე“ (ფანტასტიური ეტიუდი), „...და, აჰა, მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით“ (ზღაპარი), „ჩემი თავგადასავალი“ (ფერია). საგულისხმოა, ასევე, არაგვისპირელის ის თხზულებები, რომელთა ჟანრი მწერლის მიერ განსაზღვრულია როგორც ლეგენდა, გადმოცემა ან თქმულება. „ფანტასტიკური ამბის“ შემცველ ამ ფოლკლორულ ჟანრებზე აქცენტირებას ლიტერატურულ ტექსტში, რა თქმა უნდა, თავისი მიზანმიმართული მხატვრული ფუნქცია გააჩნია. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ფოლკლორული მასალის გამოყენებისა და ლიტერატურული ზღაპარის შექმნის თავისებურებები და მათ შორის არსებული ზღვარი.

არაგვისპირელის ლიტერატურული ზღაპარი არაერთგვაროვანია სტილისტურ-სტრუქტურული თვალსაზრისით, რაც შეეხება შინაარსობრივ მხარეს, ავტორის თხზულებები დატვირთულია მხატვრულად აღწერილი საზოგადოებრივ-სოციალური რეალიებით, ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური თუ მითოლოგიურ-ფოლკლორული პლასტებით ისევე, როგორც მთელი მისი შემოქმედება.

Nana Kutsia

Marine Turava

Georgia, Tbilisi

Sokhumi State University

Transformation/Metamorphosis of Enigma/Paradigm of A Serpent in Literary Texts

“A Serpent” is an ancient enigma/paradigm.

A lot of times it was reflected in different artistical fields (music, painting, literature, plastic art...).

Artists shared traditional interpretation generally, but in Georgian literature there are texts reflecting different position of writers.

We have studied an interesting process and result of transformation of a serpent into “a kind being” in the following compositions:

1. the position fixed in untitled folk text found by a researcher Grigol Kiknadze (text of the Middle Ages);
2. a passage of hagiographical text by Giorgi Merchule “Saint Grigol Khandzteli Life” (ninth-tenth centuries);
3. a final episode of Vazha-Phshavela’s poem “Bakhtrioni” (nineteenth century);
4. a concept of Otar Chkheidze’s novel “Amaghleba” (“Rise”).

Each of the mentioned texts is a literary reflection of concret historical epoch and concepts as well as Rustaveli credo – “Devil is defeated by Kind.”

A serpent changes/reverts its nature created by the Lord God (“God looked at everything, He had made, and He was very pleased with what He saw” (Genesis 1, 31), because everything was kind.

“The huge dragon was thrown out – that ancient serpent named the Devil or Satan, that deceived the whole world” (Revelation 12, 9).

The serpent is transformed – it is kind again – as well as in the beginning of Ages.

Its name is “The Kind Serpent” again as the first christians called Jesus (Tertullian) who expiated the sin... “The last enemy to be defeated will be Death” (1 Corinthians 15, 26) (Zurab Kiknadze, “The End of “Bakhtrioni”).

This unbelievable metamorphosis is reflected in folklore, hagiography, neo-romantism/ modernism as well as in postmodernism. An inspirator of transformation/metamorphosis is an innocent and brave human being (Saint Grigol Khandzteli, Lukhum, Ghvtiso).

ნანა კუცია

მარინე ტურავა

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ენიგმა „უხსენებლის“ ტრანსფორმაცია მხატვრულ ტექსტში

„უხსენებელი“ ბიბლიური ენიგმაა.

წმინდა წერილში ფიქსირებული პარაბოლური ამბავი უფლის მიერ გველის დაწყველის შესახებ არაერთგზის ქცეულა ხელოვნების სხვადასხვა დარგის (ლიტერატურის, ფერწერის, პლასტიური ხელოვნების...) ინტერესის საგნად.

ინტერპრეტატორები, ძირითადად, იზიარებდნენ ენიგმის ტრადიციულ გააზრებას, თუმც ქართული ლიტერატურის არაერთ ტექსტში წარმოდგენილია ენიგმის ტრანსფორმაციის საინტერესო პროცესი და შედეგი.

კვლევაში განვიხილავთ უხსენებლის „კეთილ არსებად“ გარდასახვის ფენომენს რამდენიმე მხატვრულ ტექსტზე დაყრდნობით, კერძოდ:

1. ფოლკლორში ფიქსირებულ პოზიციას (ვეყრდნობით გრიგოლ კიკნაძის მიერ დამოწმებულ ხალხურ ლექსს);
2. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ წარმოდგენილ პასაჟს „ვეშაპის“ (გველის) დამორჩილების შესახებ;
3. ვაჟა-ფშაველას „ბახტრიონის“ ფინალურ ეპიზოდს;
4. ოთარ ჩხეიძის პოსტმოდერნისტული რომანის – „ამაღლების“ – კონცეპტს.

ზემოაღნიშნულთაგან თითოეული ტექსტი კონკრეტული ეპოქის მხატვრულ-პარაბოლური ანარეკლია, წარმომჩენი რუსთველისეული მრწამსისა – „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.“

გველი იცვლის, უკეთ, „იბრუნებს იმ ბუნებას, რომელიც შეუქმნა მას ღმერთმა, როდესაც ქმნიდა ყოველ არსებას, რომელსაც ქმნიდა და, რასაც ქმნიდა, კ ე თ ი ლ ა დ ქმნიდა... გაეხსნა ცრემლის სადინარი ნიშნად იმისა, რომ სიყვარულის თესლმა გაიხარა კაცობრიობის მტრის გულში. „ვეშაპი იგი დიდი, გველი დასაბამისა“ (გამოცხადება 12, 9) აღიდგენს თავის თავში ღვთის ქმნილებას. ბოროტმა მიიღო სახელი – „კეთილი გველი“ – როგორც ქრისტეს მოიხსენიებდნენ, ტერტულიანეს ცნობით, ადრეული ქრისტიანები. გველმა გამოისყიდა საუკუნეთა უწინარეს ჩადენილი ცოდვა... უკანასკნელი მტერი იგი განქარდა – სიკუდილი“ (1 კორ., 15, 26) [კიკნაძე ზურაბ, „ბახტრიონის“ დასასრული].

ჯერ კიდევ ფოლკლორულ ტექსტშია ფიქსირებული ეს საოცარი მეტამორფოზა, რომლის ასახვაც განსაკუთრებულ სიმაღლეს აღწევს ვაჟას ნეორომანტიკულ (თუ ადრეულმოდერნისტულ) ტექსტში (ოთარ ჩხეიძე თვლის, რომ, როგორც დასავლეთევროპული მოდერნიზმის სათავეებთან დგანან იეიტსი და ჯოისი, ჩვენში ამავე სკოლის მესამიერკვლევები ვაჟა-ფშაველა და ვასილ ბარნოვი არიან, რომელთაც სწორედ მი-

თოსის აღორძინებით დაუდეს მოდერნიზმის ლიტერატურულ სკოლას უმკვიდრესი ლიბო.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“) ლოცვა და წმინდანის განსაკუთრებული მადლი გაარიდებს უხსენებელს წმინდანის სამკვიდრებელს, ფოლკლორულ ტექსტში, ვაჟას „ბახტრიონსა“ და ოთარ ჩხეიძის „ამაღლებაში“ – გამორჩეული პიროვნების (მამულიშვილის) ღვთისათნო ცხოვრების წესი გამოიწვევს გველის ბუნების ტრანსფორმაციას.

Sophiko Kvantaliani

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

Tamar Gitolendia

Georgia, Tbilisi

Sokhumi State University

Gender and Cognitive-Culturological Aspect of Women's Positioning in Folklore and Modern Society

Modern humanitarian science pays great attention to the linguistic aspects of the social differentiation between women and men. **Gender** is considered in the scientific literature as a '**socio-gender**', where the difference between men and women is determined by not biological, but social characteristics. Since Georgian language has no grammatical gender, we must look for socio-cultural differences between men and women in vocabulary and gender stereotypes. In this regard, the Georgian folklore provides interesting material for

research, because folklore's language as an object of semasiologic research, unlike the literary language, more accurately reflects everyday life and folk's popular views. Therefore, from this concept, as well as due to the growing interest of the modern research to the reflection of gender in the language, our goal was to analyze the gender stereotypes in the Georgian proverbs. The research paper will present the analysis of the following issues:

- Fundamental principles of gender stereotypes (for example, dominance, control, submission, etc.), which are divided between men's and women's socio-cultural roles in the folklore reality;
- Signs of women's derogation according to gender characteristics (for example, appearance, age, mental and personal characteristics, sphere of activity);
- Female image-icon according to the different social roles (for example, married, unmarried, spinster, widowed or elderly).

Our goal was also to take into account the polarization phenomenon of main features of the gender stereotyping, and to analyze the issue from point of view. The analysis of proverbs gives us an opportunity to see the beliefs and notion about women of the Georgian people. The research paper is a part of a the systematic survey of the Georgian proverbs on gender, and aims to contribute to the clarity of gender in the linguistic image, and to understand better the gender discrimination issue in the society saturated with modern advertising and media-stereotypes (woman-mother, woman-wife, female-housewife, women-sexual object).

სოფიკო კვანტალიანი

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

თამარ გითოლენდია

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქალის პოზიციონირების გენდერული და კოგნიტურ-კულტუროლოგიური ასპექტი ფოლკლორსა და თანამედროვე საზოგადოებაში

თანამედროვე ჰუმანიტარული დარგები დიდ ყურადღებას უთმობენ ქალსა და მამაკაცს შორის არსებულ სოციალური სხვაობის ენობრივ ასპექტებს. **Gender** სამეცნიერო ლიტერატურაში განიხილება როგორც „სოციო-სქესი“, სადაც განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით. ვინაიდან ქართულ ენას არ აქვს გრამატიკული სქესი, ქალისა და მამაკაცის სოციო-კულტურული განსხვავებულობები ლექსიკასა და გენდერულ სტერეოტიპებში უნდა ვეძებოთ. ამ მხრივ, კვლევისთვის საყურადღებო მასალას იძლევა ქართული ფოლკლორი, რადგან ფოლკლორი, როგორც სემასიოლოგიური კვლევის ობიექტი, სხვა ლიტერატურული ფორმებისგან განსხვავებით, გაცილებით ზუსტად ასახავს ყოფით ცოდნას, ხალხურ შეხედულებებს. სწორედ ამ კონცეპტიდან და ასევე, გენდერის ენაში თავჩენის მიმართ თანამედროვე კვლევების მზარდი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია გენდერული სტერეოტიპების ანალიზი ქართულ ანდაზების მიხედვით. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება მსჯელობა შემდეგი საკითხების მიხედვით:

- გენდერული სტერეოტიპების ფუნდამენტური პრინციპები (მაგალითად, დომინაცია, კონტროლი, დამორჩილებულობა და სხვ.), რომლებიც ფოლკლორულ რეალობაში მამაკაცისა და ქალის სოციო-კულტურულ როლებად ნაწილდება;

- ქალის დაკნინების ნიშნებიგენდერული პარამეტრიების მიხედვით (მაგალითად, გარეგნობა, ასაკი, გონებრივი და პიროვნული მახასიათებლები, საქმიანობის სფერო);

- ქალის სახე-ხატი სხვადასხვა სოციალური როლის მიხედვით (მაგალითად, გათხოვილი, გასათხოვარი, შინაბერა, ქვრივი თუ მოხუცი).

ჩვენი მიზანია, ასევე, გავითვალისწინოთ გენდერული სტერეოტიპიზაციის მთავარი მახასიათებლის – პოლარიზაციის ფენომენი და სწორედ ამ პრიზმაში გავიაზროთ საკითხი ანდაზების ანალიზი შესაძლებლობას გვამლევს, დავინახოთ ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენები და მოლოდინები ქალის მიმართ. მოხსენება წარმოადგენს ქართული ანდაზების გენდერული ნიშნით სისტემური კვლევის ნაწილს და მისი მიზანია წვლილი შეიტანოს გენდერის ენობრივი სახე-ხატის მკაფიოობაში და თანამედროვე, რეკლამითა და მედიასტერეოტიპებით (ქალი-დედა, ქალი-ცოლი, ქალი-დიასახლისი, ქალი-სექსუალური ობიექტი) გაჯერებულ საზოგადოებაში გენდერული დისკრიმინაციის პრობლემის ახლებურად გააზრებაში.

Manana Kvataia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Concepts of Mythological Archetypes in the Context of Georgian Identity

At different stages of development, literature and art turned for inspiration to mythology – collective, fantastic narratives that have been retained in human memory for millennia. For R.Barthes myth is a system of communication, a message, a form, a mode of signification. As a binary system, it is characterized by omnipresence. Grigol Robakidze quotes Salustius's known phrase: "Myth is something that never happened but always is". In his view, mythological reality is more than historical that is also evidenced by the analysis of the creative discourse of the modernist writer.

Robakidze evokes mythological archetypes related to the Georgian identity from the depths of the centuries and link them with modernity. Rudolf Karman rightly remarks that Georgia the main source of inspiration for Grigol Robakidze has its roots in the Atlantic world. According to one of numerous versions, the catastrophe in Atlantis on the island of Santorini is associated with the eruption of a volcano in 1613 BC, which Plato must have also relied on. Grigol Robakidze shares a reception similar to the Atlantic phenomenon in his work "Mussolini" in which the colors of the Tyrrhenian Sea resemble the "gold and copper ore" the color of the Atlantic Temple column. To the same theme was dedicated Grigol Robakidze's unknown work "Atlantic Dream or Georgian Myth".

The novel „Maggie – the Georgian Girl“ (1926) (initially titled „Medea's Plaits“) is a reinterpretation of the myth of Medea by

Robakidze and an original attempt to understand its allegorical meaning in modern space. According to the Corinthian legend, Medea is the goddess of the moon, this hypostasis of the ancient Phoenician healing goddess and the maiden of Colchis also appears in the novel by Grigol Robakidze. According to the original intention of the writer, Medea's conception in the novel is also associated with the archetype of the Amazons.

Grigol Robakidze presents the legend of the Holy Grail in the Georgian context in the novel „The Grail Keepers“ (1937), „The Killed Soul“ (1932) is constructed on the Sumero-Babylonian and biblical mythological paradigm, the reflection of Georgian myth in the novel „The Call of the Goddess“ (1934), the issues of eternal and modern paradigm of myth are shown in the collection of Robakidze's essays „Demon and Mythos“ (1935), etc.

მანანა კვატია

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მითოლოგიურ არქეტიპთა კონცეპტები ქართული იდენტობის კონტექსტით

განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ლიტერატურა და ხელოვნება მიმართავს მითოსს – კაცობრიობის მეხსიერებაში ათასწლეულობით დაღეჟილ კოლექტიურ, ფანტასტიკურ თქმულებებს. რ. ბარტის რეცეფციით, მითი არის კომუნიკაციის სისტემა, შეტყობინება, ფორმა, აღნიშვნის საშუალება. მას, როგორც ორმაგ სისტემას, ყველგანმყოფობა ახასიათებს. მითი „არაოდეს ყოფილა, ოღონდ ყოველთვის არის“, – სალუსტიუსის ცნობილ ფრაზას მოიხმობს გრიგოლ რობაქიძე. მისი აზრით,

მითოლოგიური რეალობა მეტია, ვიდრე ისტორიული, რასაც მოდერნისტი მწერლის შემოქმედებითი დისკურსის ანალიზიც ადასტურებს.

რობაქიძე ქართულ იდენტობასთან დაკავშირებულ მითოლოგიურ არქეტიპებს საუკუნეთა სიღრმიდან გამოიხმობს და თანამედროვე ჟღერადობას ანიჭებს მათ. რუდოლფ კარმანი საფუძვლიანად შენიშნავს, რომ რომ საქართველოს, გრიგოლ რობაქიძის შთაგონების ძირითად წყაროს, ფესვები ატლანტურ სამყაროში აქვს გადგმული. მრავალთაგან ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ატლანტიდის კატასტროფა კუნძულ სანტორინზე ძველი წელთაღრიცხვის მე-16 საუკუნეში მომხდარ ვულკანის ამოფრქვევას უკავშირდება, რასაც პლატონიც უნდა ეყრდნობოდეს. ატლანტურ ფენომენის მსგავს რეცეფციას იზიარებს გრიგოლ რობაქიძე წიგნში „მუსოლინი“, სადაც ტირენეს ზღვის სანახების ნაირგვარ ფერთა შორის გამოყოფილია „ოქროს და სპილენძის მადნის“ მსგავსი – ატლანტიდის ტაძრის სვეტის ფერი. ამავე თემატიკას ეძღვნებოდა გრიგოლ რობაქიძის უცნობი თხზულება „ატლანტური ზმანება ანუ ქართული მითოსი“.

რომანი „მეგი – ქართველი გოგონა“ (1926) (თავდაპირველი სათაურით „მედეას ნაწნავები“) მედეას მითის რობაქიძისეული რეინტერპრეტირება და თანამედროვე სივრცეში მისი ალეგორიული გააზრების ორიგინალური მცდელობაა. კორინთოსული ლეგენდა მედეას მოიაზრებდა, ვითარცა მთვარის ქალღმერთს, ფინიკიურ უძველეს მკურნალ ქალღვთაებას და კოლხი ასულის ეს ჰიპოსტასი გრიგოლ რობაქიძის რომანშიც წარმოჩნდება. მწერლის ორიგინალური ინტენციით, რომანში მედეას კონცეპტი ამორძალთა არქეტიპსაც უკავშირდება.

წმინდა გრაალის თასის ლეგენდა ქართული კონტექსტით წარმოჩინა გრიგოლ რობაქიძემ რომანში „მცველნი გრალისა“

(1937), შუმერულ-ბაბილონურ და ბიბლიურ მითოსურ პარადიგმებზეა აგებული „ჩაკლული სული“ (1932), ქართული მითოსის ანარეკლია რომანში „ქალღმერთის ძახილი“ (1934), მითის მარადიული და თანამედროვე პარადიგმატიკის პრობლემებია წარმოდგენილი რობაქიძის ესეების კრებულში „დემონი და მითოსი“ (1935) და ა.შ.

Jurate Landsbergyte-Becher

Lithuanian, Vilnius

Lithuanian Culture Research Institute

Confrontation Between Folkloric Archetype and Sovieticism in Marcelijus Martinaitis „The Ballads of Kukutis“

Lithuanian poet Marcelijus Martinaitis (1936-2013) in the 7th decade of the last century, which presently is called a period of *breaking the stagnation* (in music – the music, which changed the time, represented by composers A. Pärt, P. Vasks, B. Kutavičius, K. Penderecki), created a literary phenomenon of philosophical folkloric metaphor Kukutis. He is a Trickster, based on folkloric motifs, including historical archetypes experiencing the time of occupation. This poetical metaphor linguistically and with tricks of memory, bravely confronted the Soviet ideology and sovietism in general and attempted to break its mentality. Martinaitis showed Kukutis as village outsider, a little crazy regaining an *alternative life* to expose the grotesque great power of the Soviet regime. It broke all imposed system of watch and control. The absurdity of everlasting Soviet globality was an excellent target for Kukutis to expose the feared scenery of the Great Leader and the fields of killed memory. The particular archetypes are fundamen-

tal to Lithuanians inspiring to rethink the fate of Lithuania as state and nation. Kukutis' critical metaphors are based on the experience of the fatal occupation in history and the actual time what leads to the images of sovietism. There are several metaphors understood precisely in this way like the *hanged Kukutis, burned Germany, great kingdom around the world with people asking permission to die, happy Kukutis in his flat three metres under the oak tree, not thinking to think what you ought not to think* and others, which speak about the grotesque absurdity of Soviet regime. In this way, exposing the Soviet system as such, Martinaitis created tricked folkloristic images of resistance linking literature with open criticism of the Sovietism. Later it was revealed as inhuman totalitarian madness and grotesque political frame.

Gubaz Letodiani

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Folk Narrative in Besik Kharanauli Poetry (Analysis of some images)

The goal of the research – “Folk narrative research” is to understand the poetry of Georgian author with the help of modern literary methodologies, to allocate narrative and structural characteristics and to define specificity and importance in both Georgian and world post-modernist literature.

The topicality of the research matter is provided Folk discourse in Besik Kharanauli Poetry, – It is interesting how these folk metaphors are transformed in original texts and how it is done. Also it is important to analyze this transformations as text in texts as postmodern palimpsest.

Conclusions obtained from the research will be interesting for the humanitarian science and researchers interested in Georgian postmodernism and poetry.

გუბაზ ლეთოდიანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფოლკლორული ნარატივი ბესიკ ხარანაულის პოეზიაში (რამდენიმე მხატვრული სახის ანალიზი)

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდოლოგიების დახმარებით ქართველი ავტორის პოეზიის სახეობრივი მეტყველების გააზრება, მათი ნარატოლოგიური და სტრუქტურული მახასიათებლების გამოყოფა, მათი სპეციფიკისა და მნიშვნელობის განსაზღვრა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში.

საკვლევი თემის აქტუალურობას განაპირობებს ხსენებული ავტორის შემოქმედებაში არსებული ფოლკლორი დისკურსის გამოვლენა, მისი გავლენა ტექსტის საზრისზე. საინტერესოა რა ტრანსფორმაციას განიცდის ხალხური პოეტური სახეები ბესიკ ხარანაულის პოეზიაში, აქცევს თუ არა იგი ტექსტს პალიფსესტად.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები საინტერესო იქნება ქართული პოსტმოდერნიზმითა და პოეზიით დაინტერესებული მკვლევრებისთვის.

Maia Lomia

Ketevan Margiani

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Tradition of Fieldwork in Kartvelian Languages and the Contemporary Situation at Tbilisi State University

Language material can be documented in the written form or based on oral speech. The peculiarities of field material are spontaneity (absence of preliminary preparation) and oral dissemination. Within Kartvelian languages, such data are peculiar of the dialects of literary Georgian language, Megrelian, Laz and Svan languages. Oral texts are of interdisciplinary nature and embrace folklore, ethnology-ethnography and linguistics. In the process of recording, linguistic data should be treated with utmost care and precision, taking into account the structuring of information, phonetical-phonological and morphological data. It is not accidental that linguists (I. Kipshidze, A. Shanidze, G. Akhvlediani...) have always led expeditions organized by Tbilisi State University. Currently, the continuous process of obtaining linguistic material is headed by the Scientific-Educational Institute of Georgian Language of the Faculty of Humanitarian Sciences of Tbilisi State University. It is well known that the methodology of fieldwork-planning changes with time. This is also due to the introduction of computer technology in the process of fieldwork.

The paper presents a detailed analysis of contemporary standards of documenting the Kartvelian material obtained during fieldwork. In particular, the paper describes the key principles of transcription-transliteration and further linguistic annotation of texts, as well as the results achieved in the process of analysis.

მაია ლომია

ქეთევან მარგიანი

საქართველო, თბილისი

ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ქართველურ ენათა მასალის ველზე მოპოვების ტრადიცია
და თანამედროვე მდგომარეობა თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში**

ენობრივი მასალა შეიძლება იყოს წერილობით დოკუმენტირებული ან ემყარებოდეს ზეპირმეტყველებას. ველზე მოძიებული მასალის მახასიათებელია სპონტანურად (წინასწარმოუმზადებლად) წარმოქმნა და ზეპირად გავრცელება. ქართველურ ენათა ფარგლებში ასეთი ენობრივი მონაცემები აქვს: ქართული სალიტერატურო ენის დიალექტებს, მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებს. ზეპირმეტყველების ტექსტები ინტერდისციპლინური – ფოლკლორული, ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ლინგვისტური... – დანიშნულებისაა. მათ შორის ჩაწერისას ყველაზე დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ლინგვისტური ტექსტები ინფორმაციის სტრუქტურირების ფონეტიკურ-ფონოლოგიური და მორფოლოგიური მონაცემების სიზუსტის გათვალისწინებით. შემთხვევითი არ არის, რომ თსუ-ში ექსპედიციების ტრადიციის სათავეებთან მეცნიერ-ლინგვისტები (ი. ყიფშიძე, აკ. შანიძე, გ. ახვლედიანი...) დგანან, ხოლო თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტური მასალის მოპოვების უწყვეტ პროცესს ხელმძღვანელობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ს/ს ინსტიტუტი. ცნობილია, რომ სავლე სამუშაოების დაგეგმვის მეთოდოლოგია იცვლება დროსთან ერთად, რასაც ხელს უწყობს ამ პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩართვა.

მოსხენებაში ვრცლად განიხილება ველზე მოპოვებული ქართველურ ენათა მასალის დოკუმენტირების თანამედროვე სტანდარტები, კერძოდ, ტექსტის ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის, შემდგომ ლინგვისტური ანოტაციის ძირითადი პრინციპები და მიღებული შედეგები.

Tamar Lomidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Semantics of the Concepts of “Life” and “Death” in Mythology and Folklore

According to the 20th century prominent Russian scientist's, O.M. Freidenberg's basic work – („The Poetics of Plot and Genre: The Classical Period of Ancient Literature“)- the “metaphors of life” and the “metaphors of death” comprise the basis and the invariant of all metaphors, by means of which in mythology and folklore the entire world is perceived and interpreted in cosmogonic terms. Some of them clearly refer to speech (or non-speech) effect of one individual on the other – this is “Life”. The other points to submission or resistance to such an impact – this is “Death”. If we closely examine them, a picture of the interaction of two partners (individuals or groups) will be discerned, which is constantly developing according to the binary principle i.e. when one of the partners imposes something on the other, and the latter responds with humility or opposition.

Interestingly, the famous Russian scientist, the paleo psychologist B.F.. Porshnev, who studied the problems of anthropogenesis, in his latest work has developed a theory that focused on the “individual-individual” based model (rather than “individual-environment based

model,” as was thought), that is, i.e. on the social interaction of individuals (hominids, according to Porshnev). The interaction was carried out in the form of mutual coercion of two individuals (or groups of individuals). Initially, motor signals were used for this purpose, then sound signals, and later speech sounds were singled out from diffuse shouts. It is most likely that the capture of edible or other prey was a powerful incentive to these efforts.

We argue that the “Metaphors of Life” and “Metaphors of Death” described by Freidenberg correspond to the communication model of hominids described by B.F. Porshnev. Thus, The concept of B.F. Porshnev helps to rethink them.

თამარ ლომიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„სიცოცხლის“ და „სიკვდილის“ კონცეპტთა სემანტიკა მითოლოგიასა და ფოლკლორში

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო რუსი მეცნიერის, კულტურული მოტივებისა და ფორმების მკვლევრის, ო.მ. ფრეიდენბერგის ფუნდამენტური გამოკვლევის, „სიუჟეტისა და ჟანრის პოეტიკის“ თანახმად, იმ მეტაფორათა საფუძველსა და ინვარიანტს, რომელთა მეშვეობითაც პირველყოფილი ცნობიერება წარმოიდგენს სამყაროს და რომლებიც კოსმოგონიურადაა ინტერპრეტირებული მითოლოგიასა და ფოლკლორში, წარმოადგენს „სიცოცხლის მეტაფორები“ და „სიკვდილის მეტაფორები“. ზოგიერთი მათგანი მკაფიოდ ასახავს ერთი ინდივიდის ზემოქმედებას მეორეზე მეტყველებითი (ან არამეტყველებითი) საშუალებებით. ესაა „სიცოცხლე“. სხვა-

ნი კი ასახავენ ამგვარი ზემოქმედების საპასუხო მორჩილებას ან წინააღმდეგობას. ესაა „სიკვდილი“. თუ მათ ყურადღებით დავაკვირდებით წარმოგვიდგება სურათი ორი პარტნიორის (ინდივიდების ან ჯგუფების) ურთიერთქმედებისა, რომელიც უწყვეტად ვითარდება ბინარული პრინციპით და რომლის დროს ერთ-ერთი პარტნიორი თავს ახვევს მეორეს რაიმე ქმედებას, მეორე კი პასუხობს მორჩილებით ან წინააღმდეგობით.

საინტერესოა, რომ მეოცე საუკუნის ცნობილი მეცნიერის, პალეონტოლოგისა და ანთროპოგენეზისის პრობლემათა მკვლევრის, ბ.ფ. პორშნევის უკანასკნელ ნაშრომში განვითარებულია თეორია, რომლის ცენტრში დგას მოდელი „ინდივიდი-ინდივიდი“ (და არა „ინდივიდი – გარემო“, როგორც მანამდე ითვლებოდა), ესე იგი, ინდივიდთა (პორშნევის აზრით, ჰომინიდების) სოციალური ურთიერთზემოქმედება. ამ ურთიერთზემოქმედებას ჰქონდა ურთერთიძულების ფორმა. თავდაპირველად ამ მიზნით გამოიყენებოდა ჟესტები, შემდეგ ბგერითი სიგნალები, ბოლოს კი დიფუზური წამომახილებიდან გამოიყო მეტყველებითი ბგერები. სავარაუდოდ, ამ მცდელობათა მძლავრ სტიმულს წარმოადგენდა საკვებად ვარგისი ან სხვა სახის ნადავლის ხელში ჩაგდება.

ჩვენი აზრით, ფრეიდენბერგის მიერ აღწერილი „სიცოცხლის მეტაფორები“ და „სიკვდილის მეტაფორები“ შეესატყვისება ჰომინიდების ურთიერთობის იმ მოდელს, რომელიც დაახასიათა ბ.ფ. პორშნევმა. ამგვარად, მითოლოგიასა და ფოლკლორში „აღიბეჭდა“ ჰომო საპიენსის წინაპართა სოციალური ურთიერთობის უძველეს ტიპთა ნაკვალევი. ბ.ფ. პორშნევის კონცეფცია გვეხმარება, ახლებურად გავიაზროთ ისინი.

Kakhaber Loria

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Rezo Cheishvili's Novel *Dali* – Mythological and Empirical Dimensions

The famous Georgian writer Rezo Cheishvili is widely regarded as a true master of the modern Georgian stories and novellas. Even so, the works of this truly outstanding prose writer comprise several novels too. Among them is the much-publicized work of his time – *Dali*. This novel was first published in the magazine *Tsiskari* in 1970. Immediately after publishing it led to quite a heated literary controversy. The consequence of it was that the author even made some changes in the following edition of the work. Rezo Cheishvili's novel *Dali* had been the object of literary criticism in ensuing years as well.

Dali is an organic part of the Georgian literary process of the '60s and '70s. Numerous tendencies characteristic of the Georgian literature of that time, can be seen in the above-mentioned work. These include, inter alia, the relationship between folklore and literary texts. Particularly, special interest is paid to mythological roots, and the use of them as a primary source for literary works had almost become an actual aim. In the case of *Dali*, one such mythological source is well-known Georgian, namely Svanetian oral tradition about Dali who is a goddess of hunting. Exactly this oral tradition represents a mythological ground of the novel, using of which the author attempts to create a feeling of timelessness.

Strengthening ethical and social accents is also a characteristic feature of the Georgian literary process of the '60s and '70s. In many literary works of this period, one can observe perhaps indirect, but

fierce criticism of the societal life. This criticism may not touch on the ideological foundations of a state. However, on an empirical level it shows well an absurdity of the reality in which characters and their contemporary authors had to live. In Rezo Cheishvili's novel *Dali*, the real-empirical layer of the text refers to a tragical love story. Nevertheless, beyond the love intrigue, the meaningless and dysfunctional life of the society of those time as well as an absence of any ideals or ethical values are clearly visible.

კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზო ჭეიშვილის რომანი „დალი“ – მითოლოგიური და ემპირიული განზომილებანი

ცნობილი ქართველი მწერალი რეზო ჭეიშვილი საყოველთაოდაა აღიარებული როგორც თანამედროვე ქართული მოთხრობისა და ნოველის ჭეშმარიტი ოსტატი. ამავდროულად, შესანიშნავი პროზაიკოსის კალამს რამდენიმე რომანიც ეკუთვნის. მათ შორისაა თავის დროზე საკმაოდ გახმაურებული თხზულება – „დალი“. რეზო ჭეიშვილის ხსენებული ნაწარმოები პირველად 1970 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“. თხზულებამ გამოსვლისთანავე საკმაოდ მძაფრი ლიტერატურული პოლემიკა გამოიწვია, რასაც შედეგად ისიც კი მოყვა, რომ მწერალმა რომანის შემდგომ გამოცემაში ცალკეული ცვლილებები შეიტანა. რეზო ჭეიშვილის ამ ნაწარმოებისადმი ლიტერატურული კრიტიკის გარკვეული ინტერესი შემდგომ წლებშიც შენარჩუნდა.

რეზო ჭეიშვილის რომანი „დალი“ გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული ლიტერატურული პროცესის

ორგანული ნაწილია. თხზულებაში თავს იჩენს ამ პერიოდის ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელი არაერთი საგულისხმო ტენდენცია. მათ შორისაა მხატვრული ტექსტისა და ფოლკლორის ურთიერთმიმართების საკითხი, განსაკუთრებულად კი ლამის ერთგვარ თვითმიზნურობამდე მისული დაინტერესება მითოლოგიური ძირებით და მათი გამოყენება ლიტერატურული ნაწარმოების პირველწყაროდ. რეზო ჭეიშვილის ხსენებული რომანის შემთხვევაში ამგვარ მითოლოგიურ პირველწყაროს წარმოადგენს ქართულ, კონკრეტულად კი სვანურ ფოლკლორში კარგად ცნობილი თქმულება ნადირობის ქალღმერთის – დალის შესახებ. ეს თქმულება წარმოადგენს რომანის მითოლოგიურ სარჩულს, რომლის მოხმობითა და გამოყენებით ცდილობს მწერალი ნაწარმოებში შექმნას ერთგვარი ზედროულობის განცდა.

გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ პროცესს ახასიათებს ეთიკური და სოციალური აქცენტირების გაძლიერებაც. ამ პერიოდის ბევრ ნაწარმოებში შეინიშნება საზოგადოებრივი ყოფის თუნდაც არაპირდაპირი, მაგრამ თავისთავად საკმაოდ მძაფრი კრიტიკა, რომელიც შეიძლება არ ან ვერ ეხება სახელმწიფოს იდეოლოგიურ საფუძვლებს, მაგრამ ემპირიულ დომეზე კარგად აჩვენებს იმ რეალობის აბსურდულობას, რომელშიც პერსონაჟებს და მათ თანადროულ ავტორებს უწევთ არსებობა. მიუხედავად იმისა, რომ რეზო ჭეიშვილის რომანში „დალი“ ტექსტის რეალურ-ემპირიული შრე ტრაგიკულად განვითარებულ სასიყვარულო ისტორიას ეხება, სასიყვარულო ინტრიგის მიღმა მაინც მკაფიოდ იკვეთება სრულიად იმდროინდელი სოციალური ყოველგვარი იდეური თუ ეთიკური ღირებულებებისაგან დაცლილი არსებობა, მისი უშინაარსო და უფუნქციო ცხოვრება.

Macha Macarskaia

*Belgium, Louvain-La-Neuve
Université catholique de Louvain*

Yewish Foklor

Belonging to one of the oldest civilizations, the Jewish people cherish a great folk heritage. Popular dances, songs, tales, anecdotes or proverbs are illustrations of ancestral customs and traditions. For this folklore is closely linked to the religion and the ancient periods of kings Solomon and David, which constitute its historical roots. It was, for example, under the reign of King David that sacred music was developed, being played by the Levite priests who formed the religious choir. Ancient songs accompanied family celebrations, weddings, births and funerals, as well as the returning home of soldiers from the war. One of the most representative forms of Jewish folklore is klezmers, a music played mainly by a trio, a quartet or a quintet of violinists in the course of bridal celebrations. The songs that accompanied this music exhorted the triumph of life over death. At present, Jewish folklore perpetuates this glorification of life as well as the peculiarities of its origins.

Irine Manijashvili

Georgia, Tbilisi

**Short Stories by Guram Rcheulishvili and Their Intertextual
Connections with Fairy-Tales and Myth**

Mythological thinking is the initial form of a man's consciousness. The process of its regularization and systematization had a gradual character. Mythology had a great impact on nearly every field of

art. Mythological motifs are employed in literature, music, painting and films. Knowing mythology makes it easier to get a proper understanding of a text. Very often, writers go back to mythological characters because of their vast variety and richness in content.

Intertextual connections with fairy-tales and myth are vividly seen in the stories by Guram Rcheulishvili. By using mythic paradigms, the writer creates multilayer literary characters and impressively depicts the struggle of heart and reason so characteristic of a man's nature. In the work we will focus on three stories: 'Batareka Chincharauli', 'The Dance of Demons' and 'Dumb Akhmed and Life'.

In the story 'Batareka Chincharauli' many-sided interrelationships between art and life and great inner antagonisms are given. On the background of archaic atmosphere of Khevsureti artistic character of Batareka is arising little by little and the author brings in mythological allusion of Centaurus. Guram Rcheulishvili's intertextual resemblance is disclosed with Greek myths and Georgian folklore as well. The author naturally implements Greek mythological elements in the context of Khevsureti.

The intertextual connections with fairy-tales and myth are given most vividly in "The Dance of Demons". The writer uses different codes from Georgian cultural storage and tries to unveil the mysterious world. Brothers Khorjolani, demons, personify the forces of evil, who strive to attract the prettiest daughter of Kochkelani of Tetnuldi (Divine). Their furious Svan dancing shows a man's passion to cross the borders.

'Dumb Akhmed and Life' is an extremely deep and interesting story. The allusions of marine mythology are shown in the harmonic relationships of maritime elemental forces and a human. The motif of demons also appears in the story: Lili's nightmares, defeat of demons with a man's voice.

The writer breaks down the borders of time and space through the mythological and folklore paradigms. Eternal desire of a man's reason to perceive hidden, unveil the mystery rises from the myth. According to Revaz Siradze 'the aesthetics of silence' is derived from myth that somehow opposes the thematic aesthetics.

In the above-mentioned stories, the specificity of Guram Rcheulishvili's narration is created by imparting of a mythical quality to time, so to say by mythologization of time, by the simultaneity between the existing, present reality and the world beyond. Accordingly, his heroes also acquire the feeling of wholeness and the artistic model of unified universe is created.

ირინე მანიჭაშვილი

საქართველო, თბილისი

გურამ რჩეულიშვილის ნოველების ინტერტექსტუალური კავშირები ზღაპარსა და მითთან

მითოსური აზროვნება ადამიანის ცნობიერების თავდაპირველი ფორმაა. თანდათანობით ხდებოდა მისი მოწესრიგება და სისტემატიზაცია. მითოლოგიამ დიდი გავლენა მოახდინა ხელოვნების თითქმის ყველა დარგზე. მითოლოგიური მოტივები გამოყენებულია ლიტერატურაში, მუსიკაში, მხატვრობასა თუ კინოში. თუ ვიცნობთ მითოლოგიას, ბევრად უფრო ადვილია ტექსტის სწორად გაგება. მითოლოგიურ სახეებს, მათი მრავალფეროვნებისა და ტევადობის გამო, ხშირად უბრუნდებიან მწერლები.

გურამ რჩეულიშვილის არაერთ მოთხრობაში ნათლად ჩანს ინტერტექსტუალური კავშირები ზღაპარსა და მითთან. მწერალი მითოსური პარადიგმების საშუალებით ქმნის მრავალშრიან მხატვრულ სახეებს და შთამბეჭდავად წარმოაჩენს

ადამიანური არსებობისთვის დამახასიათებელ გულისა და გონების ჭიდილს. ჩვენს ნაშრომში ყურადღება შევაჩერეთ სამ მოთხრობაზე: „ბათარეკა ჭინჭარაული“, „დევების ცეკვა“ და „მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“.

მოთხრობაში „ბათარეკა ჭინჭარაული“ მრავალმხრივად არის განფენილი ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთ-მიმართება და დიდი შინაგანი წინააღმდეგობები. ხევსურეთის არქაული გარემოს დახატვის ფონზე ნელ-ნელა იძვრება ბათარეკას მხატვრული სახე და ავტორს შემოაქვს კენტავრის მითოლოგიური ალუზია. გურამ რჩეულიშვილის ინტერტექსტის მსგავსება მქდავნიდება როგორც ბერძნულ მითებთან, ასევე – ქართულ ფოლკლორთან. ავტორი ხევსურულ კონტექსტში ბუნებრივად სვამს ბერძნულ მითოსურ ელემენტებს.

„დევების ცეკვაში“ ყველაზე თვალსაჩინოა ინტერტექსტუალური კავშირები ზღაპარსა და მითთან. მწერალი იყენებს ქართული კულტურული საცავიდან სხვადასხვა კოდს და ცდილობს, ფარდა ახადოს იდუმალ სამყაროს. ძმები ხორჯოლანები, დევები, დემონური ძალების განმსახიერებელნი არიან, რომლებიც მისწრაფვიან თეთნულდის (ღვთაებრივის), ქოჩქელანების ულამაზესი ასულის მოსაპოვებლად. მათი გაშმაგებული სვანური ცეკვა-როკვა წარმოაჩენს ადამიანურ ვნებას საზღვრების გადასალახად.

„მუნჯი ახმედი და სიცოცხლე“ მრავალმხრივად ღრმა და საინტერესო მოთხრობაა. ზღვის სტიქიისა და ადამიანის ჰარმონიულ ურთიერთობაში ზღვის მითოსური ალუზიები ცოცხლდება. ასევე მოთხრობაში შემოდის დევების მოტივიც: ლილის დამეული კომშარები; ადამიანის ხმით დემონთა დამარცხება.

მითოლოგიური და ფოლკლორული პარადიგმებით მწერალი არღვევს დროისა და სივრცის საზღვრებს. ადამიანური

გონების მარადიული წადილი_შეიმეცნოს დაფარული, ფარდა ახადოს საიდუმლოს, მითოსიდან იღებს სათავეს. რევაზ სირაძის თქმით, „იდუმლების ესთეტიკა“ სწორედ მითოსიდანაა აღებული, რომელიც ერთგვარად უპირისპირდება საგნობრივ ესთეტიკას.

წინამდებარე მოთხრობებში გურამ რჩეულიშვილის ნარატივის თავისებურებას ქმნის დროის მითოლოგიზაცია, ერთდროულობა არსებულ, ყოფით რეალობასა და მიღმურ სამყაროს შორის. შესაბამისად, მის პერსონაჟებსაც ეუფლებათ მთლიანობის განცდა და იქმნება ერთიანი სამყაროს მხატვრული მოდელი.

Kenzhekhan Matyghanov

Kazakhstan, Almaty

Institute of Literature and Art named after M.O. Auezov of the Ministry of Education and Science of the Republic of Kazakhstan

Kazakh Folklore – a Solid Foundation and Core of Spirituality

The study of the artistic world of folk art, the parameters of its poetic world is one of the key problems facing modern Kazakh folklore studies. The systematic collection, primary systematization, analysis and publication of Kazakh folklore in the second half of the 19th century was carried out by Russian scientists and representatives of the Kazakh intelligentsia. The works of outstanding representatives of Alash – Akhmet Baitursynov, Khalel Dosmukhamedov, who came to science at the beginning of the twentieth century, raised Kazakh folklore studies to a new level of development. The scientific works of Mukhtar Auezov and Saken Seifullin played an important role in the formation of the national science of folklore.

Oral folk poetry, accumulating historical memory, a system of ideological principles, moral and aesthetic values of the ethnos, is a treasure house, thanks to which all the richness and brightness of national traditions and customs have survived to this day. Family-ritual folklore is one of the branches of the mighty tree of oral folk poetry, and its origins go back to ancient times. Some samples are reflected in the ancient Turkic written monuments. The oldest surviving texts of family ritual folklore are saturated with ethnographic realities, which stems from the close connection between folklore and everyday life. „The connection of folklore with everyday life is special“ (V.P. Anikin).

Folklore is an irreplaceable and inexhaustible source of people's spirituality, feeding all the spectra of modern national culture.

Tatiana Megrelishvili

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

“I asked Rezo Gabriadze to Issue a Visa to Pushkin”:

Folklore Myth Symbol in “Metamorphoses”

by A. Bitov and R. Gabriadze

Modern science is turning to the study of folklore in a new light – within the framework of the formulation of the problem “at the junction” of folklore, literary criticism and the reception of literary text. Since many folk tales are based on the beliefs, rituals, and traditions of the people, their description is easily combined with folk fantasy, trying to portray the desired situations in which fairy-tale characters fall so easily, achieving their goals with the help

of magic elements. The view of folk fantasy became the basis of the continuum mythology laid by A. Bitov and R. Gabriadze as the basis for “Metamorphosis” and formulated by Bitov himself: “what would happen if Pushkin did not die in 1837 ...”.

The report examines the relationship between the folklore image of A.S. Pushkin and his artistic development in the post-modern text. The mythological nature of the events of the “biographical legend” of A.S. Pushkin, which took shape earlier, in the 21st century generates new interpretations in the literary text and needs close scientific reflection.

This issue is sequentially considered on the basis of the autobiographical myth as the dominant of Pushkin’s life and work, folklore versions of this myth (Pinezhsy Pushkin), and then as a way to create a simulated reality in modern prose. An analysis of the artistic means of expressiveness shows that the auto myth is balanced by a simulacrum, which gives it dialectical stability. The value of the simulacrum is that it interprets and expands the auto myth from the position of a fairy tale, adapting the image of Pushkin to the present and in many ways explaining the possible reasons for the transformation of the author and folklore myth-symbol “Pushkin” in the postmodern cultural and historical field.

The study is based on discourse analysis. The methodological basis of the study was the work:

- Bakhtin M. Spatial representations in a fairy tale // folklore // Sat. folklore of the peoples of the RSFSR. Vol. 1. (BSU). Ufa, 1974.);

- Virolainen M.N. The cultural hero of the New Age // Legends and myths about Pushkin, St. Petersburg: Academic project, 1994, p. 334-335;

- Volpert L.I. Pushkin in the role of Pushkin. M.: Languages of Russian culture, 1998. –328 p.;

- Propp V.Ya. Morphology of a fairy tale. M., 2003.

Gohar Melikyan

Armenia, Yerevan

Institute of Archaeology and Ethnography

Armenian Folktales in Russian Publications of the 19th Century

The history of Russian publications of Armenian folktales started in 1857 when a German scientist and collector of folklore August von Haxthausen published some Armenian folktales in his book “Zakavkazskii Krai” (Saint Petersburg, 1857). Much greater number of Armenian folktales can be found in the “Collection of Materials for Describing Places and Tribes of the Caucasus”, the first issue of which came out in 1881 in Tiflis and later had 44 issues. Along with folktales and folklore in general the Collection included opulent and diverse materials on history, geography, ethnography, statistics and language of the peoples of Caucuses.

The present report focuses on the Armenian folktales found in Russian publications of the end of the 19th century. We aim to reveal the peculiarities of Armenian folktales in terms of motifs, repertoire, style and presentation as well as to carry out comparative analyses of the folktales found in pre-revolutionary publications and folktales published by the Institute of Archaeology and Ethnography of the Academy of Sciences of Armenia in 18 volumes.

Darejan Menabde

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Folklore Narrative in Georgian Travel Literature

Folklore traditions are identified and studied for a long time in scholarly literature in such branches of Old Georgian literature as original hagiography, hymnography, historical literature...The interest in Georgian and foreign orally transmitted folklore is observable in Georgian travel literature as well. Irrespective of the objective of the author's journey (visiting holy places, finding out the international situation, fulfilling of diplomatic missions, political objectives and interests, military and trade affairs, bringing to light Georgian antiquities, etc.), writer-travelers described customs and beliefs of one or another country, ethnography, not infrequently resorted to the oral material and often even assigned to folklore the importance of a historical source. In the Georgian travel texts of the 18th c. miracles, tales, legends and traditions are included, whereas in the 19th-c. texts folk verses and fairy tales were also added.

The presentation deals with the Georgian and foreign folklore materials preserved in Georgian travel literature of the 18th c. (Georgian: *Journey* by T.Gabashvili, *Journey* by I.Gedevanishvili, European: *Journey to Europe* by S.-S.Orbeliani, *Journey to Europe* by Prince Teimuraz; Oriental: *Journey to India* by R.Danibegashvili), the special study of which (searching for the origin and sources, identification of their relation with presumable oral and literary sources, etc.) has not been carried out to the present day. We believe that the study of the Georgian travel literature from this viewpoint and inclusion of the folklore sources of these texts into scholarly circulation will be interesting not only for Georgian but also for foreign folklore studies as well.

დარეჯან მენაზდე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფოლკლორული ნარატივი ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაში

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია შესწავლილი და გამოვლენილია ფოლკლორული ტრადიციები ძველი ქართული ლიტერატურის ისეთ დარგებში, როგორებიცაა ორიგინალური ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, საისტორიო მწერლობა... ინტერესი ქართული თუ უცხოური ზეპირსიტყვიერების მიმართ თავს იჩენს ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაშიც. განურჩევლად იმისა, თუ რა მიზანი ჰქონდა ავტორის მოგზაურობას (წმინდა ადგილების მოხილვა, საერთაშორისო ვითარების გარკვევა, დიპლომატიურ მისიათა შესრულება, პოლიტიკური მიზნები და ინტერესები, სამხედრო თუ სავაჭრო საქმეები, ქართულ სიძველეთა გამოვლენა და სხვ.), მწერალი-მოგზაურები, აღწერდნენ რა ამა თუ იმ ქვეყნის წესჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს, ეთნოგრაფიას, არცთუ იშვიათად სარგებლობდნენ ზეპირსიტყვიერი მასალით და ხშირ შემთხვევაში ფოლკლორს საისტორიო წყაროს მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ. მე-18 საუკუნის ქართულ სამოგზაურო ტექსტებში ჩართულია სასწაულები, თქმულება-გადმოცემები, ლეგენდები, მე-19 საუკუნის ტექსტებში კი ამას დაემატა ხალხური ლექსები და ზღაპრები.

მოხსენებაში წარმოდგენილია მე-18 საუკუნის ქართულ სამოგზაურო ლიტერატურაში შემონახული ქართული და უცხოური ფოლკლორული მასალები (ქართული: ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“, ი. გედევანიშვილის „მიმოსლვა“; ევროპული:

ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“, თეიმურაზ ბაგრატიონის „მოგზაურობა ევროპაში“; აღმოსავლური – რ. დანიბეგაშვილის „მოგზაურობა ინდოეთში“), რომელთა სპეციალური შესწავლა (წარმომავლობისა და წყაროების მოძიება, მიმართების გარკვევა სავარაუდო ზეპირსიტყვიერ თუ ლიტერატურულ წყაროებთან და ა. შ.) დღემდე არ ჩატარებულა. ვფიქრობთ, ქართული სამოგზაურო ლიტერატურის აღნიშნული რაკურსით კვლევა და ამ ტექსტების ფოლკლორული წყაროების სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა საინტერესო უნდა იყოს არა მარტო ქართული, არამედ საზღვარგარეთული ფოლკლორისტიკისთვისაც.

Lili Metreveli

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Urban Myth in Georgian Modernist Literature

Urban problems turned out to be particularly significant for the modernist literary discourse and based on its ideological-esthetic principles created original model of the urban paradigm and vice versa, some researchers associate the process of formation of the esthetic principles of modernism with development of the urban culture.

Generally, Georgian critics attributed appearing of the urban discourse in Georgian cultural space with transformation of Tbilisi into the multicultural epicenter, foreground of intercultural dialogue of the South-Eastern Europe and Caucasus region. In Georgian literature one of the first modernist authors in whose art the urban narrative appeared was Vasil Barnov. Writer at the turn of the centuries offers in

his stories interesting interpretation of dealing with the mental crisis of the individual against the background of urban culture development – the problem significant for the world modernist space. In the deep layers of the texts by Georgian modernist writer the social problems are substituted by opposition of religious-philosophical categories – good and evil. Vasil Barnov regarded that the only correct way of dealing with the spiritual crisis of the epoch was making choice in favor of good.

From a different perspective, considering the urban problem of Georgian immigrant writer Grigol Robakidze In his unfinished novel “Falestra”. The writer by contrast opposing Berlin and Tbilisi, underlines worldview and conceptual differences between the western (desacralized) and eastern (sacral) cultural models. Like the European thinkers, the writer sees Berlin as a desacralized, dehumanized topos of western urban civilization, the reinforced concrete kingdom. It should be noted that Grigol Robakidze deals with the main challenge facing modern western civilization – liberation of the “history from terror” in original manner: he sees the way of dealing with the subject’s mental crisis not rebellion, like western philosophical thinking but returning of a son to father, “paradise of archetypes” (Mircea Eliade) (eastern wisdom).

Thus, the central problem of urban paradigm appeared in Georgian modernist literature following the European modernist literature – subject’s spiritual crisis in the urban dehumanized space – was dealt with differently from the western philosophical and esthetic discourse, in absolutely original manner. It is significant to note that esthetic positions of both, Vasil Barnov and Grigol Robakidze have significantly influenced further reception of city concept in Georgian modernist thinking space.

ლილი მეტრეველი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ურბანული მითი ქართულ მოდერნისტულ ლიტერატურაში

ურბანისტული პრობლემატიკა მოდერნისტული ლიტერატურული დისკურსისთვის განსაკუთრებით აქტუალური აღმოჩნდა და საკუთარი იდეურ-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით ქალაქური პარადიგმის ორიგინალური მოდელი შექმნა, პირიქითაც შეიძლება ითქვას, მკვლევართა ნაწილი მოდერნიზმის ესთეტიკური პრინციპების ფორმირების პროცესს სწორედ ურბანული კულტურის განვითარებას უკავშირებს.

ქართულ კულტურულ სივრცეში ურბანისტული დისკურსის გაჩენას ქართველი კრიტიკოსები XX საუკუნის 10-20-იან წლებში სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონში თბილისის მულტიკულტურულ ეპიცენტრად, ინტერკულტურული დიალოგის ავანსცენად ტრანსფორმაციას უკავშირებენ. ქართულ მწერლობაში ერთ-ერთი პირველი მოდერნისტი ავტორი, რომლის შემოქმედებაში ურბანული ნარატივი ჩნდება, ვასილ ბარნოვია. საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მწერალი თავის მოთხრობებში მსოფლიო მოდერნისტული სივრცისთვის აქტუალური პრობლემის – ურბანისტული კულტურის განვითარების ფონზე ინდივიდის სულიერი კრიზისის – დამღევს საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ქართველი მოდერნისტი მწერლის ტექსტების სიღრმისეულ შრეში სოციალური პრობლემატიკა რელიგიურ-ფილოსოფიური კატეგორიების – სიკეთისა და ბოროტების –

დაპირსპირებითაა ჩანაცვლებული. ვასილ ბარნოვს ერთადერთ სწორ გზად სიკეთის არჩევა მიაჩნია.

განსხვავებული თვალსაზრისით განიხილავს ურბანისტულ პრობლემატიკას – ქართველი ემიგრანტი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ევროპელი მწერლებისადმი მიძღვნილ თავის დაუმთავრებელ რომანში „ფალესტრა“. ბერლინისა და თბილისის კონტრასტული დაპირსპირებით მწერალი დასავლურ (დესაკრალიზებულ) და აღმოსავლურ (საკრალურ) კულტურულ მოდელებს შორის მსოფლმხედველობრივ თუ კონცეპტუალურ განსხვავებას გამოკვეთს. საინტერესოა, რომ გრიგოლ რობაქიძე თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის წინაშე არსებულ უმთავრეს გამოწვევას – „ისტორიის ტერორისგან“ გათავისუფლებას – ორიგინალურად გადაჭრის: სუბიექტის სულიერი კრიზისის დამღევის გზად მას არა ამბოხი (დასავლური ფილოსოფია), არამედ მამის წიაღში, „არქექტიპების სამოთხეში“ (მირჩა ელიადე) დაბრუნება მიაჩნია (აღმოსავლური სიბრძნე).

ამდენად, ქართულ მოდერნისტულ ლიტერატურაში ევროპული მოდერნისტული ლიტერატურის კვლადაკვალ გაჩენილი ქალაქური პარადიგმის ცენტრალური პრობლემა – ურბანულ დეჰუმანიზებულ სივრცეში სუბიექტის სულიერი კრიზისი – დასავლური ფილოსოფიური თუ ესთეტიკური დისკურსისგან განსხვავებულად, სრულიად ორიგინალურადაა დამღეული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ვასილ ბარნოვის, ისე გრიგოლ რობაქიძის ესთეტიკურმა პოზიციამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქართულ მოდერნისტულ სააზროვნო სივრცეში ქალაქის კონცეპტის შემდგომ რეცეპციაზე.

Irine Modebadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Nino Ghambashidze

Georgia, Tbilisi

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

Tamar Tsitsishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Healing Magic and a Viral Infection:
Measles in the Context of Georgian Folk Traditions
(Based on the folklore and ethnographic materials)**

Mankind has been trying to protect itself from deadly diseases since ancient times. When worldviews relied on mythical consciousness and explained the events of the outside world by the will of the gods, or by the actions of demons, the knowledge gained through practical experience was given to the people in the form of a supreme covenant. Two directions of treatment have been formed: rational-empirical (gained through the practical experience) and magical (irrational-mythical, religious beliefs). They were closely intertwined, and each action of the healer acquired magical significance. That is why in a number of countries, in the previous centuries, they were considered servants of the white magic.

In folk medicine, there are still many ways to cure various diseases (homeopathic, phytotherapy, etc.), but their magical significance has been long forgotten, the restoration/reconstruction of which is possible only through folk sources.

In this regard, we consider the most notable traditional rituals of healing magic for the measles treatment (Measles /Morbillivirus / Measles virus), one of the most acute viral infections.

In the report, we will review the healing magic of Georgians – treatment with traditional folk remedies. The analysis is based on folklore and ethnographic material obtained by Georgian scientists and collectors. We hope that comparing the traditions of Georgian folk medicine with the general cultural context of the customs of the peoples of the Great Silk Road will allow us to discuss similarities/differences.

ირინე მოდებაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნინო ღამბაშიძე

საქართველო, თბილისი

ვ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

თამარ ციციშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

სამკურნალო მაგია და ვირუსული ინფექცია:

წითელა ქართული ხალხური ტრადიციების ჭრილში (ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით)

მძიმე გადამდები დაავადებებისაგან თავის დაცვას კაცობრიობა უძველესი დროიდან ცდილობდა, როდესაც მსოფლმეგრძნება მითოსურ ცნობიერებას ეყრდნობოდა და გარესამყაროს მოვლენებს ღმერთების ნებით, ან დემონების ქმედებით ხსნიდა. პრაქტიკული გამოცდილებით მოპოვებული ცოდნა ხალხს უზენაესის აღთქმის სახით მიეწოდებოდა. ჩამოყალიბდა მკურნალობის ორი მიმართულება: რაციონალურ-ემპირიული (პრაქტიკული გამოცდილებით მოპოვებული) და მაგიური (ირაციონალურ-მითოსური, რელიგიური რწმენა–წარმოდგენებით ნაკარნახევი). ისინი ერთმანეთს

მჭიდროდ ერწყმოდა და მკურნალის ყოველი ქმედება მაგიურ მნიშვნელობას იძენდა. სწორედ ამიტომ, მთელ რიგ ქვეყნებში, წინა საუკუნეებში მათ თეთრი მაგიის მსახურებად მიიჩნევდნენ.

ხალხურ მედიცინაში დღემდე შემორჩა სხვადასხვა დავადების განკურნების უამრავი ხერხი (ჰომეოპათური, ფიტოთერაპიული და ა.შ.), მაგრამ დიდი ხნის წინ მათი მაგიური მნიშვნელობა უკვე დავიწყებული იქნა. აღდგენა/რეკონსტრუქცია კი მხოლოდ ფოლკლორული წყაროებითაა შესაძლებელი.

ამ კუთხით საყურადღებოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ინფექციური ვირუსული დაავადების – წითელას (*Measles / Morbillivirus / Measles virus*) საწინააღმდეგო სამკურნალო მაგიის ტრადიციული რიტუალები.

მოხსენებაში მიმოვიხილავთ ქართველთა სამკურნალო მაგიას – ხალხური ტრადიციული სამკურნალო საშუალებებით მკურნალობას. ჩვენი ანალიზი ქართველ მეცნიერ-მემგროვებელთა მიერ მოპოვებულ ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალას ეფუძნება. ვიმედოვნებთ, რომ ქართული ხალხური მედიცინის ტრადიციების შედარება აბრეშუმის დიდი გზის ხალხთა წეს-ჩვეულებათა ზოგადკულტურულ კონტექსტთან საშუალებას მოგვცემს მსგავსება/განსხვავებზე ვიმსჯელოთ.

Marika Mshvildadze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Iberia One of the Centres of International trade (Cameos, discovered on Samtavro burial ground №905)

In the era of late antiquity, Iberia is one of the international trade centres. Important trade routes from neighboring states lay all across it – Armenia, Colchis, important trade routes from North to

South, which connected Georgia with Iran, and the states of Near East, through which the Great Silk Road lay, not to say anything about Roman Empire, with which it maintained close economic and political ties. Kartlian (Iberia) Capital city Mtskheta used to be the epicenter of those trade routes, to which the artefacts discovered in Mtskheta are a clear proof. In this respect, glyptic monuments acquire considerable importance.

The paper addresses glyptic items decorated with cameos, discovered in a rich tomb on the territory of Greater Mtskheta in 1985, burial ground № 905 (A.D. Second part of II c. – I part of III c.): 1. Red garnet cameo with the image of a man in a gold ring; 2. Purple amethyst cameo with the image of a cupid in a gold ring; 3. Red garnet cameo with the image of a woman in a gold ring; 4. Garnet cameo with the image of a woman, in a gold earring; 5. Garnet cameo with the cupid image in a gold earring, offer us important materials regarding cultural, socio-political situation existing in Iberia and the relationships between Iberia and the Roman Empire. The existence of the above-mentioned cameos in Mtskheta is a result of trade – economic and political relationship with the Roman Empire. Cameos are pieces of art. They are dated by the end of I c. B.C. and II c, A.D. The gold rings with cameos by II c. A.D. According to the spectral analyses all cameo gold ring shanks and both earrings are the Samples of Georgian goldsmithing and are made of high grade gold. The fact is definitely most suggestive regarding the development of goldsmithing in Iberia of late antiquity, existence of gemstone faceting craft shops, which according to the archaeological materials had long standing traditions.

მარკა მშვილდაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი (სამთავროს №905 სამარხში აღმოჩენილი კამეები)

გვიან ანტიკურ ხანაში იბერია საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრია. მასზე გადის მეზობელი ქვეყნებიდან – სონხეთიდან, კოლხეთიდან, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მომავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები, რომელიც საქართველოს ირანთან, მახლობელი აღმოსავლეთის იმ ქვეყნებთან აკავშირებდა რომლებზეც გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა, რომ არაფერი ვთქვათ რომის იმპერიაზე, რომელთანაც პირდაპირი მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობები ჰქონდა. ქართლის (იბერია) დედაქალაქი მცხეთა ამ სავაჭრო გზების ეპიცენტრს წარმოადგენდა, რაც კარგად ჩანს მცხეთაში აღმოჩენილ არტეფაქტებზე. აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვან დატვირთვას იძენს გლიპტიკური ძეგლები.

ნაშრომში განხილულია 1985 წელს დიდი მცხეთის ტერიტორიაზე მდიდრულ აკლადამაში, სამარხი №905 (ახ.წ.II საუკუნის მეორე ნახევარი – III საუკუნის I ნახევარი) აღმოჩენილი კამეებით შემკული გლიპტიკის ნიმუშები: 1. წითელი გრანატის მამაკაცისგამოსახულებიანი კამეა ოქროს ბეჭედში; 2. იისფერი ამეთვისტოს ამურის გამოსახულებიანი კამეა ოქროს ბეჭედში; 3. წითელი გრანატის ქალისგამოსახულებიანი კამეა ოქროს ბეჭედში; 4. გრანატის ქალისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში; 5. გრანატის ამურისგამოსახულებიანი კამეა ოქროს საყურეში, რომლებიც მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის იბერიაში არსებული პოლიტიკური სიტუაციის, იბერიისა და რომის იმპერიას შორის არსებულ ურთიერთობებზე.

ზემოაღნიშნული კამეების არსებობა მხეთაში რომის იმპერიასთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების შედეგია. კამეები ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ისინი ძვ.წ. I საუკუნის ბოლო-ახ.წ. II საუკუნით თარიღდება. ბეჭდები, რომლებშიც კამეები იყო ჩასმული ახ.წ. II საუკუნით. სპექტრული ანალიზის შედეგის მიხედვით, №905 სამარხში აღმოჩენილი ყველა კამეიანი ოქროს ბეჭდის რკალი და ორივე ოქროს საყურე ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებია და მაღალი სინჯის ოქროსგანაა დამზადებული, რაც უთუოდ მრავლისმთქმელია იბერიაში გვიანანტიკური პერიოდის ოქრომჭედლობის განვითარების, ქვის საჭრელი სახელოსნოს არსებობის შესახებ, რომელსაც არქეოლოგიური მასალის მიხედვით, საკმაოდ დიდი ტრადიცია გააჩნდა.

Maia Nachkepia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Mythological Allegory in the Drama of Skalitsian Jesuit „Catherine, Queen of Georgians...“

In Baroque literature the polar confronting systems, such as Christianity and Antique Mythology, coexisted harmonically. Antique mythology attracted Baroque authors by the possibility of interpretation and it was namely because of it that in Baroque cognition system plot and personages of antique mythology occupy specific place: assimilation of myths occurred according to the aesthetics of that epoch – myth was an uncomprehensive source of a symbol, allegory and in Baroque literature the main object for personages allegory rethinking was Christian interpretation, where antique gods and heroes were

represented as gospel personages and philosophical categories, thus for example: Ariadne was a symbol of Virgin Mary, Mercury – Jesus Christ, Artemide – holy love, fairies and Eumenides – torture of sinners in the hell.

In 1701, in the town Skalitsa of Slovakia, anonymous Skalitsian Jesuit based on the historical sources wrote a school drama under the title: “Catherine (Ketevan), Queen of Georgians, Decorated With Her Own Blood, Presented on the Stage”. The same year the play was staged in Jesuit gymnasium of Skalitsa. In this school drama of Slovak Jesuit there are two plans: one depicts real persons and events, while the other is its reconsideration in the aspect of Antique mythology. This second context is presented in the drama as a prologue, two choruses and an epilogue. Four mythological interludes by their succession form an integral, independent play. The author, to offer symbolic sense selected a myth about Galatea, Acid and Polyphemus; in the drama we meet also the images of Vulcan, Minerva and Iris. Antique motifs play the role of symbols and offer comments of the progress of actions in the drama. The play construed on the plot taken from the history of Georgia is an interesting sample of the Baroque epoch aesthetics.

მაია ნაჭყეზია

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მითოლოგიური ალეგორია ანონიმი სკალიცელი იეზუიტის პიესაში „კატერინა, ქართველთა დედოფალი...“

ბრაოკოს ლიტერატურაში ჰარმონიულად თანაარსობდა ისეთი განსხვავებული, პოლარულად დაპირისპირებული სისტემები, როგორებიცაა ქრისტიანობა და ანტიკური მითოლოგია.

ანტიკური მითოლოგია ბაროკოს ავტორებს ინტერპრეტაციის შესაძლებლობით იზიდავდა, სწორედ ამიტომ, ბაროკოს სა-აზროვნო სისტემაში ანტიკური მითოლოგიის სიუჟეტებს და პერსონაჟებს განსაკუთრებულ ადგილი უკავიათ: მითის ათვისება ამ ეპოქის ესთეტიკის შესაბამისად ხდებოდა – მითი სიმბოლოს, ალეგორიის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა და ბაროკოს ლიტერატურაში მითოლოგიურ პერსონაჟთა ალეგორიული გადაზრების უმთავრეს საგანს ქრისტიანული ინტერპრეტაცია შეადგენდა, სადაც ანტიკური ღმერთები და გმირები სახარების პერსონაჟებს და ასევე ფილოსოფიურ კატეგორიებს განასახიერებდნენ, მაგ.: არიადნა ღვთისმშობლის სიმბოლოს წარმოადგენდა, მერკური – იესო ქრისტეს, არტემიდა – ღვთაებრივ სიყვარულს, ფერიები და ევმენიდები – ცოდვილთა ჯოჯოხეთურ წამებას.

1701 წელს სლოვაკეთში, ქალაქს სკალიცაში, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ანონიმმა სკალიცელმა იეზუიტმა შექმნა სასკოლო პიესა ქეთევან წამებულის შესახებ სათაურით – „კატერინა, ქართველთა დედოფალი, თავისივე სისხლით შემკული, სცენაზე წარმოდგენილი“ „Catherine (Ketevani), Queen of Georgians, Decorated with her Blood, Presented on the Stage“. პიესა იმავე წელს დაიდგა ქალაქ სკალიცას იეზუიტურ გიმნაზიაში. სლოვაკი იეზუიტის სასკოლო პიესაში ორი პლანია: ერთი ასახავს რეალურ პირებსა და მოვლენებს, ხოლო მეორე კი წარმოადგენს მათ გააზრებას ანტიკური მითოლოგიის ასპექტში. ეს მეორე პლანი ნაწარმოებში წარმოდგენილია პროლოგის, ორი ქოროსა და ეპილოგის სახით. ოთხი მითოლოგიური ინტერმედია თავისი თანამიმდევრობით, როგორც მთლიანობა, დამოუკიდებელ პიესას ქმნის. ავტორს პიესის სიმბოლური შინაარსის გადმოსაცემად შეურჩევია მითი გალათეას, აკიდის და პოლიფემოსის შესახებ, პიესაში აგრეთვე ვხვდებით ვულ-

კანის, მინერვას, და ირისის სახეებს. პიესაში ანტიკური მოტივები სიმბოლოთა როლში გამოდიან და მოქმედების განვითარების კომენტარს წარმოადგენენ. საქართველოს ისტორიიდან აღებულ სიუჟეტზე აგებული პიესა ქეთვან დედოფლის შესახებ ბაროკოს ეპოქის ესთეტიკის საინტერესო ნიმუშია.

Irina Natsvlishvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Folklore Tracks of Mongol Ethnic Culture and History in Georgian Chronicles

The Chronicles of the historian of the XIV century is one of the most reliable and important texts of the Life of Kartli. Considering the century-long period of the epoch described in it, it is naturally that it is based on many sources known or unknown to us, which, in the deep analytical discourse created by the master writer is skillfully united compositionally and leaves less impression compilation during reading. Those sources, identified or unidentified, are quite diverse by their character and origins: works by Georgian or foreign historians; documentaries; the Bible and writings by Saint Fathers; stories, fairytales or legends preserved in collective memory and other types of verbal stories.

Subject of our research is the part of the chronicler in which he tells about the appearance of the admirable ethnos in the East – Mongols and about their customs, culture and faith; and stresses that “there are no mentioning about them in any of ancient books”. In the same part is told the legendary story of Genghis Khan and his children. On

the one hand, as it has been defined, the Georgian historian must have in relation to Genghis Khan used the work of his Iranian predecessor Juvayni, although, certain facts from the aforementioned episode of the Chronicles of the Century, are most likely the reflections of the literary tradition (The Secret History of Mongols) that entered Georgia through folklore or are directly related to the Mongolian verbal sources.

ირინა ნაცვლიშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მონღოლების ეთნოკულტურისა და ისტორიის ფოლკლორული კვალი ქართულ მატთანში

XIV საუკუნის ჟამთააღმწერლის მატთანე „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი მეტად სანდო და მნიშვნელოვანი ტექსტია. მასში აღწერილი ეპოქის ასწლოვანი ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ის ბევრ ჩვენთვის ცნობილ თუ უცნობ წყაროს ეყრდნობა; თუმცა, იმის გამო, რომ ავტორი ძალიან ერუდირებული, გონიერი ადამიანი, დახელოვნებული მწერალი და მასშტაბურად მოაზროვნე ისტორიკოსია, მის მიერ ფართო ანალიტიკურ დისკურსში წარმოდგენილი, ხშირად ემოციურად განცდილი მოვლენები კომპოზიციურად ოსტატურად არის გამთლიანებული და კითხვისას ნაკლებად ტოვებს კომპილაციის შთაბეჭდილებას, ვიდრე თავის წყაროს მემატთანე საჭიროებისამებრ თავად არ აღნიშნავს. ეს წყაროები კი, დასახელებული თუ დაუსახელებელი, თავიანთი ხასიათითა და წარმომავლობით საკმაოდ მრავალფეროვანია: ქართველ თუ უცხოელ ისტორიკოსთა ნაშრომები, დოკუმენტური

მასალები, ბიბლია და წმინდა მამათა ნააზრევი, კოლექტიური მეხსიერებით შემონახული თუ ზღაპრული ამბები, ლეგენდები და სხვა სახის ზეპირგადმოცემები.

ჩვენი კვლევის საგანია ჟამთააღმწერლის თხრობის ის ნაწილი, რომელშიც იგი აღმოსავლეთში საკვირველი ეთნოსის, მონღოლების, გამოჩენის, მათი ჩვეულებების, კულტურისა და რწმენის შესახებ გადმოგვცემს და, ამასთანავე, აღნიშნავს, რომ „არცა ძუელთა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი“. ამავე ნაწილში ჩართულია ჩინგიზ-ყაენის ლეგენდარული ისტორიაც და მცირე ცნობები მისი შვილების შესახებ. ერთი მხრივ, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია გარკვეული, ჩინგიზ-ყაენთან დაკავშირებით ქართველ ისტორიკოსს უნდა ესარგებლა თავისი ირანელი წინამორბედის, ჯუვეინის, ნაშრომით, თუმცა „ასწლოვანი მატიანის“ აღნიშნული ეპიზოდის ზოგიერთი ცნობა, სავარაუდოდ, საქართველოში ფოლკლორული გზით შემოსული მწიგნობრული ტრადიციის (ვგულისხმობთ მხოლოდ რჩეულთათვის ხელმისაწვდომ „მონღოლთა საიდუმლო ისტორიას“) ანარეკლია ან უშუალოდ მონღოლურ ზეპირ წყაროებს უკავშირდება.

Ada Nemsadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

The Myth of the Amazons in Titsian Tabidze's Fiction Prose

The Legend of the Amazons is one of the most widespread and beautiful myths of the Antique World (Herodotus, Pseudo-Hippocrates, Ephorus, Diodorus Siculus, Strabo, Plutarch...). From the be-

ginning it became a characterizing topic for literature and has not lost its popularity since then.

Titsian Tabidze has created two novellas on the given topic: ***The Created Legend*** (1913) and ***The Amazons*** (1925). The latter is distinguished by perfection and ideal determination. The vicious plan described in the novella, bloody scenes of getting men drunk and brutal crackdown on them reflected as archetype model, are connected not only to the rebellion of 1924, but also the Georgian reality of the 1920's in general. We believe that such perception is not accidental and baseless; the above mentioned novellas are the realization of the conscious and deliberate aim of the writer.

ადა ნემსაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ამორძალების მითი ტიციან ტაბიძის მხატვრულ პროზაში

თქმულება ამორძალებზე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ლამაზი მითია ანტიკურ სამყაროში (ჰეროდოტე, ფსევდოჰიპოკრატე, ეფორი, დიოდორე სიცილიელი, სტრაბონი, პლუტარქე...). იგი იმთავითვე იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ თემად ლიტერატურისათვის და პოპულარობა დღემდე არ დაუკარგავს.

ამ თემაზე ტიციან ტაბიძეს ორი ნოველა აქვს შექმნილი: **„შექმნილი ლეგენდა“ (1913)** და **„ამორძალები“ (1925)**. პირველი დაუმთავრებელია და სენტიმენტალურ-რომანტიკული ხასიათისაა, მეორე კი გამორჩეულია შემოქმედებითი სრულყოფილებითა და იდეური მიზანდასახულობით. მასში აღწერილი ვერაგული გეგმა, წითელი ფერისთვის მკვეთრად უარყოფითი

დატვირთვის მინიჭება, მამაკაცთა დათრობისა და მათ მიმართ მოწყობილი სასტიკი ანგარიშსწორების სისხლიანი სცენები არქექტიპული მოდელის სახით უკავშირდება არა მხოლოდ 1924 წლის აჯანყებას, არამედ მთლიანად მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ქართულ რეალობას. ვფიქრობთ, ამგვარი გააზრება არაა შემთხვევითი და საფუძველმოკლებული, დასახელებული ნოველები მწერლის შეგნებული და კარგად მოფიქრებული მიზნის ხორცშესხმაა. მოხსენებაში სწორედ აღნიშნული მოსაზრებაა დასაბუთებული.

Avtandil Nikoleishvili

Georgia Kutaisi

Akaki Tsereteli State University

Georgians From the City Unye and their Folklore

While being in scientific mission from Akaki Tsereteli State University (2015), I met our fellow-citizens living in Unye city and the nearer villages in order to look for Turkish Georgians folklore texts. Murad Shahin (Dzneladze) helped with this issue, who is also Turkish Georgian and handed over many folklore materials collected by him.

Many examples from the mentioned materials are also known for Georgian folk literature, too. The reason is that before leaving the homeland, these works were the main attribute for Georgian Muhajirs' spiritual culture and were also transferred in many variations from one generation to another.

And despite living in another environment, some of Turkish Georgians tried to connect with the Georgians, who lived in their homeland. They tried to get the separate examples of the folklore materials and then spread them in somehow different form.

The special talent of Turkish Georgians is shown in – “Gurculi Preacher.” Its’ different variants are taped also in Unye. The popularity of this work was caused by the fact that Georgians living in Turkey had a possibility to listen in native language those moral principles, which were accepted by their religion. The religious principles are main factors of their life. The mentioned work is also very important because it reveals the national view of Turkish Georgians and the love towards the native Georgian language.

Finally, it should be mentioned that the folklore texts of the Georgians living in Unye, enrich the folk literature of Turkish Georgians with new materials. They are important while studying their spiritual culture, history and modern life. They also reveal the other aspects of Georgian folk heritage in a very interesting form.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

საქართველო, ქუთაისი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უნიელ ქართველთა ქართულენოვანი ფოლკლორი

თურქეთელ ქართველთა ფოლკლორული ტექსტების მოსაძიებლად ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო დელეგაციის წევრებთან ერთად 2015 წლის აგვისტოში მივლინებაში ყოფნის დროს შეხვედრები მქონდა ქალაქ უნიესა და მის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან. ამ მასალების მოძიებაში მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა წარმოშობით იქაურმა ქართველმა მურად შაჰინმა (ძნელაძემ), რომელმაც გადმომცა ხსენებულ რეგიონში მის მიერ შეგროვებული მრავალრიცხოვანი ფოლკლორული მასალა.

უნიელ ქართველთა ფოლკლორული შემოქმედების ბევრი ნიმუში ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც გავრცელებული ტექსტების ვარიანტებს წარმოადგენს. ეს გარემოება არსებითად მნიშვნელოვანმა ორმა ფაქტორმა განაპირობა – პირველი, იმან, რომ ისტორიული სამშობლოდან ოსმალეთში გადახვეწამდე შექმნილი ეს ნიმუშები ქართველ მუჰაჯირთა სულიერი ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილადაც იყო ქცეული და სხვადასხვა ვარიაციებითა და იქაური ენობრივი დიალექტით ტრანსფორმირებული ფორმით გადაეცემოდა თაობიდან თაობას.

და მეორე, მიუხედავად სხვა ყოფით გარემოში ცხოვრებისა, იქაურ ქართველთა გარკვეული ნაწილი ქართულ სამყაროსთან ურთიერთობის დამყარებას მაინც ახერხებდა და ზოგადქართული ფოლკლორის ცალკეულ ნიმუშებს ახალ ცხოვრებისეულ გარემოშიც ავრცელებდა რამდენადმე სახეცვლილი ფორმით.

თურქეთელ ქართველთა პოეტური შესაძლებლობები ყველაზე მეტად წარმოჩინდა „გურჯულ ვაიში“, რომლის რამდენიმე ვარიანტი თურქეთის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის უნიეშიც, არის ჩაწერილი. მისი პოპულარობა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ თურქეთელი ქართველები მისი მეშვეობით მშობლიურ ენაზე ისმენდნენ იმ ზნეობრივ შეგონებებს, რასაც მათ მაჰმადიანური რელიგია უწესებდათ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრინციპებად. რელიგიურ ფაქტორს კი მათ ყოფაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს დამკვიდრებული. ხსენებულ ტექსტს განსაკუთრებული ყურადღება იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ მასში თურქეთელ ქართველთა ეროვნული თვალთახედვაცა და მშობლიური ქართული ენისადმი გამმაფრებული სიყვარულიც გამოვლინდა მთამბეჭდავი ფორმით.

საბოლოოდ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვი, რომ უნიელ ქართველთა ფოლკლორული ტექსტები ახალი მასალებით ამდიდრებს თურქეთელ ქართველთა ზეპირსიტყვიერებას

და არა მარტო მათი სულიერი კულტურის, ისტორიისა და თანამედროვე ყოფის შესასწავლად წარმოადგენს საგულისხმო მასალას, არამედ ქართული ფოლკლორული მემკვიდრეობის ახალ მხარეებსაც წარმოაჩენს საინტერესო სახით.

Nataliia Nikoriak

Ukraine, Chernivtsi

Yuriy Fedkovych Chernivtsi National University

Folklore Variety of Sergei Parajanov's Cinematographic Works

Folklore, as an inexhaustible source of inspiration for artists of different eras, has become an important part of the creative heritage of director and screenwriter Sergey Parajanov, who managed to present Ukrainian, Armenian, Georgian and Azerbaijani cinematographic samples to the whole world. The director's interest in "ethnographic details", "folklore motives", "traditions and rites" was already apparent in his diploma project – a screen adaptation of a Moldavian verse fairy tale "Andriesh" (1951). However, a powerful "explosion" of authenticity occurred much later, in the film "Shadows of Forgotten Ancestors" (1964), whose absolute novelty lay in the "conceptual manifestation of national culture, folklore, folk art and folk ideology", which was eventually described as "intensive ethnography" by L. Bryukhovetska. It is significant that the "appeal to folklore" became one of the key features in S. Parajanov's subsequent style. The movie parable "The Color of Pomegranates" (1969) reveals the spiritual world of the medieval Armenian poet Sayat Nova. The plot of "The Legend of Suram Fortress" (1984) rests on a Georgian legend about a beautiful young man who vol-

untarily sacrifices himself to protect his hometown. Finally, the last film “Ashik-Kerib” (1988) is based on the Azerbaijani folk tale. The director himself pointed out that “folklore suggests dozens and hundreds of wonderful discoveries.” There were also incomplete attempts to read folklore texts, for example, “Ara the Beautiful”, which was based on the ancient Armenian legend about Ara the Beautiful and Semiramis. In one of his interviews, S. Parajanov emphasized: “Everyone knows that I have three homelands. I was born in Georgia, worked in Ukraine and am going to die in Armenia”. It is interesting that these three cultural sources have inspired the author all his life. He was keen on the essence of each of them. At the same time, the folklore of these peoples helped the artist to learn and identify himself.

Tatia Oboladze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Myth of Opium and Hashish in Symbolist Texts (Charles Baudelaire and Blue Horns)

One of the universal signs of symbolism esthetics determining substance of each invariant of this movement (French, Georgian, Russian etc.), is the reconstruction of the myth. In the symbolism thinking sphere, on one hand, commences actualization of the universal characters-images and motifs, literary myths and on the other – new mythology is created. Val. Gaprindashvili, one of the key theorists of Georgian symbolism, in his benchmark letter “Declaration (New Mythology)” directly calls the poets to create the new myth, to renew the mythological pantheon.

Creation of the myth of opium and hashish is associated with French symbolism and Charles Baudelaire. Significance and popularity of various narcotic drugs are evidenced not only by their direct association with the artistic society – Paris Bohemia, their reflection in the artistic texts but also the “theoretical tractates” dedicated by individual authors to the strange experience gained due to opium and hashish, describing feelings of individual under intoxication.

E.g.: Teophile Gautier’s *Le Club de Hachichins* (1846), Charles Baudelaire’s *Les Paradis Artificiels* (1860) etc. It turned out that for symbolist view of the life narcotic intoxication – unclear and unexplainable for the rational mind, a condition saturated with phantasmagoric visions eliminating usual perception of time and space is of interest. This was the influence of French symbolism that the narcotic substances were brought into Georgian symbolist texts.

Goal of our research is to clarify motivation of creation of the opium and hashish myth on the basis of comparative analysis of the theoretical and creative texts of Charles Baudelaire and Georgian symbolists, as well as determine the conceptual sense and esthetic function of this new myth in two different cultural spaces.

თათია ოზოლაძე

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ობიუმისა და ჰაშიშის მითი სიმბოლისტურ ტექსტებში (შარლ ბოდლერი და ცისფერყანწელები)

სიმბოლისტური ესთეტიკის ერთ-ერთი უნივერსალური ნიშანი, რომელიც მიმდინარეობის თითოეული ინვარიანტის (ფრანგული, ქართული, რუსული და ა.შ) რაობას განსაზღვრავს, მითის რეკონსტრუქციაა. სიმბოლისტურ სააზროვნო სივრცეში, ერთი მხრივ, იწყება უნივერსალური სახე-ხატებისა

და მოტივების, ლიტერატურული მითის აქტუალიზაცია, მეორე მხრივ, კი იქმნება ახალი მითოლოგია. ქართული სიმბოლიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი ვალ. გაფრინდაშვილი საპროგრამო წერილში „დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)“ პირდაპირ მოუწოდებს პოეტებს შექმნან ახალი მითი, განაახლონ მითოლოგიური პანთეონი.

ფრანგულ სიმბოლიზმს და შარლ ბოდლერის სახელს უკავშირდება ოპიუმისა და ჰაშიშის მითის შექმნა. სხვადასხვა ნარკოტიკულ ნივთიერებათა მნიშვნელობასა და პოპულარობაზე მეტყველებს არა მხოლოდ მათი პირდაპირი დაკავშირება სახელოვნებო საზოგადოებასთან – პარიზულ ბოჰემასთან, მხატვრულ ტექსტებში მათი რეფლექსია, არამედ ის „თეორიული ტრაქტატებიც“, რომელიც ცალკეულმა ავტორმა მიუძღვნა ოპიუმისა და ჰაშიშის წყალობით მიღებულ უცნაურ გამოცდილებას, აღწერა თრობის ქვეშ მყოფი ადამიანის განცდები. მაგ: თეოფილ გოტიეს „ჰაშიშის მომხმარებელთა კლუბი“ (Le Club de Hachichins, 1846), შარლ ბოდლერის „ხელოვნური სამოთხეები“ (Les Paradis Artificiels, 1860) და სხვ. სიმბოლისტური მსოფლგანცდისთვის საინტერესო აღმოჩნდა ნარკოტიკული თრობა – რაციონალური გონისთვის გაუგებარი და აუხსნელი, ფანტასმაგორიული ხილვებით გაჯერებული კონდიცია, რომელიც აუქმებს დროისა და სივრცის ჩვეული აღქმას. სწორედ ფრანგული სიმბოლიზმის გავლენით მკვიდრდება ქართულ სიმბოლისტურ ტექსტებშიც ნარკოტიკული ნივთიერებები.

ჩვენი კვლევის მიზანია, შარლ ბოდლერისა და ქართველი სიმბოლისტების თეორიული და მხატვრული ტექსტების კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ვიკვლიოთ, ოპიუმისა და ჰაშიშის მითის შექმნის მოტივაცია, ასევე განვსაზღვროთ ამ ახალი მითის კონცეპტუალური საზრისი და ესთეტიკური ფუნქცია ორ განსხვავებულ კულტურულ სივრცეში.

Lela Ochiauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

Tale, Legend, Myth – In Literature and from Fiction to Screen

Myths, legends, tales, fairy tales are the basis of many literary works. Cinema, the history of which, first of all, begins with the “revival” of literature, often follows this path too. In the case of picturizing, the basis is doubled and first acquires new sonority in the script and then – in the director’s concept or in the manuscript itself.

Tengiz Abuladze’s *The Plea* and *The Wishing Tree* – based on Vazha-Pshavela’s narrative poems and poetry and Gogla Leonidze’s stories; Zaza Iluridze’s *Time* – based on Tamaz Bibiluri’s *Time of Responsible* and Dato Janelidze’s *Jako’s Dispossessed* are based on the novel by Mikheil Javakhishvili and all belong to this category.

In what form and way do the writers share oral narratives and ideas, reality and folklore, and then, already based on them, how is the literary original source (intellectually or structurally) transformed into a text, how does a text transformation take place into a new artistic reality and how is it formed into a new form of the cinema?

In each case, the main idea, message is a matter of national morality, devotion to traditions, expression of personality, struggle to establish one’s own moral principles, which makes a person a hero, a cult.

“Real” characters coexist organically in one space next to allegorical, mythical or similar images, and move freely from one “dimension” to another. Types and behaviors of characters, the course of events and the outcome of an action are assembled at the intersection

and interjection of different motifs, and are expressed in antinomies – death and life, good and evil, love and hatred, enmity and loyalty, an executioner and a victim. And then from this emerges the unified moral-ethical meaning of films and at the same time, the main portrayal-conceptual side.

History has nothing to do with subjunctive mood. Fairy tales, myths, fables – often, in spite of the factual source, act in fiction, in the desired, in the imagination. The process of formation and development of moral-ethical philosophical fables and tragedies as a high category begins and ends.

ლელა ოჩიაური

საქართველო, თბილისი

შოთარუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

თქმულება, ლეგენდა, მითი – ლიტერატურაში და მხატვრული ტექსტიდან ეკრანზე

მითები, ლეგენდები, თქმულებები, ზღაპრები არა ერთი ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველია. კინოც, რომლის ისტორიაც, პირველ რიგში, სწორედ ლიტერატურის „გაცოცხლებით“ იწყება, ამ გზას ხშირად მიმართავს. ეკრანზეების შემთხვევაში, საფუძველი ორმაგდება და ჯერ სცენარში იძენს ახალ ჟღერადობას და შემდეგ – სარეჟისორო კონცეფციასა თუ თავისთავად ხელწერაში.

თენგიზ აბულაძის „ვედრება“ და „ნატვრის ხე“ – ვაჟაფშაველას პოემებისა და ლექსების და გოგლა ლეონიძის მოთხრობების მოტივებზე; ზაზა ილურიძის „ჟამი“ – თამაზ ბიბილურის „ჟამი კითხულისა“ და დათო ჯანელიძის „ჯაყოს ხიზნები“, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის მიხედვითაა გადაღებული და სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან.

რა ფორმითა და სახით იზიარებენ ზეპირსიტყვიერ გადმოცემებსა და წარმოდგენებს, რეალობასა და ფოლკლორს მწერლები და შემდეგ, უკვე მათზე დაყრდნობით, როგორ ტრანსფორმირდება ლიტერატურული პირველწყარო (აზრობრივად თუ სტრუქტურულად) კინოში, როგორ მიმდინარეობს ტექსტის გარდასახვა, ახალ მხატვრულ რეალობად ქცევა და ახალ ფორმად ჩამოყალიბება კინოენაზე ამტყვევლების დროს.

თითოეულ შემთხვევაში, მთავარი იდეა, სათქმელი – ესაა ეროვნული ზნეობის საკითხი, ტრადიციების ერთგულება, პიროვნულობის გამოვლენა, ბრძოლა საკუთარი მორალური პრინციპების დამკვიდრებისთვის, რაც ადამიანს გმირად, საკულტო ობიექტად აქცევს. „რეალური“ პერსონაჟები ალევორიულ, მითური ან მათთან გაიგივებული სახეების გვერდით ერთ სივრცეში ორგანულად თანაარსებობენ და ერთი „განზომილებიდან“ მეორეში თავისუფლად, ძალდაუტანებლად გადადიან. პერსონაჟების ტიპები და საქციელი, მოვლენების მსვლელობა და ქმედების შედეგი სხვადასხვა მოტივის შეპირისპირებასა და გადაკვეთაზეა აწყობილი და ანტინომიებში გამოიხატება – სიკვდილი და სიცოცხლე, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, მტრობა და ერთგულება, ჯალათი და მსხვერპლი. და შემდეგ აქედან იკვეთება ფილმების ერთიანი მორალურ-ეთიკური აზრი და ამავე დროს, ძირითადი სახეობრივ-კონცეპტუალური მხარე.

ისტორიას არ აქვს კავშირებითი კილო. ზღაპარი, თქმულება, იგავი – ხშირად, ფაქტობრივი პირველწყაროს მიუხედავად, გამონაგონში, სასურველში, წარმოსახვითში მოქმედებენ. იწყება და სრულდება ზნეობრივ-მორალური ფილოსოფიური იგავისა და ტრაგედიის მაღალ კატეგორიად ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი.

Tamar Paichadze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Folklore – a Retrospective Matrix of Georgian Futurism

“Throw the classics overboard from the Ship of Modernity” – with such eccentric impressive calls Futurists appeared at the proscenium of the Avant-garde arts; “word about novelty”, “about tangled, freed words” initially became the means of demonstration of Futurist ideology. Futurist worldview – antithesis of creative aesthetics, philosophical analytics, symbolist mystics, classical discourse and realistic judgments introduced the new creative, antirealist thoughts to the world art-elite. It appeared with incontrovertible opposition towards ongoing culturological processes. It was the movement against academic mythologism and narrative sentimentalism, impressionism and symbols; the search for new forms in creative pragmatism for the imagination of the universe. Unlike other movements, the theoretical decoration of Futurism happened not only as result of the number of creative-practical experiments, but also in exalted form: with declarations and manifestos; therefore, it initially became not only the presenter of new expressional direction, but also an active public movement. Like other ultra-modernist expressions, Futurism can also be thoroughly considered as a certain protest or an attempt of protest, which was not only the antagonistic opposition to everything classical and orderly, but also appeared as the antithesis of public morale and ethnic-aesthetic norms of the ideal.

If inspiration sources of other modernist trends and directions in Georgia (symbolism, impressionism, expressionism) are realized in the European analogues, the fact is that Futurism has received a charge in Georgia from Russian literature, but not only ...

The futuristic ecstasy in Georgia developed by a familiar scenario: the mixture of industry and primitive, urbanism, polemics on the development perspectives of art (mainly literature, painting, and film), will oppose the aristocratic worldview, “Psyche Revolution and Black Poetry”, mixing of styling, rhythm, punctuation.

თამარ პაიჭაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვოლკლორი – ქართული ფუტურიზმის რეტროსპექტიული მატრიცა

„დააგდე კლასიკა თანამედროვეობის გემთან“ – ამგვარი ექსცენტრულ-ეპატაჟური მოწოდებებით გამოჩნდნენ ფუტურისტები ავანგარდისტული ხელოვნების ავანსცენაზე; „სიტყვა სიახლეზე“, „ჩახლართულ, განთავისუფლებულ სიტყვებზე“ იმთავითვე იქცა ფუტურისტული იდეოლოგიის დემონსტრირების საშუალებად. ისევე, როგორც სხვა ულტრამოდერნისტული გამოხატულებანი, ფუტურიზმიც საფუძვლებრივად უნდა მივიჩნიოთ, როგორც გარკვეული პროტესტი ან მცდელობა პროტესტისა, რომელიც არა მხოლოდ ყოველივე კლასიკურისა და მოწესრიგებულის ანტაგონისტურ დაპირისპირებას წარმოადგენდა, არამედ საზოგადოებრივი მორალისა და იდეალის ეთნიკურ-ესთეტიკური ნორმების ანტიეთეზად წარმოდგებოდა.

საქართველოში მან საინტერესო ისტორიაც დატოვა და „მემკვიდრეობითი მიმართულებაც“. ამდენად, ქართული შემოქმედებითი რეალობისათვის არცთუ უცხო „მეთოდის მწერლობის“ ფორმა ფუტურისტულ ძიებებში მცირედ დაგ-

ვიანებით, მაგრამ მაინც წარმოჩნდა. ევროპული ანალოგებისაგან განსხვავებით, საქართველოში ფუტურიზმი მაინც უფრო ლიტერატურული მოვლენა იყო და, ამასთან ერთად, არცთუ განსაკუთრებულად ორთოდოქსული. სადაც ერთი სახელდების ქვეშ გაერთიანდა კონსტრუქტივიზმის, დადაიზმის და ფუტურიზმის პრინციპები.

ქართული ფუტურისტული პოეზია სრულიად არაორდინალურ ლიტერატურულ ფაქტად ჩამოყალიბდა. მისი სპეციფიკა ენობრივი, სტილური და პუნქტუაციური დაუდევრობა იყო, ამ არჩევანით ქართველი ფოტურისტები ევროპული და რუსული ფუტურისტული ზაუმური და ფორმადაშლილი ტექსტის ტრადიციას ბოლომდე ერთგულებდნენ.

ისინი უარყოფდნენ ყოველგვარ „წინას და საწყისს“ თავიანთი შემოქმედებითი ფორმებისათვის და თემატურ-პრობლემური და მენტალური მოტივაცია წარსული ინტელექტუალური გამოცდილებიდან ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების აღიარებაზე და გაზიარებაზე გადიოდა.

ცნობილ ფუტურისტულ ორგანოებში: „H2SO4“-ში, „დროულსა“ და „მემარცხენეობაში“ დაბეჭდილ ლექსები, დეკლარაციები და თეორიული სტატიები და ე.წ. „კინოტექსტები“ ქართული ფოლკლორის, იგავის, თქმულების და აფორიზმის ინტერტექსტუალურ და ფორმალურ ინტერპრეტაციას ეფუძნებოდა. ქართველი ფუტურისტები წარსული გამოცდილებიდან მხოლოდ ხალხურ პოეზიას აღიარებდნენ და თვლიდნენ, რომ “ის დაცლილია მისტიკური სივრცეებისა და დრამატული მიმიკისგან და აღმშენებლობითი ჟესტის ფორმასა და მოძრაობას წარმოადგენს”. „ხალხური შემოქმედების შემდეგ ჩვენ გავხსენით მეტყველების ახალი ლაბორატორია, სადაც გადაჭრით იქმნა დაყენებული რამოდენიმე ცდების შესაძლებლობა. რევოლუციის ეპოქების შემდეგ იზადება სა-

ჭიროება ახალი მეტყველების“ – წერდა სიმონ ჩიქოვანი. ამ შემოქმედებითი სტრატეგიის ცალსახა გამოხატულება ქართველ ფუტურისტთა „ფოლკლორული პოეზიაა“.

Nino Popiashvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Personalization of an Individual and Gender Aspects in Ossetian Folklore

The formation of national identity is reflected in folklore. The social figures of the older and younger, woman and man, hero and antihero originate precisely from folk traditions and folklore. A woman, as one of the symbols of national identity, is an important character in folklore texts.

Personalization of an individual is based on a traditional experience in folklore texts. Here, the antique, medieval, religious and other layers merge with each other, creating solid forms characteristic of gender roles.

Women in folklore are often associated with traditions and their observance. Some people think that this is because women have less power. In Caucasian folklore, in the Ossetian Nart Saga, a woman plays a traditional role. In addition, in the Nart Saga we meet a different model of personalization of a woman. An important hero of the Ossetian folklore, the Nart Saga, is Satana, a woman who is simultaneously a symbol of female beauty, eternal youth, wisdom and prudence. Satana is the syncretic face of a woman and it combines the models of a woman, mother, lover, elder, beauty, enchantress and virgin.

In the report, we will talk about models of personalization of female characters according to Ossetian folklore. We will single out traditional and different frameworks for the role of women, issues of the interrelationship between female characters of the Caucasian folklore and antique tradition.

ნინო პოპიაშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინდივიდის პერსონიფიცირება და გენდერული ასპექტები ოსური ფოლკლორში

ნაციონალური იდენტობის ფორმირება ასახულია ფოლკლორში. უფროსისა და უმცროსის, ქალისა და მამაკაცის, გმირისა და ანტიგმირის სოციალური ფიგურები სწორედ ხალხური ტრადიციებიდან და ფოლკლორიდან იღებს სათავეს. ქალი, როგორც ნაციონალური იდენტობის ერთ-ერთი სიმბოლო, ფოლკლორული ტექსტების მნიშვნელოვანი პერსონაჟია.

ინდივიდის პერსონიფიცირება ფოლკლორულ ტექსტებში ტრადიციულ გამოცდილებას ემყარება. აქ ერთმანეთს ერწყმის ანტიკური, შუასაუკუნეების, რელიგიური და სხვა შრეები, იქმნება გენდერული როლებისათვის დამახასიათებელი მყარი ფორმები.

ქალები ფოლკლორში ხშირად არიან დაკავშირებულნი ტრადიციებთან და მათ აღსრულებასთან. ზოგი შეხედულებით ეს იმით აიხსნება, რომ ქალებს ნაკლები ძალაუფლება აქვთ. კავკასიურ ფოლკლორში, ოსური ნართების ეპოსში, ქალი ტრადიციული როლის მატარებელია. ამასთან, ნართების ეპოსში გვხდება ქალის პერსონიფიცირების განსხვავებული

მოდელიც. ოსური ფოლკლორის, ნართების ეპოსის მნიშვნელოვანი გმირია სათანა, ქალი, რომელიც ერთდროულად არის ქალის სილამაზის, მარადიული ახალგაზრდობის, სიბრძნისა და გონიერების სიმბოლო. სათანა ქალის სინკრეტული სახეა და მასში შერწყმულია ქალის, დედის, სატრფოს, უხუცესის, მზეთუნახავის, ჯადოქრისა და უმანკოს მოდელები.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ქალი პერსონაჟების პერსონიფიკირების მოდელებზე ოსური ფოლკლორის მიხედვით. გამოვყოფთ ქალის როლის ტრადიციულ და განსხვავებულ ჩარჩოებს, კავკასიური ფოლკლორისა და ანტიკური ტრადიციის ქალი პერსონაჟების ურთიერთმიმართების საკითხებს.

Gulnar Ilham qızı Rahimova

Azerbaijan, Baku

Teacher of the Baku Slavic University

“Beyrey’s Tragedy” in the Epos of Kitabi-Dede-Korkut

Mythological imagination is not just a set of decorative ornaments that adorn fairy tales and legends that we hear an accompany their content. Mythological imagination underlies the worldview of an ancient person, defines the normative system of his actions.

It was accepted that the epos “Kitabi –Dede-Korkut ” is a heroic epos. It is a monument glorifying the courage, determination, bravery and devotion of the Oghuz knights. There is a barrier between the invisible side and the visible side of the “Dede-Korkut”.

The events described in the inner Oghuz the betrayal of the outer Oghuz and the death of Beyrey differ from the other lengths both in content and in their inner spirit. Conflicts within the Oghuz world result in tragedy for the first time. Beyrey, who could not pass

the loyalty of “Qazan khana” was killed by Aruz. The relationship between Beyrey, Aruz and Qazan is also revealed in the saga, that is, it is varied and dressed in artistic clothes.

-Why exactly the Beyrey ? The weight of this question was immeasurable.

Because no other hero has ever opposed the world and ethical norms and codes. The Word does not forgive him. Only Beyrey rebelled against the epic rules created by the Myth. Thus, a faint light falls on the invisible part of the iceberg. And we dearly see that although “ Dede-Korkut” is a prophet of Myth he sacrifices a member of the mythical world to the Writing against Myth. To say more precisely that, it sacrifices to writing.

Nestan Ratiani

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Depiction of female infanticide in Svan folklore

19th century Russian periodical literature depicts the practice of gender-selective infanticide in Svaneti. The most common way of female infanticide was depositing burning hot ashes in the newborn’s mouth. The practice carried a symbolic meaning emphasizing mouth as the first organ in digestive process. The practice led to the decline in female population in Svaneti and caused the male population to seek alternative ways, legal or not, getting married. The Paper focuses on three Svan folklore texts that are based on the practice of female infanticide; in particular: 1. The tale of an insatiable girl eating her parents and siblings; 2. A journey of a bachelor search of a wife; 3. A legend on a natural disaster related to an incest between siblings.

ნესტან რატანი

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ახალშობილ გოგონათა მკვლელობის ასახვა სვანურ ფოლკლორში

მეცხრამეტე საუკუნის რუსულენოვან პერიოდიკაში ვხვდებით ჩანაწერებს იმის შესახებ, რომ სვანეთში არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც, კლავდნენ ახალშობილ გოგონებს. ხშირად მკვლელობა შემდეგნაირად სრულდებოდა: ახალშობილს პირში გავარვარებულ ნაცარს აყრიდნენ. მკვლელობის ეს ფორმა სიმბოლურია და მასში აქცენტირებულია პირი, სადაც საჭმლის გადამუშავების პირველი ეტაპი მიმდინარეობს. სვანეთში ამ წესის არსებობამ გამოიწვია ქალების რაოდენობის შემცირება, რის გამოც დასაქორწინებელ ყმაწვილებს უხდებოდათ ცოლის მოსაყვანად სხვადასხვა გამართლებული და გაუმართლებელი გზების ძიება. მოხსენებაში შესწავლილია ზოგიერთი სვანური ფოლკლორული ტექსტი, რომელთაც ამ წესის არსებობა უნდა დასდებოდა საფუძვლად. ეს ტექსტებია: 1. ზღაპარი, რომელიც გოგონას წარმოადგენს, როგორც გაუმადლარ არსებას, რომელიც არ ინდობს არც მშობლებს და არც დედამიშვილებს; 2. ზღაპარი, რომელიც ასახავს ყმაწვილის თავგადასავალს ცოლის მოსაპოვებლად; 3. თქმულება, რომელიც ასახავს მოსალოდნელ მეტეოროლოგიურ საფრთხეს ინცესტის შემთხვევაში.

Jonathan Roper

Estonia, Tartu

University of Tartu

Lotman – the Folklore Side of a Literary Scholar

Yuri Lotman (1922-1993) is widely known as a literary scholar, a semiotician, and a cultural historian. What is less widely known about him is his interest in folklore. In a sense, such an interest is not too surprising: semioticians and (especially) structuralists often chose folktales and proverbs as raw material to demonstrate their theories upon. But Lotman's knowledge of and engagement with folklore goes deeper than that, and involves his studying with Vladimir Propp and Mark Azadovsky, his own field collecting of songs in the 1940s, and his continued contact with academic folklorists while in Tartu. In numerous of his essays there are references to folklore, and on occasion the focus on folklore becomes more central, as for example in his discussion of canonical art and the aesthetics of similarity. While in the final analysis Lotman cannot be considered as a folklorist, he is nevertheless represents that interesting phenomenon a literary scholar with a folklore side to him. This talk reveals some of the neglected folklore element in his writings, and discusses how they might be of interest to those who do work more centrally with folklore.

Zeinab Saria

Georgia, Zugdidi

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

**Variations of the Folk Poem “Shemomekara Kivchaghi”
(I Encountered a Kipchak) in the Twentieth Century
Georgian Poetry**

There are different variations of “Shememakara Kivchaghi”. In one version, after her husband and Kipchak clashed with each other for death, the woman went to her brother; the other says that the husband kills the abuser and takes wife to his mother-in-law; according to the third one the opponents die and the woman goes to someone else.

Giorgi Shatberashvili believes that this third option does not come from folklore.

Literary variants of this poem were created by Giorgi Leonidze, Goderdzi Chokheli, Lasha Gakharia, Ana Janelidze.

In the version of Giorgi Leonidze, encroachment on traditional moral values is unforgivable. The woman’s husband cuts Kipchak’s head in half. He dies and still talks of love with the woman, which causes an allusion with the Rustavelian love.

The husband is the one speaking in the version by Goderdzi Chokheli. He says that Kipchak is taking away his land.

With Lasha Gakharia, Kipchak regrets that he dared to try taking his wife. For a Georgian, wife is an inviolable purity that he will not let anyone to defoul.

In Ana Janelidze’s poem, the wife speaks. She considers the death of her husband and Kipchak to be fateful, and justifies her choice of finding a new love.

These variations indicate that the topic of an abuser is actual for Georgians, is relevant for all periods of his/her existence and may be repeated many times in the future.

ზეინაზ სარია

საქართველო, ზუგდიდი

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ხალხური „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიაციები მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში

არსებობს ამ ლექსის სხვადასხვა ვარიანტი. ერთგან ნათქვამია, რომ ქმრისა და ყივჩაღის მიერ ერთანეთის სასიკვიდილოდ გამეტების შემდეგ ქალი ძმასთან წავიდა; მეორეგან – ქმარი კლავრს მოძალადეს და ქალი სიდედრთან მიჰყავს; მესამეგან – მეტოქენი იხოცებიან, ქალი კი სულ სხვასთან მიდის.

გიორგი შატერაშვილი თვლის, რომ ეს მესამე ვარიანტი ხალხური საწყისებიდან არ მომდინარეობს.

ამ ლექსის ლიტერატურული ვარიანტები შექმნეს გიორგი ლეონიძემ, გოდერძი ჩოხელმა, ლაშა გახარამ, ანა ჯანელიძემ.

გიორგი ლეონიძესთან ყივჩაღი სიყვარულს ეწირება და მარადიულ ტრფობაზე ესიტყვება ქალს. ქმარმა ყოვჩაღს თავი შუაზე გადაუჩეხა. ის კვდება და კვლავ სიყვარულს ეფიცება ქალს, თან ეს გრძნობა რუსთველური სიყვარულის ალუზიას იწვევს. მოძალადე, რაც უნდა ძლიერი სიყვარულით იყოს შეპყრობილი, მოძალადეა და ვერ გაიხარებს.

გოდერძი ჩოხელთან ქმარი მეტყველებს, ის გვეუბნება, რომ ყივჩაღი სინამდვილეში მამულის წამრთმევეა.

ლაშა გახარიასთან ყივჩაღი ნანობს, რომ ქართველის ცოლზე ცილობა გაბედა. ქართველისთვის ცოლი ხელშეუხებელი სიწმინდეა, რომელსაც იგი არავის წააბილწვინებს.

ანა ჯანელიძის ლექსში ცოლი მეტყველებს. იგი ბედისწერად თვლის ქმრისა და ყივჩაღის ურთიერთდახოცვას, ხო-

ლო თავის ნაბიჯს ამართლებს: ოცნებით სავსე ქალი ვარ სხვა სიყვარული უნდა მეპოვაო.

ეს ვარიაციები იმაზე მეტყველებს, რომ აქტუალურია ქართველისათვის მოძალადის თემა, თანამდევია მისი არსებობის ყველა პერიოდისათვის და შეიძლება მომავალშიც არაერთხელ გაიჟღეროს სხვადასხვაგვარად.

Shorena Shamanadze

Natela Chitauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Mythopoetic Image Creation as a Cultural Memory Code in Modern Georgian Intercultural-Migration Texts Created Abroad

As of today, literature has extensively fallen under the interdisciplinary research interest due to multiple reasons (even due to social thematic, attitude towards acute requirements of environment), which, due to migration contexts broaden even more. The common discourse of narration, identities and memories becomes even more significant in the literature created abroad.

Foreign countries often become a place for starting literary writing. Narrative eases the nostalgia, trauma consciousness, protects national identity, and preserves the cultural memory. The risk of losing national identity is far more real when living abroad, therefore, the value of cultural memory is far more in the “literature created outside”, compared to that “created locally”. It activates the cultural memory paradigms and artifacts. Among those paradigms the main are

the myth, legend, ethnology, rituals, symbols – the artifacts, based on which a text preserves national models based on cultural memory.

National folklore, symbolic and mythological paradigms are reflected more unconsciously in the consciousness and literary works by writers living abroad (unlike the 20th century emigration, in which mythology identity is purposeful). The mythopoetic image creation process develops in modern intercultural and migration, diverse and hybrid texts (actualization of mythologems, deconstruction/reinterpretation of mythological plots, modeling of fiction time and space by allocating them in non-traditional context, construction of mythological fiction images or even transformation of myths, their modernizing, parody and creation of anti-myth), which, eventually forms as the most important code of cultural memory. The given coding system is revealed in modern literary texts created abroad by different types of models (thinking, behavioral, linguistic). All the aforementioned reflects the opposition between the modernity and past ideals, however, it also reveals the archetype and psychological images hidden in human consciousness, which, in the end, allows us to find the tracks of nomad writer's national identity. Most importantly, all of this needs to be researched against the background of the trans-nationalism theory – after all, the number of nomadic authors is growing every day and the process of cultural diasporization is intensifying.

შორენა შამანაძე

ნათელა ჩიტაური

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**მითოპოეტური სახეცმნადობა როგორც კულტურული
მეხსიერების კოდი საზღვარგარეთ შექმნილ თანამედროვე
ქართულ ინტერკულტურულ-მიგრაციულ ტექსტებში**

დღეს მწერლობა მრავალი მიზეზის გამო (თუნდაც მასში აქცენტირებული სოციალური თემატიკა, დამოკიდებულება გარემოს აქტუალურ მოთხოვნებზე) მასშტაბურად მოექცა კვლევათა ინტერდისციპლინურ არეალში, რომელიც მიგრაციული კონტექსტების გამო კიდევ უფრო ფართოვდება. საზღვარგარეთ შექმნილ მწერლობაში უმნიშვნელოვანესი ხდება ნარაციის, იდენტობებისა და მეხსიერებათა ერთობლივი დისკურსი.

უცხოეთი ძალიან ხშირად იქცევა წერის დაწყების ადგილად. ნარატივი აქარწყლებს ნოსტალგიას, ტრავმულ ცნობიერებას, იცავს ნაციონალურ იდენტობას, ინახავს კულტურულ მეხსიერებას. უცხოეთში ნაციონალური იდენტობის დაკარგვის საფრთხე რეალურია, ამიტომაც „გარეთ შექმნილ“, ვიდრე „ადგილზე შექმნილ მწერლობაში“, მეტია კულტურული მეხსიერების ღირებულება. აქ აქტიურდება კულტურული მეხსიერების პარადიგმები, არტეფაქტები. ამ პარადიგმებს შორის უმთავრესია მითი, ლეგენდა, ეთნოლოგია, რიტუალები, სიმბოლოები – ის არქეტიპები, რომელთა საშუალებითაც ტექსტი ინარჩუნებს კულტურულ მეხსიერებაზე დაფუძნებულ ნაციონალურ მოდელებს.

ნაციონალური ფოლკლორული, სიმბოლურ – მითოლოგიური პარადიგმები საზღვარგარეთ მყოფი თანამედროვე

მწერლის ცნობიერებასა და შემოქმედებაში უფრო მეტად გა-
უცნობიერებლად აისახება (განსხვავებით მე-20 საუკუნის
ემიგრაციისაგან, როდესაც მითოლოგიით იდენტობა მიზან-
მიმართულია). თანამედროვე ინტერკულტურულ-მიგრაცი-
ულ, მრავალენოვან, ჰიბრიდულ ტექსტში ვითარდება მი-
თოპოეტური სახექმნადობის პროცესი (მითოლოგემების
აქტუალიზაცია, მითოლოგიური სიუჟეტების დეკონსტრუქ-
ცია/რეინტერპრეტაცია, მათი არატრადიციულ კონტექსტში
მოთავსებით მხატვრული დროისა და სივრცის მოდელირება,
მითოლოგიური მხატვრული სახეების კონსტრუირება, ან სუ-
ლაც მითების ტრანსფორმაცია, გათანამედროვება, პაროდირე-
ბა, ანტიმითის შექმნა), რაც საბოლოოდ კულტურული მეხსი-
ერების უმნიშვნელოვანეს კოდად ყალიბდება. ეს კოდური
სისტემა საზღვარგარეთ შექმნილ თანამედროვე ლიტერატუ-
რულ ტექსტებში სხვადასხვა ტიპის მოდელეობით (სააზროვნო,
ქცევითი, ენობრივი) წარმოჩინდება. ეს ყველაფერი ასახავს
დაპირისპირებას თანამედროვეობასა და წარსულის იდეალებს
შორის, თუმცა ამავე დროს ადამიანის ქვეცნობიერში ჩამალულ
არქეტიპულ – ფსიქოლოგიურ სურათხატებსაც ავლენს, რაც
საბოლოოდ ნომადი მწერლის ნაციონალური იდენტობის კვა-
ლის აღმოჩენის საშუალებას იძლევა. რაც მთავარია, ამ ყვე-
ლაფრის კვლევა უნდა განხორციელდეს ტრანსნაციონალიზმის
თეორიის შუქზე – ნომად ავტორთა რიცხვი ხომ ყოველდღი-
ურად იზრდება და კულტურის დიასპორიზაციის პროცესიც
ინტენსიურად მიმდინარეობს.

Tamar Sharabidze

Nana Gonjilashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Worldview and Intercultural Communication
on Art and Fiction – Conceptual Perception and Intercultural
Communication in Art and Fiction**

The value of art lies in the new forms that are displayed in them inherently and in that is its essence. Therefore, in addition to the essence, the creator is always looking for new ways of self expression, as a result, new directions arise both in fiction and art and also in music. As a result, the recipient is confronted not only with the syncretism of artistic forms but also with the assimilation of one form of art by another.

In this case, we must discuss the peculiarities of the relationships between two disciplines of art – painting and literature. The views and works on these issues come from the bosom of medieval literary aesthetic thinking. Among them is the work of 18th-century German educator and writer Gotthold Lessing, “Laocoön, or the Limitations of Poetry” (1766).

Indeed, Laoconne has become a methodological and aesthetic source for many artists. This attitude is also evident in the 19th century Georgian literary process. It is especially obvious in the literary heritage of Vazha-Pshavela, whose creativity is linked to various literary trends and there is no consensus among literary critics about his world perception.

Against this backdrop of the alternative, we can say that Vazha-Pshavela’s work is based on Christian ideology. In addition, an impor-

tant basis for the writer's literary discourse is the mythos, which is the material used to represent the writer's artistic and creative thinking.

Vazha-Pshavela's artistic outlook is also multifaceted and alternative. For instance, one part of the creator's creativity remains within the realistic literary direction, and the other part belongs to the modernist current. Such differentiation over a period of time is also reflected in the writer's theoretical mindset.

This explains the variety of artistic forms from the writer's creations which are related to both painting and music.

The originality of the artist's artistic forms is that, as an artist, he chooses the most characteristic moment of action to depict, reflecting the whole story from start to finish. He pauses for a moment and waits for the reader to finish. At the same time, the writer uses artistic methods typical of musical art, appealing to the exterior sound effect characteristic of the composer of his time, Gustav Mahler. This technique per se evokes a sense of originality and authenticity in the work of art.

Thus, the aesthetic principles of Gustav Lessing and his European followers became a challenge for Georgian creative thinking and became an overall reflection pattern.

თამარ შარაბიძე

ნანა გონჯილაშვილი

თბილისი, საქართველო

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

**ხელოვნებისა და მხატვრული ლიტერატურის
მიმართებისათვის – მსოფლმხედველობრივი პოზიცია
და ინტერკულტურული მესიჯი**

ყოველი დროის ხელოვნება ფასობს იმით, თუ რა ახალი ფორმა და შინაარსი აისახება მასში. ამიტომაც არის, რომ ხელოვანი შინაარსთან ერთად ყოველთვის ფიქრობს გამოხატ-

ვის ფორმაზე, შედეგად იქმნება რიგი მიმდინარეობები როგორც ლიტერატურაში, ასევე მხატვრობასა და მუსიკაში. ამის შედეგად რეციპიენტის წინაშეა მხატვრულ ფორმათა არა მხოლოდ სინკრეტიზმი, არამედ ხელოვნების ერთი დარგის მიერ მეორე დარგის ფორმათა ათვისება-გათავისება.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ხელოვნების ორი დარგის – მხატვრობისა და ლიტერატურის – ურთიერთობის თავისებურებანი. შეხედულებანი და შრომები ამ საკითხებზე შუა საუკუნეების ლიტერატურულ ესთეტიკური აზროვნების წიაღიდან მოდის, მათ შორისაა XVIII საუკუნის გერმანელი განმანათლებლისა და მწერლის გოტჰოლდ ლესინგის ნაშრომი: «ლაოკოონი ანუ პოეზიასა და მხატვრობას შორის არსებული საზღვრების შესახებ» (1766).

„ლაოკოონი“ შემდგომში არაერთი ხელოვანისთვის იქცა მოთოდოლოგიურ და ესთეტიკურ წყაროდ. ეს დამოკიდებულება მე-19 საუკუნის ქართულ სალიტერატურო პროცესშიც ცნობიერდება. განსაკუთრებით იკვეთება ქართული ლიტერატურის კლასიკოსის ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობაშიც, რომლის შემოქმედებასაც სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობას უკავშირებენ და მისი მსოფლმხედველობის შესახებაც სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობაა.

ამ შეხედულებათა ალტერნატიულობის ფონზე შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება დაფუძნებულია ქრისტიანულ იდეოლოგიაზე, ამასთან ერთად, მწერლის ლიტერატურული დისკურსის მნიშვნელოვანი ბაზაა მითოსი, რომელიც წარმოადგენს მასალას მწერლის მხატვრულ-შემოქმედებითი ნააზრევის წარმოსაჩენად.

მრავალმიმართულებრივი და ალტერნატიულია ვაჟა-ფშაველას მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი არჩევანიც: მწერ-

ლის შემოქმედების ერთი ნაწილი რჩება რეალისტური ლიტერატურული მიმართულების ფარგლებში, ხოლო მეორე ნაწილი მოდერნისტულ მიმდინარეობას მიეკუთვნება. ამგვარი დიფერენცირება, თანაც გარკვეული დროის შუალედის მიხედვით, აისახება მწერლის თეორიულ ნააზრევშიც.

ამით აიხსნება ის მრავალფეროვანი მხატვრული ფორმები მწერლის შემოქმედებიდან, რომლებიც ნათესაობას ამჟღავნებენ როგორც მხატვრობასთან, ასევე მუსიკასთან. მწერლის მხატვრულ ფორმათა ორიგინალობა იმაშია, რომ, ის რო-გორც მხატვარი, ირჩევს გამოსახატავად მოქმედების ნიშანდობლივ, ყველაზე მეტად დამახასიათებელ მომენტს, რომელშიც აისახება მთელი სიუჟეტი მოქმედების დაწყებიდან დასრულებამდე; ის სურათობრივად ჩერდება ერთ მომენტზე და მის დასრულებას მკითხველს მიანდობს. ამასთანავე მწერალი იყენებს მუსიკალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ მეთოდებს, მიმართავს თავისი დროის კომპოზიტორის გუსტავ მალერის შემოქმედებისათვის დამახასიათებელ გარე ხმის ეფექტს, რაც მხატვრულ ნაწარმოებში ორიგინალობისა და უჩვეულობის განცდას იწვევს.

ამდენად, გუსტავ ლესინგისა და მისი ევროპელი მიმდევრების ესთეტიკური პრინციპები ქართული შემოქმედებითი აზროვნებისათვის ერთგვარ გამოწვევად იქცა და ასახვაც ჰპოვა.

Tea Shurgaia

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

„Old Wine” in “New Wineskins” – New Life of Georgian Proverbs

Nowadays paremiologists are taking active interest in investigation of innovative usage of proverbs and it has become a popular trend in modern proverb scholarship on the global scale. Proverbial expressions functioning in politics, mass media and business, in popular culture in general, provides researchers with a valuable piece of material for observation. The paper deals with specificities of the application of Georgian proverbs and proverbial expressions in popular culture of today's Georgia. The data in hand reveals that: 1. Potential of the Georgian proverbial fund has not been adequately used; 2. While visualizing Georgian proverbs, it often occurs that the accent has been given rather to their literary comprehension than to the metaphorical meaning of the statements. In doing so the comical effect is achieved but proverb's potential of generalization declines; 3. Alongside with ingenious use of Georgian proverbs, sometimes we come across the attempts to “edit” them in order to draw close to similar popular international proverbs; in other words the privilege is given to international expressions; 4. Knowledge of traditional native proverbs among young generation in Georgia is fading. The paper stresses the need for further popularization of proverb genre and actualization of the high innovative potential of Georgian proverbs.

თეა შურღია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**„ძველი ღვინო“ „ახალ ტიკებში“ –
ქართული ანდაზების ახალი სიცოცხლე**

დღეს პარემიოლოგები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ანდაზების – ტრადიციული გამონათქვამების – ინოვაციური გამოყენების კვლევისადმი. პოლიტიკაში, მასმედიაში, ბიზნესში, ზოგადად, პოპკულტურაში ანდაზების ფუნქციონირება მდიდარ მასალას იძლევა დასაკვირვებლად. მოხსენებაში განალიზებულია ქართული ანდაზებისა და ანდაზად მიჩნეული გამონათქვამების გამოყენების სპეციფიკა პოპკულტურაში. საანალიზო მასალა ცხადყოფს: 1. ქართული საანდაზო ფონდის ინოვაციური პოტენციალი არასაკმარისად არის გამოყენებული; 2. ქართული ანდაზების ვიზუალიზაციისას ხშირად აქცენტი გადატანილია გამონათქვამის არა მეტაფორულ, არამედ პირდაპირ აღქმაზე, რის შედეგობითაც იქმნება კომიკურობის ეფექტი, ხოლო გამონათქვამის გენერალიზაციის პოტენციალი ეცემა; 3. ქართული ანდაზების მახვილგონივრული გამოყენების პარალელურად ზოგჯერ შესამჩნევია მათი „რედაქტირების“ მცდელობა საერთაშორისოდ ცნობილ გამონათქვამებთან დაახლოების მიზნით; 4. ახალგაზრდა თაობაში ტრადიციული ქართული ანდაზების ცოდნა და მიმოქცევა მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც მიუთითებს ეროვნული ფოლკლორის ამ ჟანრის პოპულარიზაციისა და მისი ინოვაციური პოტენციალის აქტუალიზაციის აუცილებლობაზე.

Ketevan Sikharulidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Dynamism of the Literary Image of a Human Character in Folk Literature

The cultural worldview of a traditional society defines the themes, content and a number of characteristics of folk literature, where circumstances, action and outcome play an important role. This paper is focused on the activities of human characters and aims to find out if they show dynamism across different genres of folk literature.

Myths narrate about the creative activities of supernatural beings, which results in the creation of the cosmos and a human being. Thus, in myths, a human is not a creator agent. In rituals a human is not a character also but a performer of a symbolic activity.

The protagonist of a heroic epic, whose setting is a battlefield, is particularly active. An epic hero mainly owes his specialness to his pedigree – one of his parents is a deity. Protagonists of a heroic epic endowed with the qualities of a mythological being: hence his ability to perform outstanding activities.

The story of a fairy tale reflects the dynamism of the protagonist's activities. However, his actions cannot be called outstanding, as each character of a fairy tale represents some power. In a fairy tale, whether a human, an animal or a thing – all 'enjoy' equal rights and equally contribute to the development of the story.

A Realistic Tale (Folk Novella) is likewise a fiction, an invented story, but it is closer to reality and is characterized by a diversity of storyline. Furthermore, there is a human being in its centre. The protagonist of a folk tale, whose image is multidimensional, has the signs of individuality.

A human as an agent is especially prominent in ballads. This genre of folk poetry portrays impressive characters with distinctively individualistic traits and tragic elements.

Folk literature certainly shows the dynamism of a human character. However, this not a gradual development of a particular literary image. Each genre of folk literature employs its own discrete principles and means of expression to depict a different world in which a human being has his due place. Therefore, the differences in the role and activities of human characters are to be explained not by interrelations between the genres or their chronological order, but by the peculiar characteristics of each genre.

ქეთევან სიხარულიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადამიანი-პერსონაჟის მხატვრული სახის დინამიკა ფოლკლორულ შემოქმედებაში

ტრადიციული საზოგადოების კოლექტიური მსოფლმხედველობა განაპირობებს ფოლკლორულ ნაწარმოებთა თემატიკას, შინაარსსა და მთელ რიგ თავისებურებებს. ხალხურ ნაწარმოებებში მთავარია გარემოება, მოქმედება და შედეგი. ამ ფონზე ჩვენთვის საინტერესოა, როგორია ადამიანის, როგორც პერსონაჟის აქტივობა და შეგვიძლია თუ არა, ვისაუბროთ ამ სახის დინამიკაზე ფოლკლორული ჟანრების მიხედვით.

მითები წარმოაჩენენ ზებუნებრივ არსებათა შემოქმედებით აქტივობას, შესაბამისად, მათში ადამიანი არ ჩანს მოქმედ პირად. რიტუალის შესრულებით ადამიანი მონაწილეობს სამყაროს წესრიგის შენარჩუნებაში, მაგრამ აქ იგი არის არა პერსონაჟი, არამედ სიმბოლური ქცევის შემსრულებელი.

განსაკუთრებით აქტიურია საგმირო ეპოსის მთავარი პერსონაჟი, რომელიც საბრძოლო ასპარეზზე ავლენს თავს. ეს გამორჩეულობა კი უმეტეს შემთხვევაში გაპირობებულია გენეზისით – მისი ერთ-ერთი მშობელი ღვთაებაა. ეპიკურ პერსონაჟს გამოჰყვება მითოლოგიური არსების ნიშნები და მისი განსაკუთრებული აქტივობის საფუძველიც ეს არის.

ჯადოსნურ ზღაპარში სიუჟეტური ხაზი ასახავს მთავარი გმირის მოქმედების დინამიკას, მაგრამ მისი აქტივობა არ არის სხვებისგან გამორჩეული, რადგანაც აქ ყველა პერსონაჟი გარკვეულ ძალთა განსახიერებაა. ზღაპარში ადამიანი, ცხოველი თუ საგანი თანაბარუფლებიანნი არიან და ერთნაირი წვლილი შეაქვთ სიუჟეტის განვითარებაში.

ხალხური ნოველაც გამონაგონს ეფუძნება, მაგრამ იგი ახლოსაა რეალობასთან და გამოირჩევა სიუჟეტთა მრავალფეროვნებით. რაც მთავარია, აქ თხრობის ცენტრში დგას ადამიანი. ნოველის მრავალსახოვანი გმირი უკვე აღბეჭდილია ინდივიდუალობის ნიშნით.

განსაკუთრებული ადგილი ადამიანს, როგორც მოქმედ პირს, უკავია ბალადაში. ამ პოეტურ ნაწარმოებებში ვხვდებით შთამბეჭდავ პერსონაჟებს მკვეთრად ინდივიდუალური ხასიათითა და ტრაგიზმით.

ფოლკლორული მასალა გვიჩვენებს ადამიანი-პერსონაჟის სახის დინამიკას, მაგრამ ეს არ არის ერთი რომელიმე მხატვრული სახის თანდათანობითი განვითარების ეტაპები. ხალხური შემოქმედების ყოველ ჟანრში, მისთვის დამახასიათებელი კანონზომიერებებითა და მხატვრული საშუალებებით, დახატულია განსხვავებული სამყარო და ადამიანსაც მიკუთვნებული აქვს თავისი ადგილი. აქედან გამომდინარე, განსხვავება ადამიანი-პერსონაჟის როლსა და აქტივობაში გაპირობებულია არა ჟანრთა ურთიერთობით ან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ თითოეული ჟანრის თავისებურებით.

Tariel Sikharulidze
Jujuna Sikharulidze
Turkey, Erzurum
Ataturk University

**Folkloric Text as a Factor of Multicultural Communication in the
Process of Teaching of Foreign Languages
(based on Russina fairy tales)**

Fairy tales were orally transmitted from generation to generation, and they were constantly enriched with fairy formulas, proverbs and sayings that reflect the “spirit of the people.”

Tales are rich with lingodidactic and lingoculturological potential; they rise cultural awareness, specificities of human behavior and orientation systems that characterize the native culture; they underline the importance of cultural factors in the process of communicative interaction; they contribute to the formation of linguistic picture of the world. In this regard, the Russian fairy tale, like any fairy tale, is one of the shortest ways to introduce a foreign student into the world of Russian culture.

Teaching students the Russian language in a non-linguistic environment created the need for adaptation of the folkloric text and pushed us to develop special strategies in order to respond to that need: we prepared and published collections of fairy tales adapted to the need of Georgian reader. The text was completed with a Russian-Georgian dictionary, a linguistic and cultural explanations of fairy-tale formulas, lexical explanations of outdated words and expressions. A series of exercises on such aspects of speech as reading, grammar, speaking, listening, writing, allow to overcome barriers of not only communicative, but also psychological nature.

Solomon Tabutsadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

For the Interrelationship of Folk and Literary Fairy Tales

1. For the existence of a literary tale;
2. Contradiction of the poetic signs of the author and folk tale;
3. The transformation of the fairy-tale hero's personal nature into a folklore and literary tale;
4. Similarities and differences in the motives and functions of folklore and literary fairy tales.

სოლომონ ტაბუცაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფოლკლორული და ლიტერატურული ზღაპრის ურთიერთმიმართებისათვის

1. ლიტერატურული ზღაპრის რაობისათვის;
2. საავტორო და ხალხური ზღაპრის პოეტიკურ ნიშანთა შეპირისპირება;
3. ზღაპრის გმირის პიროვნული ბუნების ტრანსფორმაცია ფოლკლორულ და ლიტერატურულ ზღაპარში;
4. ფოლკლორული და ლიტერატურული ზღაპრის მოტივთა და ფუნქციათა მსგავსება-განსხვავებანი.

David Takidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**Myth in Conrad's Novels: "The Heart of Darkness"
and "The Nigger of the "Narcissus"**

Myth and ritual take on greater importance in literature in the beginning of 20th century and are linked with the advent of modernism. However, modernists were not the first who actively pursued myth and mythical method as a way of giving shape and unity to the work of literature. Polish-British writer Joseph Conrad, who is regarded as a predecessor of modernism by many scholars, had incorporated myth in his novels two decades earlier than the modernists.

The subject of the study of this paper is the analysis of myth in Conrad's two celebrated novels: "The Heart of Darkness" and "The Nigger of the "Narcissus".

Analysis has shown that, Kurtz, the hero of "The Heart of Darkness" embodies an archetype of conquistador. In addition, Kurtz is a parody of Aeneas, the main protagonist of Virgil's "Aeneid". By running a parallel between Aeneas, the antique hero and Kurtz, the modern conquistador, Conrad shows the decline in spiritual as well as moral character of the modern man.

The importance of myth is hinted in the title of Conrad's novel "The Nigger of the "Narcissus". The ship where the action of the novel takes place is called Narcissus, a mythical figure from Ovid's "Metamorphoses". This ship is a microcosm of modern England, mirrored in myth.

The research has found that Conrad uses myth in his novels to juxtapose ancient and modern worlds. By using myth he breaks with

linear time, historicism and diachrony. In addition, by using the literary device of association, his novels and protagonists parody the ancient epics and their heroes.

დავით ტაკიძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მითოსი კონრადის რომანებში „წყვდიადის გული“ და „ნარცისის“ ნეგრი“

მითი და რიტუალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ლიტერატურაში მეოცე საუკუნის დასაწყისში მოდერნიზმის გაჩენასთან ერთად იძენს. თუმცა მოდერნიზმები არ იყვნენ პირველები, ვინც აქტიურად მიმართა მითს, როგორც ნაწარმოების გამაერთიანებელ ქსოვილს. მითოსურ მეთოდს მოდერნიზტებამდე ორი დეკადით ადრე მიმართავდა პოლონელ-ბრიტანელი მწერალი ჯოზეფ კონრადი, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული სხვადასხვა მეცნიერის მიერ მოდერნიზმის წინამორბედად.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია მითოსის ანალიზი ჯოზეფ კონრადის ორ გამორჩეულ ნაწარმოებში „წყვდიადის გული“ და „ნარცისის“ ნეგრი“.

ნაშრომი აჩვენებს, რომ „წყვდიადის გულის“ მთავარი პერსონაჟი კურცი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კონკისტადორის არქეტიპი. იგი ასევე ვერგილიუსის „ენეიდას“ მთავარი გმირის ენეასის პაროდირებული სახეა. მათ შორის პარალელის გავლებით კონრადი გვიხატავს თანამედროვე ადამიანის დეკადენსს, მის სულიერ და მორალურ დაღმასვლას.

რაც შეეხება „ნარცისის“ ნეგრს“, აქ მითზე მინიშნებას კონრადი სათაურშივე იძლევა, „ნარცისი“ მითოსური გმირის

სახელია, რომელსაც ჩვენ ოვიდიუსის „მეტამორფოზებიდან ვიცნობთ. კონრადის რომანში “ნარცისი” გემს ეწოდება, სადაც მთელი ნაწარმოების განმავლობაში ვითარდება სიუჟეტი და შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც კონრადის თანამედროვე ინგლისის სახე, რომელიც მითოსურ სარკეში ირეკლება.

კვლევის შედეგად ირკვევა რომ ჯოზეფ კონრადი თავის ნაწარმოებებში ეყრდნობა მითს და ახდენს თანამედროვეობის და ანტიკურობის პარალელურ შეპირისპირებას. იგი მითოსის გამოყენებით არღვევს დროის ჩვეულ მდინარებას, ისტორიციზმს და დიაქრონულობას. ასოციაციური ტექნიკის გამოყენებით კონრადის ნაწარმოებების სიუჟეტები უკავშირდებიან ანტიკური ეპოსის სიუჟეტებს, ხოლო მისი გმირები წარმოადგენენ ანტიკური გმირების ერთგვარ პაროდისას.

Eka Tchkoidze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Church Serfs According to the Materials of 19-th Century Georgian Newspapers

The 19th century is a special period in global history bringing many changes and innovations. Georgia was no exception. Being a periphery of the Russian empire since 1801, Georgia faced completely different political, cultural, economic, social, administrative and ecclesiastical reality. One of the most important changes happened in the 19th c. was the Emancipation of serfs in the whole Russian empire. There are many publications in different newspapers of that time which give significant information for every aspect of these reforms.

They enable us to have a clear picture about this process and to investigate it in depth.

In this regard the article entitled “Situation of our former serfs” published in the newspaper “Droeba” in February 1883 should be mentioned (volumes # 24, 25, 26). The author was David Ghambashidze (1840-1912), a well-known ecclesiastical figure and the arch-priest of Shorapani region. The publication refers to church serfs who did not enjoy their freedom, despite the relevant Manifesto was signed 20 years earlier. Their serfdom’s reason was the fact that they belonged to foreign monasteries which owned lands in Georgia. For example, in Shorapani region (nowadays Kharagauli municipality) the village Vardzia was given as a metochion to the Kykkos Monastery in Cyprus at the end of the 18th century. The article reveals some aspects of unpleasant situation of Vardzia church serfs who were Georgian peasants.

The present paper will deal with church serfs generally, before and after the Reforms, as well as related social and ecclesiastical aspects which are little-investigated in Georgian historiography.

ეკა ჭყოძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საეკლესიო ყმები მე-19 საუკუნის ქართული პრესის მასალების მიხედვით

მე-19 საუკუნე უამრავი ცვლილებით და სიახლითაა დატვირთული მსოფლიო ისტორიაში. გამონაკლისი ვერც საქართველო იქნებოდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში სრულიად შეიცვალა მისი პოლიტიკური, კულტურული,

ეკონომიკური, სოციალური, ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო და საეკლესიო რეალობა. მე-19 საუკუნეში განხორციელებული რეფორმებიდან უდავოდ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ბატონყმობის გაუქმება. ამან ასახვა ჰპოვა და თავისი გავლენა იქონია საზოგადოების ყველა ფენასა და ყველა სფეროზე. ამ საკითხის კვლევას სხვა მნიშვნელოვან ფაქტორთან ერთად ისიც აადვილებს, რომ უზვად მოგვეპოვება საგაზეთო პუბლიკაციები. სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატია სრულ სურათს ქმნის ამ საკითხის ყველა ასპექტის სიღრმისეულად შესასწავლად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „დროებაში“ 1883 წლის თებერვალში დაბეჭდილი სტატია „ჩვენებურ ნაყმევთა მდგომარეობა“, რომლის ავტორიცაა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, შორაპნის ოლქის მთავარწყესი დავით ღამბაშიძე (1840-1912). სტატია აღნიშნული გაზეთის სამ ნომერში (24, 25 და 26) გამოქვეყნდა და ყველგან იწყება გაზეთის პირველივე გვერდიდან, რაც მის მნიშვნელობასა და აქტუალობას უსვამს ხაზს. ამ პუბლიკაციაში საუბარია საეკლესიო ყმების შესახებ ბატონყმობის გაუქმებიდან 20 წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ. ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს, რომ აღნიშნული რეფორმა არ შეეხო საეკლესიო ყმებს და ამის მიზეზებს ასახელებს და აანალიზებს. სტატი ეხება საზღვარგარეთის იმ მონასტრებს, რომელთაც მამულები ყმებითურთ საქართველოში აქვთ. კონკრეტულად, საუბარია შორაპნის მაზრაში (დღევანდელი ხარაგაულის რაიონი) მდებარე სოფელ ვარძიაზე. აქ ბერძნებს (იგულისხმება კვიპროსის კიკოს მონასტრის ბერები) ეკლესია, მიწები ყმებითურთ ჯერ კიდევ იმერეთის მეფე სოლომონმა დაუმტკიცა. სწორედ ამ ყმების არცთუ სახარბიელო მდგომარეობას მიმოიხილავს თავის სტატიაში მღვდელი დავით ღამბაშიძე.

მოსხენებაში ყურადღებას დავუთმობთ ზოგადად საეკლესიო ყმების მდგომარეობას ბატონყმობის გაუქმებამდე და შემდეგ. ასევე, მიმოვიხილავთ კვიპროსის მონასტრის ქართული მიწების ისეთ ასპექტებს, რაც ნაკლებადაა ცნობილი და იმ კონკრეტულ ფაქტებს, რაც „დროების“ აღნიშნულ ნომრებშია მოყვანილი. ეს კი შესაძლებლობას მოგვცემს უკეთ გავიაზროთ საქართველოს მე-19 საუკუნის რთული სოციალური და საეკლესიო პროცესები.

Lali Tibilashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Folklore Motifs in One of Vazha-Pshavela's Stories
and Shio Aragvispireli's Novelette "Long-Eared Owls"
("Ololebi")**

Many works by Shio Aragvispireli are the samples of novelist tales. In this respect, novelette "Long-Eared Owls", called by the writer a "Georgian legend" is of particular interest. At one glance this composition reminds Vazha-Pshavela's story "How the Owls Came into the World?" It is known that both works originate from the depths of folklore. Characters of Shio Aragvispireli's novelette and Vazha-Pshavela's story are the wicked stepmothers. They hate their stepchildren and therefore attempt to ruin them. Shio Aragvispireli and Vazha-Pshavela, each, develop this folklore motif in his own way. In "Long-Eared Owls" the cause of transfer into the other world, i.e. transformation of children into the birds is the desire to find their favorite calf. Due to begging of their tortured mother's soul children cover with feathers

and turn into birds. In Vazha-s story the cause of children's transformation into birds is the fear of their stepmother.

In both works are very tragic. As though the writers attempt to show that it is a heavy burden to be a human. The characters are still children and, perhaps, that's why they show weakness and escape the burden that they would have to carry in the future.

The report considers interrelations between Vazha-Pshavela's above mentioned story and Shio Aragvispireli's novelette; describes, how the forms and images of folklore thinking were reflected in these two works. We regard that this is necessary to study in the future the issue of whether these works are associated with similar fables known in the European literature.

ლალი თიბილაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ფოლკლორული მოტივები ვაჟა-ფშაველას ერთ მოთხრობასა და შიო არაგვისპირელის ნოველა „ოლოლებში“

შიო არაგვისპირელის არაერთი თხზულება ნოველისტური ზღაპრის ნიმუშს წარმოადგენს. ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „ოლოლები“, რომელსაც მწერალი „ქართულ თქმულებას“ უწოდებს. ერთი შეხედვით ეს თხზულება მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას მოთხრობას „როგორ გაჩნდნენ ბუები ქვეყანაზედ?“. როგორც ცნობილია, ორივე ნაწარმოები ფოლკლორული წიაღიდან იღებს სათავეს. შიო არაგვისპირელის ნოველისა და ვაჟა-ფშაველას მოთხრობის პერსონაჟები ბოროტი დედინაცვლები არიან. მათ ძალიან სძულთ გერები და ამიტომ ცდილობენ, რომ დაღუპონ ისინი. შიო არაგვისპირელი

და ვაჟა-ფშაველა თავისებურად ავითარებენ ამ ფოლკლორულ მოტივს. „ოლოლებში“ სხვა სამყაროში გადასვლის, ანუ ჩიტებად ბავშვების გადაქცევის მიზეზი საყვარელი ხბოს მოძებნის სურვილია. ბავშვები დედის ტანჯული სულის ვედრებით ბუმბულით შეიმოსებიან და ჩიტებად გადაიქცევიან. ვაჟას მოთხრობაში კი ფრინველებად ბავშვების გადაქცევას დედინაცვლის შიში განაპირობებს.

ორივე ნაწარმოებში დიდი ტრაგიზმია გამოხატული. მწერლები თითქოს იმას გვიჩვენებენ, რომ ადამიანობა მძიმე ტვირთია. პერსონაჟები ჯერ ბავშვები არიან. ალბათ, ამიტომაცაა, რომ სისუსტე სძლევთ და გაურბიან იმ ტვირთს, რომელიც მომავალში უნდა ატარონ.

მოხსენებაში განხილულია, თუ რა ურთიერთმიმართებაა ვაჟა-ფშაველას ზემოთ ხსენებულ მოთხრობასა და შიო არაგვისპირელის ნოველას შორის; გადმოცემულია, თუ როგორ აირეკლა ფოლკლორული აზროვნების ფორმები და სახეები ამ ორ თხზულებაში. აუცილებლად მიგვაჩნია, აგრეთვე, რომ მომავალში ის საკითხიც იქნას შესწავლილი, უკავშირდება თუ არა ეს ნაწარმოებები ევროპულ მწერლობაში ცნობილ მსგავს სიუჟეტს.

Sophio Totibadze

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Gender Stereotypes as Represented in Literary Fairy Tales in Georgian and European Societies

Due to their sociolinguistic nature, fairy tales are frequently utilized to express the issues troubling the community in the period of their creation. Following the rise in popularity of gender studies, fairy tales and the issues of gender (in)equality attract the attention of linguists.

This research, based on an electronic questionnaire, aimed to determine the attitude of the members of Georgian and European society towards gender stereotypes as expressed in fairy tales and whether the sex of a reader is a determining factor in gender-stereotypical thinking. The results of the research revealed that participants of the experiment, regardless of their gender or age, answered the questions from the standpoint of gender stereotypes buried deep in Georgian and European societies; In addition, the majority of respondents look at men characters as playing active roles in fairy tales, whilst women are perceived as secondary characters. Linguistically, women are portrayed as weak, dependent and fragile heroines; they are mostly described as beautiful creatures whereas their inner features are discarded. As well as this, participants indicated that excessive emotionality is typical of women whereas men are not expected to express emotions openly.

სოფიო თოთიბაძე

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საავტორო ზღაპრებში წარმოდგენილი გენდერული სტერეოტიპების ასახვა ქართულ და ევროპულ საზოგადოებაზე

სოციოლინგვისტური ბუნებიდან გამომდინარე, ზღაპარი ხშირად გამოიყენება იმ პრობლემების გამოსახატავად, რომელიც საზოგადოებას აწუხებდა მისი შექმნის პროცესში. გენდერული კვლევების პოპულარულობის მატებასთან ერთად, ზღაპარი და მასში წარმოდგენილი გენდერული უთანასწორობისა თუ სტერეოტიპული დამოკიდებულების თემა ასევე ხშირად იპყრობს ლინგვისტების ყურადღებასაც.

ჩატარებული კვლევა-ექსპერიმენტის საკვლევ მიზანს წარმოადგენდა დაედგინა თუ რა დამოკიდებულება აქვს ქართულ და ევროპულ საზოგადოებას ზღაპარში წარმოდგენილი გენდერულ სტერეოტიპებისადმი და არის თუ არა სქესი განმსაზღვრელი ფაქტორი გენდერულად სტერეოტიპულ აზროვნებაში. ექსპერიმენტის მონაწილეებმა, განურჩევლად მათი სქესისა თუ ასაკისა, საზოგადოებაში გავრცელებული მამაკაცური თუ ქალური სტერეოტიპებიდან გამომდინარე, უპასუხეს კითხვებს. დამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ზღაპრებში მთავარი და აქტიური გენდერული როლების გადანაწილების პროცესში უპირატესობა ენიჭება მამაკაცს. ხოლო ქალი იკავებს მეორეხარისხოვან როლს; შესაბამისად, გაანალიზებულ ზღაპრებში ქალების დასახასიათებლად მოხმობილი ლინგვისტური არსენალი მისი უსუსური და სუსტი იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. ასევე

ხშირია ქალის გარეგნულის სილამაზის აღმწერი პორტრეტი, მაშინ როცა მისი შინაგანი ბუნება იგნორირებულია. ასევე გამოვლინდა, რომ, ემოციების შებოჭვა ექსპერიმენტის მონაწილეებისთვის მამაკაცის მახასიათებელია, ხოლო ზედმეტი ემოციურობა – ქალისა.

Lusine Suren Tovmasyan

Armenia, Stefanakert

Armenia State University

Curses in Armenian Fairy Tales

Fairy tales have a common set of peculiarities and structures. They are characterized by the following features: departure from the truth, magnification of things, fanciful overstatement, assertion of incredible in order to arrive at the credible, something beyond reality and boundaries of rational thought. A range of phrases expressing blessing and curse, oath and perjury, protection and betrayal creates unique magical world of the fairy tales. As fairy tales are created predominantly for children the use of positive vocabulary is natural. On the other hand fairy tale is a combination of good and evil, joy and sadness, luck and failure, so the use of negatively coloured expressions is inevitable.

The aim of our report is to introduce the structure, semantics and significance of curses in Armenian fairy tales. Curse is a notable object of study in folklore. It can be defined as a wish that some form of misfortune will befall or attach to someone or something. Its origin goes back to the times of the creation of the world by God: cursing the serpent, the earth, Cain and others. Armenian folklore is highly

rich. It is based on ancient myths about the origin of the gods dated pagan (Hellenistic) era. Fairy tales are an integral part of the Armenian folklore. Basic themes of Armenian fairy tale curses are: turning into something (animal, plant, natural phenomenon), turning into someone (witch, hag), losing something or someone (a precious thing, a loved one, a closed relative), performing unpleasant actions and others.

Archil Tserediani

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Images of the City in Georgian Modernist Novel

A city is rich and fertile soil for realistic and modern novel as well. A city is a space in which humans are against the new challenges and there's beginning the process of alienation between humans and external world. Accordingly it causes the changes and pursuits of person and prompts the new opportunities of individualization. Therefore a city is almost vividly important for novel. It's remarkable that a novel is relatively new phenomenon in Georgian literature.

The Urban text will be considered such a sequence of symbols those which are connected with a city with semiotic symbols. Here-with those elements are extensionally declared as notices. Meantime those elements haven't occasional character rather they're determined and contemplated preliminarily. A city as whole structure of notices bearing fundamental significance in the case of indicated modern text which is opposed to the space beyond it by its nature. A city is a center of the world by those two cases symbolically whilst the alternative space beyond in is on periphery. The opposed pair of center and pe-

riphery is standing by in front of us. The main characters of both novels are rearranging from one space to another. They are using the two patterns of motion. Rather those patterns are mirror- reflected ideas of each other in reality. We have the universal myth of departing and reverting standing by us. Leaving the house – initiation – reverting back in initial point. We can compare with Somersaulted Mirror Principle the covered pattern way by them.

არჩილ წერედანი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

„ქალაქური ტექსტი“ ქართულ მოდერნისტულ რომანში

როგორც რეალისტური ისე, მოდერნისტული რომანისთვის ნოყიერი ნიადაგი ქალაქია. ქალაქი არის სივრცე, რომელიც ადამიანს ახალი გამოწვევების წინაშე იწყება გარე სამყაროსა და ადამიანს შორის გაუცხოების პროცესი. ეს კი იწვევს ცვლილებებს, პიროვნების ძიებებს, ბიძგს აძლევს ინდივიდუალიზაციის ახალ შესაძლებლობას. ამიტომ რომანისთვის ქალაქი თითქმის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ქართულ ლიტერატურაში რომანი შედარებით ახალი მოვლენაა. შეიძლება პარადოქსადაც კი ჩაითვალოს, მაგრამ XIX საუკუნეში, მაშინ როცა რომანი ევროპულ ლიტერატურაში წამყვანი ჟანრი იყო, ამავე პერიოდის ქართულ ლიტერატურაში ქალაქური ტექსტი წამყვან პოზიციებზე ვერ დამკვიდრდა. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს რამდენიმე ტექსტი რომელშიც ქალაქის თემა ფიგურირებს. ნაციონალური საკითხის გააქტიურების ფონზე, ქალაქურმა ტექსტმა ქართული

ლიტერატურის ცენტრში მოქცევა ვერ მოახერხა და პერიფერიულ მიმართულებად დარჩა.

„ქალაქურ ტექსტად“ ჩაითვლება ნიშანთა იმგვარი თანმიმდევრობა, რომელიც სემიოტიკურად უკავშირდებიან ქალაქს, ამასთან, ეს ელემენტები, როგორც შეტყობინებები სივრცულად არიან ფიქსირებულნი. ამავდროულად, მათ არ აქვთ შემთხვევითი ხასიათი, არამედ წინასწარ არიან განსაზღვრულნი და ჩაფიქრებულნი. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მოდერნისტული ტექსტისთვის კი ქალაქი, როგორც შეტყობინებათა ერთიან სტრუქტურა, ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია, რომელიც თავისი ბუნებით უპირისპირდება იმ სივრცეს, რაც მის მიღმა: სიმბოლურად ქალაქი ორივე ტექსტის შემთხვევაში სამყაროს ცენტრია, ხოლო ალტერნატიული სივრცე მის მიღმა – პერიფერიაზეა. ჩვენ წინაშეა ცენტრისა და პერიფერიის ოპოზიციური წყვილი. ორივე რომანის მთავარი გმირები გადაადგილდებიან ერთი სივრციდან მეორეში. ისინი მოძრაობის ორ მოდელს იყენებენ, მაგრამ ეს მოდელები სინამდვილეში ერთმანეთის სარკული ანარეკლია. ჩვენს წინაშეა წასვლის და უკან დაბრუნების უნივერსალური მითია. სახლიდან გასვლა – ინიციაცია – უკან საწყის წერტილში დაბრუნება. ეს მოგზაურობის უნივერსალური მოდელია. თუმცა, გამოცდილება სხვადასხვაა აღნიშნული ორი პერსონაჟისთვის. მათ მიერ განვლილი გზის მოდელი „ამოტრიალებული სარკის პრინციპს“ შეგვიძლია შევადაროთ.

Maia Tsertsvadze

Georgia, Tbilisi

Georgian Technical University

The Profile of Vakhtang Kotetishvili According to the Book “My Life” by Vakhushti Kotetishvili

Vakhtang Kotetishvili, a victim of the Bolshevik repressions of the 1930s, stands out in the history of Georgian culture as a literary and art critic, essayist, folklorist, historian, sociologist, teacher, artist, a scholar of the European and renaissance scope with a unique manner of poetic thinking and style.

Kotetishvili successfully combined scientific, creative and pedagogical activities. He was the Deputy Chairman of the Writers Union, the Chairman of the Artists Union, the Editor of the Newspaper “The Georgian Speech”, a member of the editorial board of the magazine “The Caucasus”.

Vakhtang Kotetishvili contributed to the establishment of Georgian folklore studies and folklore centres; he founded folk scientific expeditions, published the first volume of “Folk Poetry” and delivered a course on Georgian folklore at Tbilisi State University.

In 2019, Bakur Sulakauri Publishing House published the book “My Life”, the text of the memoir genre, authored by Kotetishvili’s son, literary critic, folklorist, Iranist, translator and poet Vakhushti Kotetishvili.

The memoirs, addressed to the author’s elder sister Leila, present the Kotetishvili family’s chronicle, but, as rightly stated in its preface, the book does not fit into the frames of the genre. The details of this work, as is frequently the case with great literature, functionally precede and exceed the facts, given in the main body of the text. (Shukia Afridonidze).

The tragic adventures of a family and its immediate ancestors unfold against the background of an unfortunate epoch. It is only natural that a special place is allotted to the episodes from Vakhtang Kotetishvili's life. The author sculpts the monolithic personality of his father with his usual artistic mastery, employs rich Georgian vocabulary and phraseology and, in this way, outlines his unique profile.

The paper presented at the symposium is dedicated to the events from Vakhtang Kotetishvili's life and work as described in the book "My World".

მაია ცერცვაძე

საქართველო, თბილისი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვახტანგ კოტეტიშვილის პროფილი ვახუშტი კოტეტიშვილის წიგნის „ჩემი წუთისოფელი“ მიხედვით

ვახტანგ კოტეტიშვილი იმ მოღვაწეთა რიცხვს განეკუთვნება, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლშევიკურმა რეპრესიებმა რომ შეიწირა. ქართული კულტურის ისტორიაში იგი სრულიად განცალკევებულად დგას – ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ესეისტი, ფოლკლორისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგი, ფერმწერი, მოქანდაკე, ევროპული, რენესანსული ყაიდის, ფართო დიაპაზონის მეცნიერი და შემოქმედი, გამორჩეული ლაღი, პოეტური აზროვნების მანერითა და ხელწერით.

ნაყოფიერ სამეცნიერო, შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას ვახტანგ კოტეტიშვილი წარმატებით უთავსებდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ აქტივობასაც: იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მხატვართა კავშირის

თავმჯდომარე, გაზეთ „ქართული სიტყვის“ რედაქტორი, ჟურნალ „კავკასიონის“ რედკოლეგიის წევრი...

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ვახტანგ კოტეტიშვილს ქართული ფოლკლორისტიკისა და ფოლკლორული კერების დაარსებაში: მან საფუძველი ჩაუყარა ფოლკლორულ სამეცნიერო ექსპედიციებს, გამოსცა „ხალხური პოეზიის“ პირველი ტომი, კითხულობდა ქართული ფოლკლორის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში...

2019 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ გამოსცა წიგნი „ჩემი წუთისოფელი“, მემუარული ჟანრის ტექსტი, რომლის ავტორია ვახტანგ კოტეტიშვილის ვაჟი, ლიტერატურათმცოდნე, ფოლკლორისტი, ირანისტი, მთარგმნელი და პოეტი ვახუშტი კოტეტიშვილი.

მემუარები, რომლის მიძღვნის ადრესატია ავტორის უფროსი გამზრდელი და ლეილა, კოტეტიშვილთა საოჯახო ქრონიკას წარმოადგენს, თუმცა, როგორც მართებულად აღნიშნულია მის წინასიტყვაობაში, „იგი ჟანრის ჩარჩოებს ვერ ირგებს და არც ითხოვს. ამ ნაწარმოების დეტალები, როგორც ეს დიდ ლიტერატურას სჩვევია, ყოველთვის არ დეტალობს და ფუნქციურად უსწრებს და აჭარბებს თვით ფაქტებს – ტექსტის ძირითად სხეულს“ (შუქია აფრიდონიძე).

წიგნში, სადაც ოჯახისა და უშუალო წინაპრების ტრაგიკული თავგადასავალი ავბედითი ეპოქის ფონზეა მოთხრობილი, ბუნებრივია, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მამას, მისი ცხოვრების ეპიზოდებს. ავტორი ჩვეული მხატვრული ოსტატობით, მსუყე ქართულ ლექსიკითა და ფრაზეოლოგიით ძერწავს ვახტანგ კოტეტიშვილის მონოლითურ პიროვნებას და გამოკვეთს მის უნიკალურ პროფილს.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენება ეძღვნება ვახტანგ კოტეტიშვილის ცხოვრებისა და ღვაწლის წარმოჩენის თავისებურებებს წიგნის „ჩემი წუთისოფელი“ ფურცლებზე.

Zoia Tskhadaia

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Myth and Reality

(According to two poems by Giorgi Leonidze)

For a dozen years, in Georgian scholarly criticism and literary studies Giorgi Leonidze's poetic texts ("Don't worry, Mother," and "Homeless, where are you?") have been regarded as lyrical masterpieces created on the theme of World War II (known by the former Soviet Union as the Great Patriotic War). This assessment still remains unchanged, and the poems will definitely share the same fate as Georgian folk heroic ballads in the nation's memory. The poem "Don't worry, Mother" has a special inspiration. As Giorgi Leonidze recalls, in November 1943 he visited the grave of a Georgian soldier named Levan on the Taman Peninsula. The brutality of the war, the ruthless reality itself called forth emotional impressions for creation of poetic narrative of life and death, but the most important thing for Giorgi Leonidze appeared to have been the name of an unknown Georgian soldier "Levan": as is known, the poet's brother, Levan Leonidze, a well-known scientist, became a victim of 1937 repressions (the materials of the archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia contain scarce information about him).

The relatives of those unjustly punished by the totalitarian regime had the only right to remain silent. For the poet, the name of the Unknown Soldier turned out to be a means of expressing the bitterness of his own tragedy. In his imagination two heartbreaking stories intertwined – of his tormented brother and the unknown Levan. This fact determined the authenticity of the text. This poetic monologue is

created against the background of this emotional impact. The artistic images of “a smiling boy”, “an eagle painted on his shoulder” are symbolic signs of youth, growing into manhood, freedom ... These artistic images so impressively merge with the whole context as folk heroic adventure masterpieces (also arouses in the reader an association with “Khogai Minda” in the reader, in terms of metrics too)

The poem “Homeless, where are you?” expresses the author’s intention in the form of an appeal to the addressee. The subjective here also influenced the emotional quality of the poetic narrative. Giorgi Leonidze announced this only in a narrow circle of relatives, at the end of his life: I devoted the ballads about those who did not return home to the memory of my tortured brother – Levan. So these two tragic realities turned out to be a common myth and a common tragedy.

ზოია ცხადაია

საქართველო, თბილისი

მთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მითი და სინამდვილე (გიორგი ლეონიძის ორი ლექსის შესახებ)

ათეული წლების განმავლობაში ქართულ სამეცნიერო კრიტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში საგანგებოდ აღნიშნავდნენ გიორგი ლეონიძის პოეტური ტექსტების შესახებ („არ დაიდარდო, დედაო“ და „შინმოუსვლელო, სადა ხარ?“), როგორც მეორე მსოფლიო ომის თემაზე (საბჭოთა კავშირის ისტორიისათვის – დიდი სამამულო ომი) შექმნილ ლირიკულ შედეგებზე. ეს შეფასება დღემდე უცვლელია და, ეჭვგარეშეა, რომ ისინი მომავალშიც იმ ხვედრს გაიზიარებენ, ქართულ

ხალხურ საგმირო ბალადებს რომ რგებიათ ერის მეხსიერებაში. განსაკუთრებული ინსპირაცია აქვს ლექსს „არ დაიდარდო, დედაო“. როგორც გიორგი ლეონიძე იხსენებს, 1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე მან მოინახულა საფლავი ქართველი მეომრისა, რომელსაც ლევანი რქმეოდა. ომის სისასტიკე, უღმობელი რეალობა თავისთავად ემოციურ იმპრესიონებს აღძრავს სიკვდილ-სიცოცხლის პოეტური ნარატივისათვის, მაგრამ უცნობი ჯარისკაცის სახელი „ლევანი“ უმთავრესი აღმოჩნდა გიორგი ლეონიძისათვის: მისი ძმა, ლევან ლეონიძე, ცნობილი მეცნიერი, 1937 წლის რეპრესიებმა შეიწირა (სშსს არქივის მასალებში შემორჩენილია მწირი ინფორმაცია მის შესახებ).

ტოტალიტარულ სახელმწიფოში უსამართლოდ დასჯილთა ახლობლებს მხოლოდ დუმილის უფლება ჰქონდათ. უცნობი მეომრის სახელი კი პოეტისთვის საკუთარი ტრაგედიის ამოთქმის საშუალებად იქცა. მის წარმოსახვაში ერთმანეთს გადაეყარა ორი სულისშემძვრელი ისტორია – თავისი წამებული ძმისა და უცხო ლევანისა. სწორედ ამან განაპირობა ტექსტის ავთენტურობა. ამ ემოციური ზემოქმედების ფონზეა შექმნილი ეს პოეტური მონოლოგი. მხატვრული სახეები: „ღიმილის ბიჭი“, „ბეჭზე არწივი მეხატა“ – სიმბოლური ნიშანია სიჭაბუკისა, ვაჟკაცობისა, თავისუფლებისა... ეს მხატვრული სახეები მთლიან კონტექსტს ისე შთამბეჭქდავად ერწყმიან, როგორც ხალხურ საგმირო-სათავგადასავლო შედეგებში („ხოგაის მინდის“ ასოციაციასაც აღძრავს მკითხველში, მეტრიკის თვალსაზრისითაც)...

ლექსი „შინ მოუსვლელი, სადა ხარ?“ ადრესატისადმი მიმართვის ფორმით გამოხატავს ავტორის სათქმელს. აქაც სუბიექტურმა იმოქმედა პოეტური ნარატივის ემოციურ ხარისხზე. გიორგი ლეონიძეს მხოლოდ ახლობელთა ვიწრო

წრეში, ისიც სიცოცხლის ბოლოს, გამოუცხადებია ამის შესახებ: შინამოუსვლელთა ბალადები ჩემი წამებული ძმის – ლევანის ხსოვნას მივუძღვენით. ასე იქცა ეს ორი ტრაგიკული რეალობა საერთო მითად, საერთო ტრაგედიად.

Bela Tsipuria

Georgia, Tbilisi

Ilia State University

Ideologisation of Folklore, or “The Image of Stalin in Georgian Folk Poetry”

Utilization of folk tradition is one of the political lever for the ideologization of arts in the Stalinist totalitarian state. The art is ordered to be “national in form, socialist in content”. Formal qualities of folk poetry, song or dance are used to veil the Soviet content, as the ideological messages have to be indoctrinated into the mass consciousness. This can be analyzed as a reverse mimicry/camouflage – a certain variation of this postcolonial concept. In this case the discourse of colonizer mimics the discourse of colonized in order to gain a power over them.

In the 1930s, Sovietization/ideologisation of Georgian literature was the process personally controlled and coordinated by the leader of the Georgian SSR, Lavrenty Beria. Panegyric becomes a dominant genre of Georgian poetry, which seems to be obsessed with herosation and mythologisation of Stalin. For some years, the poetry collections, containing poems dedicated to Stalin by most prominent Georgian poets are published annually. In 1937 the poetry book *Georgian Songs and Poems on Stalin* appears. One part of the book contains folk poems

and songs. Poems praising Lenin and Stalin are developed in the form of folk poetry, and published in academic formatting. Distinguished Georgian scholars, including V. Kotetishvili and S. Makalatia, are indicated as the collectors of poems. In 1949 is published the work by folklorist M. Chikovani *Stalin in Georgian Folk Poetry*.

Thus, we can see that the process of utilisation of folklore goes further. Folk poems are not only collected, but, maybe, ordered, or even faked. Ideological goals are achieved and poetic technique is used to corrupt or even simulate oral poetic forms. These texts can be discussed as an examples of politically generated folklore.

ბელა წიფურია

საქართველო, თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფოლკლორის იდეოლოგიზაცია, ანუ „სტალინის სახე ქართულ ფოლკლორში“

ფოლკლორული ტრადიციის უტილიზაცია სტალინურ ტოტალიტარულ სახელმწიფოში ხელოვნების იდეოლოგიზაციის ერთ-ერთი ბერკეტია. იქმნება „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური“ ხელოვნება, ხალხური ლექსის, სიმღერის, ცეკვის ფორმალური მახასიათებლები გამოიყენება საბჭოური შინაარსის შესანიღბად, მასობრივ აღქმაში საბჭოური გზავნილების უკეთ დასამკვიდრებლად. ეს შეიძლება განვიხილოთ როგორც შებრუნებული მიმიკრია/კამუფლიაჟი, ამ პოსტკოლონიური ცნების ერთგვარი ვარიაცია, როცა კოლონიზატორის დისკურსი ითავისებს დაქვემდებარებულის დისკურსის ნიშნებს (და არა პირიქით), მასზე გავლენის მოსაპოვებლად.

1930-იან წლებში ქართული ლიტერატურის „საბჭოურ რელსებზე გადაყვანა“ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველი პირის, ლავრენტი ბერიას უშუალო კონტროლით ხორციელდება. ქართული პოეზიის დომინანტური ჟანრი ხდება პანეგირიკი, ხდება სტალინის სახის მითოლოგიზაცია და ჰეროიზაცია, ქართული ფოლკლორული გამომსახველობის გამოყენებით. სტალინის სახოტბო ლექსების კრებულები თანმიმდევრულად გამოიცემა და ყველაზე ცნობილი ქართველი პოეტების ნაწარმოებებს მოიცავს. 1937 წელს გამოცემულ კრებულში „ქართული სიმღერები და ლექსები სტალინზე“ ცალკე თავად შედის ხალხური ლექსები და სიმღერები. სტალინისა და ლენინის საქებარი ლექსები შეთხზულია ხალხური პოეზიის ფორმით და, მეტი დამაჯერებლობისთვის, შემოთავაზებულია შესაბამისი აკადემიური ფორმატი: მითითებულია მთქმელი, მთქმელის წარმომავლობა (საქართველოს სხვადასხვა კუთხე), ჩამწერი. ჩამწერთა შორის არიან ვ. კოტეტიშვილი, ს. მაკალათია. 1949 წელს კი ქვეყნდება მ. ჩიქოვანის ნაშრომი „სტალინი ქართულ ხალხურ პოეზიაში“.

ამდენად, საქართველოში ფოლკლორის უტილიზაციის პროცესი კიდევ უფრო შორს მიდის, იდეოლოგიური მიზნით ხდება საბჭოურ თემატიკაზე ფოლკლორული ტექსტების შექმნის სტიმულირებაც და, როგორც ჩანს, დაკვეთაც ან, სულაც, იმიტაციაც. იდეოლოგიური მიზნებით და ლიტერატურული ხერხებით ხდება შემოქმედებითი ტრადიციის კომპრომეტაცია და/ან ნაცნობი ფორმების სიმულაცია. ამგვარი ტექსტები შეიძლება მივიჩნიოთ პოლიტიკურად გენერირებული ფოლკლორის ნიმუშებად.

Kevin Tuite

Canada, Montreal

Universite de Montreal

**Representations of George and his Female Counterpart
in Caucasus Vernacular Religion and Folklore**

The original narrative of St George, the princess and the dragon drew upon the conventions of eastern Christian hagiography, and early forms of chivalrous romance. But key elements of the miracle story can be traced to vernacular antecedents. Of particular interest is the role of the princess. Initially, she is yet another sacrificial offering passively awaiting her fate. But after George subdues the dragon, he asks her to lead it into the city, using a leash made from her belt. The princess's role thus shifts from potential victim to co-participant in the victory over the dragon, albeit in a subordinate function to George. The motif of the maiden as "junior partner" of the saint has precedents in the oral literatures of the Caucasus, as I will attempt to demonstrate in my presentation.

Marine Turashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Some Issues of Digitalization and Systematization of the Visual
Materials of Folklore Archive**

From the beginning of the current century an academic field concerns with the application of computational tools and method to traditional humanities disciplines. One of the directions of Digital Humanities (DH) is digitalization of the old recordings. It must be no-

ted that the new technological method was implanted in Georgia at the end of the past century, namely, in the archival field.

In study of folklore the use of the method of Digital Humanities (DH) made possible retrodigitalization and systematization of the folklore archive materials according to 5 main physical indicators: 1. Manuscripts; 2. Audio recordings; 3. Film and photo negatives and positives. 4. Photographs; 5. Digital audio-video-photo materials. Hence the archive materials from one hand are widely accessible and on the other hand they are protected from physical destroying.

A new stage in the fieldwork and archivization of the Georgian folk materials started in the 90s of the past century with the financial support of the Foundation “Open Society– Georgia”. In 1996 the Archive started the project “Computer Documentation of the Folklore Archive Materials” (supervisor of the project E. Dadunashvili) that was followed by 2 projects: “Electronic Digitalization of Petre Umikashvili (XIX) Manuscript Collection (2009-2010) and “Accessibility of the Audio Materials Kept in the Folklore Archive by Means of Digitalization (2013– 2015) with the financial support of Shota Rustaveli National Scientific Foundation.

So the Folklore Archive of Shota Rustaveli Institute fully responds the modern demands of Digital Humanities.

მარინე ტურაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

საარქივო ფოლკლორული მასალების დიგიტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის ზოგიერთი საკითხი

XXI საუკუნეში ჰუმანიტარული მეცნიერება უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებით დოკუმენტირებულ და არქივირებულ ინტერდისციპლინურ კვლევით რესურსებს ეფუძნე-

ბა. დიგიტალური ჰუმანიტარიის ერთ-ერთი მიმართულებაა კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ, ძველი ჩანაწერების ციფრული დოკუმენტირება.

საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ დიგიტალური ჰუმანიტარული მეთოდების დანერგვის პირობებში არც საქართველო აღმოჩნდა პასიური, რადგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოდან ჩვენს ქვეყანაში დაიწყო საარქივო მასალების დიგიტალიზაცია და ელექტრონული სიტემატიზაცია.

ქართულ ფოლკლორისტიკაში მაღალტექნოლოგიური ელექტრონული რესურსების განვითარების კვალდაკვალ დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდების დანერგვამ შესაძლებელი გახადა არქივში დაცული მასალების თანმიმდევრული რეტროდიგიტალიზაცია და ელექტრონული სისტემატიზაცია. ზოგადად კი, საარქივო ფოლკლორული მასალები ფიზიკური მატარებლების მიხედვით ხუთ ძირითად მასივად იყოფა: 1. ხელნაწერები; 2. ფონოფირები; 3. კინო-ფოტო ნეგატივები და პოზიტივები; 4. ფოტოები და 5. დიგიტალური აუდიო-ვიდეო-ფოტო მასალები.

აღნიშნული ეპოქის სიკეთე მოცემულ მასალასთან მიმართებაში იმ მხრივაცაა დასაფასებელი, რომ იგი არა მარტო უზრუნველყოფს მასალის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ უზენებელყოფს მისი ფიზიკური განადგურების საფრთხესაც.

ახალი ეტაპი ქართული ფოლკლორის საველე-შემკრებლობით პრაქტიკასა და მასალის არქივიზაციის საქმეში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება. ფონდის **„ღია საზოგადოება – საქართველო“** ფინანსური მხარდაჭერით არქივმა პროფ. ელგუჯა დადუნაშვილის ხელმძღვანელობით 1996 წელს დაიწყო პროექტის – **„ფოლკლორული მასალების კომპიუტერული დოკუმენტაცია“** – განხორციელება, რომელ-

საც ეტაპობრივად მოჰყვა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ორი დიდი პროექტი: „პეტრე უმიკაშვილის ხელნაწერთა კოლექციის (XIX ს.) ელექტრონული დამუშავება“ (2009-2010 წწ.) და „ფოლკლორის არქივში დაცული ფონოჩანაწერების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დიגיტალიზაციისა და ელექტრონული სისტემატიზაციის გზით“ (2013-2015 წწ.).

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი ბოლო სამი ათეული წელია უზრუნველყოფს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეტროდიგიტალიზაცია-სისტემატიზაციით ფართო ხელმისაწვდომობასა და მის დაცვას, რაც სრულად პასუხობს თანამედროვე სამეცნიერო და კულტურულ მოთხოვნებს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე.

Svitlana Yevtushenko

Ukraine, Kiev

Borys Grinchenko Kiev University

Interpretation of the „Past“ in the Texts of Postcolonial

Authors

The modern image of the past appears either as a „reconstruction“, or as a „construction» of historiography, or as a „history of interpretation“ of events (Paul Ricœur). This is not the „real“ past, because the «reconstruction» of history always takes place in „according to the circumstances of their culture». For example, Larry Wolff argues that «inventing Eastern Europe was a project of philosophical and geographical synthesis carried out by the men and women of the Enlightenment“ (Larry Wolff „Inventing Eastern Eu-

rope: The Map of Civilisation on the Mind of Enlightenment“). The „reconstruction“ of history in postcolonial states is due to the need to form a national identity and the need to solve domestic and foreign policy problems. Thus, V. Malakhov compared the post-Soviet reality with the Klondike of the gold rush, because the construction of new narratives is combined with „completely fresh“ scars from historical gaps. Postcolonial authors constantly recall and „prescribe“ the past in their texts. They seek to fill historical gaps and restore historical justice. The heroes of S. Rushdie’s novels are chained to history, as in the case of Selim Sinai, whose fate „linked with the fate“ of the country for three decades. The author focuses on descriptions of biographies of characters doomed to „share the fate of India“. S. Rushdie explains the restless interest in history by the forgetfulness of the Indian nation and the desire to preserve memory from the „destructive effects of time“.

Ulker Yusifofa

Baku, Azerbaijan

Azerbaijani National Academy of Sciences Folklore Institute Ph.D student

Horror Images in Azerbaijani and Turkish Tales

Tales are one of the oldest folklore genres that skillfully manipulate the fantasy power of ancient people. This article explores fears, frightening images in the tales of Azerbaijani and Anatolian Turks, and parallels between the fairy tales of both countries. At the end of the fairy tales, the victory over the black forces (most of the peoples of the world, as well as in the Turkic peoples, is usually used “black” to express negative details, characters) is based on the idea of victory over bad, since the initial creation.

During the research, we come up with some fearsome elements and need to group them as follows:

- The owners of *chthonic* places – there are more evil forces, underground spirits, and negative monogamous or homogeneous, sometimes semi-human, semi-animal who live in an underground world. (The tale with the same plot in the Turks “The younger son of the Sultan” and “Melikmammed” tale in Azerbaijan, “Brave Yusuf” are analyzed).

- The dark, scary forest covered with dense trees or dark place (“Jirtan” fairy tale)

- Horrible sleep

- Horrified animals (snakes, lions or dragons) – In fairy tales, these animals are more negative. But it does not mean that these animals are negative characters in all fairy tales. For the sake of the example, the snake is one of the auxiliary forces in most Azerbaijani and Turkish tales. But there was not any positive dragon image among 500 tales we have investigated.

- The horrible voice coming out of the stream (buzzing, screaming, horrible animal sounds). This motif is found in subjects that pass through the tales of many other nations of the world.

In the article, along with Azerbaijani tales such as “Poor Men and Eagle”, “Three Brothers”, “Snake and Girl”, “Seven Mountain Apples”, Turkish fairy tales – “Brave Yusuf”, “Giant and Three Brothers” are involved into an object of analysis.

Nino Vakhania

Georgia, Tbilisi

Sokhumi State University

At the Sources of Georgian Literary Tale

Famous Georgian figure, one of the representatives of Georgian romanticism – poet, playwright, publicist and memoirist, prosaist-documentation officer, political and public figure, national hero – one of the leaders of conspiracy taken place in 1832 brought particular merit to the development of the 19th century's Georgian culture, history and public mind Alexander Orbeliani (1802-1969), for the first time in his writing appeared literary tale.

Literary tale mostly is like folk tale. The issue focused in literary tale is to be similarly important for entire society.

Alexander Orbeliani's "Tale of Satan, or Night of Witches" is formal tale. As it seems the basis of it is spread myth about witches. Alexander Orbeliani applied tale for preaching morality and dissemination of national self-consciousness.

It is to be noted that Orbeliani's "Tale of Satan, or Night of Witches" chronologically was written before Akaki Tsereteli's story "Devils" and his tales. Fairy-tale character is mentioned also in other writings of romanticist, namely in the play "Kind Old Man". Alexander Orbeliani paid great attention to folklore. A lot of folk stories are reflected in his literary heritage.

So called nonsocial type is known in the world literature and obviously even in Georgian literature. There is a diverse literary gallery of persons not included within unworldly frames, each of them are noteworthy and important. Such character types make us recall fool characters of folk tales disparaged by everybody, who finally appear to

be right in everything and sharp-sighted than others. With regard to aforesaid is interesting a small belletristic literature written by Alexander Orbeliani – “Mad Aghalua”. Nobody believes to mad gifted with the ability to foreshow the future upon reality of audacious images of future, until life itself does not state reality of beggar’s predictions.

ნინო ვახანია

საქართველო, თბილისი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ლიტერატურული ზღაპრის სათავეებთან

XIX საუკუნის ქართული კულტურის, ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ცნობილ ქართველ მოღვაწეს, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ წარმომადგენელს – პოეტს, დრამატურგს, პუბლიცისტსა და მემუარისტს, პროზაიკოს-დოკუმენტალისტს, პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს, ეროვნულ გმირს – 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთ მეთაურს ალექსანდრე ორბელიანს (1802-1969).

მის შემოქმედებაში ჩნდება პირველად ლიტერატურული ზღაპარი.

ლიტერატურული ზღაპარი ბევრწილად ჰგავს ხალხურ ზღაპარს. საკითხი, რომელიც ფოკუსირებულია ლიტერატურულ ზღაპარში, ერთნაირად მნიშვნელოვანი და საინტერესო უნდა იყოს მთელი საზოგადოებისთვის.

ალექსანდრე ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების დამე“ ფორმით ზღაპარია. საფუძვლად, როგორც ჩანს, უდევს გავრცელებული მითი კუდიანი ჯადოქრების შესახებ. ალექსანდრე ორბელიანი კი ზღაპარს იყენებს ზნე-

ობრიობის საქადაგებლად და ეროვნული თვითშეგნების გასაღვივებლად.

საყურადღებოა, რომ ორბელიანის „არაკი ტარტაროზისა ანუ კუდიანების ღამე“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს აკაკი წერეთლის მოთხრობას „ემმაკები“ და მისსავე ზღაპრებს. ზღაპრული პერსონაჟი, კერძოდ, მოხეტიალე დევრიში, გვხვდება რომანტიკოსი მწერლის სხვა ანაწარმოებშიც, კერძოდ – პიესაში „კეთილი ბერიკაცი“. საერთოდ, ალექსანდრე ორბელიანი დიდ ყურადღებას აქცევდა ფოლკლორს. მის შემოქმედებაში ასახულია ხალხში გაგონილი არაერთი ამბავი.

მსოფლიო ლიტერატურამ და, ცხადია, ქართულმაც, იცის პერსონაჟად, ასე ვთქვათ, ასოციალური ტიპი. არაამქვეყნიური, ნორმის (ნორმალურობის) ჩარჩოებში ვერჩატეულ პირთა ლიტერატურული გალერეა მრავალფეროვანია, ყოველი მათგანი კი – გამორჩეული და საყურადღებო. როგორც წესი, ასეთ პერსონაჟებს ჰყავთ ხოლმე პროტოტიპები (რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება მწერლის ფანტაზიით შექმნილნი). მსგავსი ტიპაჟები ერთგვარად გვაგონებენ ხალხური ზღაპრების სულელ, ყველასაგან აგდებულ პერსონაჟებს, რომელნიც ბოლოს ყველაფერში მართალნი და სხვაზე გამჭრიახნი აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ალექსანდრე ორბელიანის მცირე ბელეტრისტული ჩანაწერი – „გიჟი ალალა“. წინასწარჭვრეტის უნარით დაჯილდოებულ გიჟს არავინ უჯერებს მომავლის წარმოუდგენლად თამამი სურათების ნამდვილობას, სანამ ცხოვრება თავად არ დაადასტურებს ღვთის გლახის პროგნოზების რეალურობას.

Nvard Vardanyan

Armenia, Yerevan

Associate Professor in Yerevan State University

The Symbolic Meaning of the Apple in Armenian Folklore – in Fairy Tales and Wedding Songs

The symbol of the apple has a special role in the Armenian folk thinking. It is perceived as a universal symbol of health, youth, love and fertility, the semantics of which has especially rich manifestations in Armenian folk tales and wedding songs.

In the fairy tale, the apple is associated with stable motives. Children and animals born from supernatural apples usually have supernatural characteristics. An apple is an immortal fruit that should serve as a medicine for a sick king. It is noteworthy that the three apples are also mentioned in the most common formula of ending in Armenian fairy tales: “Three apples fell from heaven...”.

The semantics of the apple as a symbol of love and fertility is most evident in wedding ritual and songs. The central symbol of the wedding, the wedding tree, was decorated like an apple tree. Lovers give each other apples, sent red apples to the wedding guests, just as the red apple served as a sign of virginity the day after the wedding. These perceptions are also evident in wedding songs, especially in the hymns, where the bride and groom and other participants of the ritual are presented as apples grown on the tree.

The discussion of these and other issues in the article will be done by revealing the mythical meaning of the apple, as well as by examining the international parallels.

Eka Vardoshvili

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

For Folkloric Basis of Ilia Chavchavadze’s “Hermit”

In the second half of the 19th century Ilia Chavchavadze was the inspirer for collecting, study and distribution of folkloric material. Thus, his literary and publicist thoughts are characterized by traces of the folk art. His “Hermit” is no exception in this regard.

K. Abashidze related it with works such as “La Faute de l’Abbé Mouret” of Zola, “Temptation of Saint Anthony” of G. Flaubert, “The Novice” of Lermontov. We think “Hermit” of A. Tsereteli and “The Old Tramp” of Pierre-Jean de Béranger belong to such works.

It is generally known that Ilia wrote “Hermit” in 1882-1883. In 1883 it was published complete in “Iveria”. However, during working he changed the title three times and finally named it “Hermit” – Legend. With this subtitle Ilia points out that the basis of the poem is to be sought in folklore and folkloric sources and not in European literature. However, we think that Western European literature may be a source of some impetus.

It’s beyond doubt that Ilia Chavchavadze knew about the information of Prince Ioane of Georgia and Vakhushti of Kartli about Bethlehem. There are three versions about a hermit in Bethlehem cave recorded in Khevi and published by S. Makalatia. In the opinion of M. Chikovani, there is some conformity between narrations of Mokhevis and Ilia’s poem.

According to K. Kekelidze, this plot has been transferred from folklore to the literature, which is not shared by the most of researchers.

V. Itonishvili points out that “Ilia has not used any of the published texts of the named folk version. On the one side, Ilia should have used the information of Prince Ioane of Georgia and Vakhushti of Kartli, and on the other side, the legend attested by him among people” (Itonishvili).

It is noteworthy that Ilia had a close contact with Khevi. The folkloric legend of Khevi became the basis for a difficult poem, such as “Hermit”.

ეკავარდოშვილი

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ფოლკლორული საფუძვლებისათვის

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ფოლკლორული მასალის შეკრების, შესწავლისა და გავრცელების სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე იყო. ამდენად, მისი როგორც ლიტერატურული, ასევე პუბლიცისტული ნააზრევისათვის დამახასიათებელია ხალხური შემოქმედების კვალი. გამონაკლისს, ამ მხრივ, არც მისი „განდეგილი“ წარმოადგენს.

ჯერ კიდევ კ. აბაშიძემ იგი დაუკავშირა ისეთ ნაწარმოებებს, როგორცაა: ე. ზოლას „აბატი მურეს შეცოდება“, გ. ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელი“, ლერმონტოვის „მწირი“. ვფიქრობთ, ასეთ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნებიან ასევე ა.წერეთლის „განდეგილი“ და პიერ-ჟან ბერანჟეს „განდეგილი“.

საზოგადოდ ცნობილია, რომ ილია „განდეგილს“ 1882-1883 წლებში წერდა. 1883 წელს მან „ივერიაში“ დაბეჭდა პოემა დასრულებული სახით. თუმცა, მუშაობის პროცესში სამჯერ

შეუცვალა მას სათაური და საბოლოოდ უწოდა „განდეგილი“ – ლეგენდა. ქვესათაურით ილია მიგვანიშნებს, რომ პოემის საფუძველი ხალხურ ზეპირსიტყვიერებასა და ფოლკლორულ წყაროებშია საძიებელი და არა ევროპულ ლიტერატურაში, თუმცა, ვფიქრობთ, რომ დასავლეთ ევროპული ლიტერატურა შეიძლება იყოს გარკვეული ბიძგის მიმცემი.

ექვვარეშეა, ილია ჭავჭავაძე იცნობდა ვახუშტი და იოანე ბატონიშვილების ცნობებს ბეთლემის შესახებ. არსებობს ს.მაკალათიას მიერ ხევში ჩაწერილი და გამოქვეყნებული სამი ვარიანტი ბეთლემის გამოქვაბულში შეხიზნულ მეუღლებზე. მ. ჩიქოვანის აზრით, არსებობს გარკვეული თახვედრა მოხვევურ გადმოცემებსა და ილიას პოემას შორის.

კ. კეკელიძის ვარაუდით, ფოლკლორში ეს სიუჟეტი ლიტერატურიდან არის გადასული, რაც მკვლევართა დიდი ნაწილის მიერ არ არის გაზიარებული.

ვ. ითონიშვილი აღნიშნავს, „რომ ილიას არც ერთი დასახელებული ხალხური ვარიანტის გამოქვეყნებული ტექსტით არ უსარგებლნია. ილიას უნდა ესარგებლნა, ერთი მხრივ, ვახუშტი და იოანე ბატონიშვილის ცნობებით, ხოლო მეორე მხრივ, თავის მიერ ხალხში დამოწმებული თქმულებებით“.

აღსანიშნავია, რომ ილიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხევთან. ხევში არსებული ხალხური ლეგენდა კი გახდა საფუძველი მისი ისეთი რთული პოემისა, როგორცაა „განდეგილი“.

Jennifer Wallace

UK, Cambridge

University of Cambridge, The United Kingdom

Mythopoeia, Mythographia and Revolutionary Romanticism

Mythology, in the form of the renewal of interest in ancient, folkloric beliefs and the reinvigoration of religious approaches to the natural world, played a vital role in the pan-European and American Romantic movement of the late eighteenth to early-mid nineteenth centuries. The need to replace religious belief, which had been dented by the Enlightenment, with new forms of enchantment, whether that be classical, poetic or millenarian, resulted in what M.H. Abrams famously identified as the “natural supernaturalism” of the era. But while the period witnessed the intense yearning to revive ancient mythology, this was simultaneously coupled with a realisation that the past could never be regained. Modernity with its increasing industrialisation, imperial conquests and emphasis upon scientific rationalism, seemed to prevent a return to mythological beliefs, even while it made such a return all the more desirable. Reflection on this paradox was both a catalyst for mythological revival and yet, at the same time, an impediment. Poetry could lead one to Arcadia but also illuminate the fact that one was condemned to go no further than the threshold. This paradox can be seen in the ongoing debate throughout the period between the mythographic tradition and the mythopoeic one. In other words, it can be located in the similarities or distinctions between writing *about* myth and the writing *of* myth or indeed *mythmaking*. My lecture reflects on these distinctions and argues that modern approaches to myth are essentially determined by these Romantic revolutionary ideas.

Elisabed Zardiashvili

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

**Akaki's Fairytale "Ghamura" as an Instrument
of National-Political Struggle**

Akaki Tsereteli enriched his genre-diverse creative works also with numerous literary tales. In 1875, the poet published his fairytale "Ghamura" (The Bat) in the journal "Droeba" (№66). The poet soon became dissatisfied with the prose version of the work, and in 1880 he versified it into the verse.

"Ghamura" gained great popularity but in a short time the censorship realized that sharp social and national-political issues were hidden beyond the content of this seemingly harmless fairytale and not only publication but even its reading in public was forbidden.

By this fairytale, Akaki rebels against Russification policy of the Tsarist regime. After the country's annexation, Georgia faced very period: autocephaly was abolished, the Georgian liturgy was suppressed, the number of schools was reduced and the Georgian Theological Seminary was closed. Even in the remained schools, the teaching of the Georgian language was restricted and in 1873, 1875, 1880-90, by a decision of the Holy Synod of the Russian Orthodox Church, the Georgian language was completely excluded from the theological seminaries and the system of public education. All this served the purpose of rapid assimilation of Georgia with Russia. Akaki, in his fairy tale "Ghamura" strongly opposes the aforementioned anti-national decision. There is also an opinion that in this verse tale the poet criticized Ivane Mukhranbatoni, an author of the brochure who unambiguously states the necessity of assimilation of smaller nations with larger nations.

In an allegorical form Akaki severely castigated all those who betrayed national interests and bitterly cursed those who neglected native language: “Shame on him who would deny his mother tongue”.

As a result of new studies, an incorrect dating of the fairy-tale “Ghamura” was also corrected. It was given a broken date: 1875-1880.

The fairytale “Ghamura” along with other similar works of the poet of that period, made an effective contribution to the struggle for the national mood and the protection of the Georgian language.

ელისაბედ ზარდიაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

აკაკის ზღაპარი „ღამურა“ – ეროვნულ-პოლიტიკური ბრძოლის იარაღი

აკაკი წერეთელმა თავისი ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედება უამრავი ლიტერატურული ზღაპრითაც გაამდიდრა.

1875 წელს პოეტმა „დროებაში“ (№66) გამოაქვეყნა ზღაპარი „ღამურა“. მალე პოეტი თხზულების პროზაულმა ვარიანტმა არ დააკმაყოფილა და 1880 წელს ის ლექსად გადააკეთა.

„ღამურამ“ ძალიან დიდი პოპულარობა მოიპოვა, ცენზურა ცოტა გვიან მიხვდა, რომ, ამ, ერთი შეხედვით უწყინარი ზღაპრის შინაარსში მწვავე სოციალური და ეროვნულ-პოლიტიკური აქცენტები იმალებოდა და პოეტს არამც თუ დაბეჭდვა, არამედ მისი სახალხოდ წაკითხვაც კი აუკრძალა.

ამ სტატია-ზღაპრით აკაკი ცარისტული რეჟიმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას აუჯანყდა. ქვეყნის ანექსიის შემდეგ საქართველოში ძალიან მძიმე ხანა დაიწყო: ავტოკეფალია

გაუქმდა, ქართული წირვა-ლოცვა აიკრძალა, სასწავლებლების რიცხვი შემცირდა, დაიხურა ქართული სასულიერო სემინარია. შემცირებულ სასწავლებლებშიც კი ქართული ენის სწავლება იზღუდებოდა, ხოლო 1873, 1875, 1880-90-იან წლების რუსეთის უწმინდესი სინოდის ბრძანებულებებით სასულიერო სასწავლებლებიდან და სახალხო განათლების სკოლების სისტემიდან ქართული ენა სრულად განიდევნა. ეს ყველაფერი საქართველოს რუსეთთან სწრაფ ასიმილირებას ემსახურებოდა. აკაკიმ ზღაპარ „ღამურით“ სწორედ აღნიშნული ანტიეროვნული განკარგულებების წინააღმდეგ გაილაშქრა. არსებობს მოსაზრებაც, რომ პოეტმა ამ ლექს-ზღაპრით გააკრიტიკა ივანე მუხრან-ბატონი, ავტორი იმ ბროშურისა, რომელშიც იგი ამტკიცებდა დიდ ერებთან მცირე ერების ასიმილირების აუცილებლობას.

აკაკიმ სიტყვებით: „ერთმა უგზურმა თავუნამ იუკადრისა თავგობა“, „ზიზღით შეხედა თვის ტოლებს“ და ა.შ. მწვავე მათრახი გადაჰკრა ეროვნული ინტერესების ყველა მოღალატეს, ხოლო ზღაპრის სენტენციით – „წურავინ ისხამს სხვის ქურქსა და ნუ სცვლის თვისსა ენასა“; „კრულია მისი ხსენება, ვინც დაჰგმობს დედაენასა“ – დაუნდობლად დასწყევლა მშობლიური ენის უარმყოფელები და ღამურას ბედი უწინასწარმეტყველა მათ.

ახალი კვლევების შედეგად გასწორდა „ღამურას“ მცდარი დათარიღება. მას მიენიჭა წყვეტილი თარიღი: 1875-1880 წწ.

ზღაპარმა „ღამურამ“ პოეტის იმ პერიოდის სხვა მსგავს თხზულებებთან ერთად გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული განწყობისა და ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლის საქმეში.